

# **სამოქალაქო**

## **პროცესი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2018, №11

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2018, №11

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2018, №11

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2018, №11

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **გიორგი ჭყონიკა**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32,  
ტელ: 299 04 18; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეზელი

- 1. უწყებრივი ქვემდებარეობა**  
სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება  
სასამართლოებისადმი ..... 4
- 2. პროცესის ხარჯები**  
სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და  
მათი ოდენობის შემცირება ..... 16  
ბაჟისგან გათავისუფლება ..... 42
- 3. სასამართლო შეტყობინება და დაბარება**  
სასამართლო შეტყობინება და დაბარება ..... 49
- 4. მესამე პირები**  
საპროცესო უფლებამონაცვლეობა ..... 61; 82
- 5. წარმომადგენლობა სასამართლოში**  
საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით ..... 91
- 6. საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში**  
აღიარებითი სარჩელი ..... 107; 120
- 7. საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე**  
**განსახილველად**  
შესაგებლის წარდგენა ..... 137
- 8. საქმის წარმოების განახლება**  
განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების)  
ბათილად ცნობის შესახებ ..... 155

# 1. უწყებრივი ქვემდებარეობა

## სამოქალაქო საქმეების უწყებრივი დაქვემდებარება სასამართლოებისადმი

### ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-121-113-2017

7 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების ნაწი-  
ლობრივ ბათილად ცნობა, სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ  
ბრძანების ბათილად ცნობა, დაკავებულ თანამდებობაზე აღდგე-  
ნა, განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. ნ. წ-ამ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორის  
მონინააღმდეგე მხარე ან დასაქმებული) სარჩელი აღძრა სასამარ-  
თლოში სსიპ გ-ის (შემდგომში – მოპასუხე, აპელანტის მონინააღ-  
მდეგე მხარე, კასატორი ან დამსაქმებელი) მიმართ და მოითხოვა:

ა) დამსაქმებლის დირექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის №...  
ბრძანების ბათილად ცნობა;

ბ) სსიპ გ-ის დირექტორის 2013 წლის 3 აპრილის №... ბრძანების  
საფუძველზე შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013  
წლის 16 დეკემბრის №... სხდომის ოქმის საფუძველზე მიღებული  
გადაწყვეტილების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების (რომლითაც  
საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის  
ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩა და დაინიშნა ს. ჯ-ე, ხოლო მო-  
სარჩელე გათავისუფლდა ამავე თანამდებობაზე მოვალეობის შეს-  
რულებისაგან) ბათილად ცნობა;

გ) მოპასუხის დავალდებულება, ალადგინოს მოსარჩელე გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე;

დ) 2013 წლის 25 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის, თვეში 1 100 ლარის ანაზღაურების დავალდებულება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2012 წლის 15 აგვისტოდან მოსარჩელე მუშაობდა მოპასუხე ორგანიზაციაში საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლად, იგი კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებდა თანამდებობრივ მოვალეობებს. მოსარჩელის მიერ დაკავებულ პოზიციაზე 2013 წლის ნოემბერში გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც მოსარჩელემ მანაც მიიღო მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლიდან გამომდინარე, იგი შეიძლება უკონკურსოდ დანიშნულიყო დაკავებულ პოსტზე. კონკურსი იყო სამ ეტაპიანი, რომელთაგან პირველი და მე-2 მან წარმატებით გაიარა (ტესტირებაში უმაღლესი შეფასებიდან – 30 ქულიდან აიღო 29), ხოლო სადავო ოქმის თანახმად, კანდიდატმა ვერ გაიარა გასაუბრების ეტაპი. გ-ის დირექტორმა კი, 2013 წლის 25 დეკემბერს გამოსცა №... ბრძანება მოსარჩელის გათავისუფლების თაობაზე, სადაც საფუძვლად მითითებულია კომპანიის გადაწყვეტილება და დასაქმებულის შეუსაბამობა კვალიფიკაციასთან, რაც უკანონოა. გარდა ამისა, ნ. ნ-ა კანონდარღვევით არ დაინიშნა საკონკურსო თანამდებობაზე, რადგანაც გასაუბრებისას მას მხოლოდ ორი შეკითხვა დაუსვეს ოჯახთან დაკავშირებით. კანონდარღვევას წარმოადგენს ისიც, რომ კონკურსის არც ერთ ეტაპზე არ შექმნილა საპრეტენზიო კომისია, რომელსაც პირდაპირ ითვალისწინებდა საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის ბრძანებულების მე-8 მუხლი, ასევე, წინასწარ არ იყო ცნობილი, თუ რა კრიტერიუმით ხდებოდა გასაუბრებისას კანდიდატის შერჩევა და რას ენიჭებოდა უპირატესობა. არ შექმნილა გასაუბრების ამსახველი ოქმი, რის გამოც, გაურკვეველია, როგორ უნდა ამტკიცოს კონკურსანტმა ან კომისიამ დამაკმაყოფილებელი იყო თუ არა გასაუბრების ეტაპი.

## **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის

თქმა მოითხოვა, შესაგებლის თანახმად, მოსარჩელის განთავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე 2013 წლის 5 ნოემბერს გამოცხადებული კონკურსის შედეგები – საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება (ოქმი №...), შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლი, 21-ე მუხლის მე-4 ნაწილი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „გ-ის“ დებულების მე-5 მუხლის „ბ“ და „კ“ ქვეპუნქტები. მოსარჩელემ დაძლია კონკურსის პირველი და მე-2 ეტაპები, რის გამოც, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 29 ნოემბრის №... სხდომის ოქმის თანახმად, იგი გადაყვანილ იქნა გასაუბრების ეტაპზე. კომისიამ 2013 წლის 16 დეკემბერს განიხილა ვაკანტური თანამდებობის დაკავების მსურველთა გასაუბრების შედეგები და შერჩეულ იქნა ს. ჯ-ე, ხოლო ცენტრს გაენია რეკომენდაცია, ნ. ნ-ას მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე. საკონკურსო-საატესტაციო კომისიას თავმჯდომარეობდა ცენტრის დირექტორი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №... ბრძანებით დამტკიცებული ცენტრის დებულების 5.1. მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე. მოსარჩელე უსაფუძვლოდ აპელირებს კონკურსის კანონდარღვევით ჩატარების ფაქტზე, რადგანაც იმ დროს მოქმედი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №46 ბრძანებულებით დამტკიცებული „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლი არ ავალდებულებდა ცენტრს კონკურსის ეტაპზე ან მისი დასრულების შემდგომ შეექმნა საპრეტენზიო კომისია, გარდა ამისა, მოსარჩელეს კონკურსის დასრულებიდან 2 დღეში შეეძლო, წარედგინა საპრეტენზიო განაცხადი. კონკურსის შედეგები მოსარჩელეს წერილობით ეცნობა 2013 წლის 20 დეკემბერს. გარდა ამისა, კონკურსის ჩატარების დროს მოქმედი წესის თანახმად, საკონკურსო კომისია იყენებდა კანდიდატთან ინტერვიუების მეთოდს, რომელიც კანდიდატის უნარ-ჩვევების გამორკვევის მიზნით კითხვების დასმის შესაძლებლობას შეეხებოდა. საკონკურსო კომისიამ გასაუბრების ეტაპზე

მოსარჩელის მიერ გამოვლენილი შედეგები შეადარა სხვა კანდიდატის შედეგებს და ამ გზით აარჩია საუკეთესო კანდიდატი.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის სხდომის №... ოქმის საფუძველზე დადგენილი გადაწყვეტილება, რომლითაც საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩა და დაინიშნა ს. ჯ-ე, ხოლო ნ. ნ-ა გათავისუფლდა საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან, ასევე ბათილად იქნა ცნობილი სსიპ „გ-ის“ დირექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის №...- ბრძანება ნ. ნ-ას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „გ-ის“ საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ და ნ. ნ-ა აღდგენილ იქნა სსიპ „გ-ის“ საქმისწარმოებისა და მომსახურების კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, აღნიშნულ თანამდებობაზე კონკურსის წესით შესაბამისი კანდიდატის შერჩევამდე, სსიპ „გ-ს“ ნ. ნ-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით განაცდულის ანაზღაურება 2014 წლის 1 მარტიდან სამუშაოზე აღდგენამდე ყოველთვიურად 1 100 ლარის (დარიცხული) ოდენობით.

#### **6. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით

გასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადან-  
ყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივ-  
რებული გადანყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა,  
საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობ-  
რივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

#### **1. გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმების ფაქტობ- რივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლე-  
ბით დადგენილია გადანყვეტილების გაუქმების საფუძვლები, რო-  
მელთაგან პირველი სამართლის ნორმის არასწორი გამოყენება-  
განმარტების, ასევე, ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფა-  
სების საფუძვლებს ემყარება, ხოლო მეორე ადგენს გადანყვეტი-  
ლების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, რომელთაგან ერთ-  
ერთს საქმის სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობით გან-  
ხილვა წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მო-  
ცემული საქმე სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე  
მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, ასევე, 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნ-  
ქტის დარღვევითაა განხილული, რაც მისი გაუქმების საფუძველია.

1.2. განსახილველი დავის საგანს საჯარო სამართლის იურიდი-  
ული პირის მიერ გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესისა  
და პირობების, ასევე, კანდიდატის შერჩევის კანონიერება და ამ  
საკითხების თაობაზე მიღებული აქტების მართლზომიერება წარ-  
მოადგენს, შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავა  
არა კერძო, არამედ, საჯარო კანონმდებლობას ეფუძნება, კერძოდ:

1.2.1. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინის-  
ტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლს, რომელშიც მოცე-  
მულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩა-  
მონათვალი. ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში  
ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრა-  
ციულსამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონ-  
მდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება,  
შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდე-  
ბულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულსამართლებრი-

ვი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. მე-3 ნაწილი კი ადგენს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

1.2.2. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულსამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო (იხ. სუსგ №ბს-474-469(გ-16), 14 ივლისი, 2016 წელი). როგორც სარჩელის შინაარსიდან ირკვევა, სასამართლომ უნდა შეამოწმოს:

ა) სსიპ გ-ის დირექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის №... ბრძანების ნამდვილობა, რომლითაც მოსარჩელე გათავისუფლდა ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის დროებითი მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან;

ბ) სსიპ გ-ის დირექტორის 2013 წლის 3 აპრილის №... ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის №... სხდომის ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების (რომლითაც საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩა და დაინიშნა ს. ჯ-ე, ხოლო მოსარჩელე გათავისუფლდა ამავე თანამდებობაზე მოვალეობის შესრულებისაგან) ნამდვილობა;

გ) მოპასუხის დავალდებულება, აღადგინოს მოსარჩელე გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე;

დ) 2013 წლის 25 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის, თვეში 1 100 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

1.2.3. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ ფაქტს,

რომ განსახილველი სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, აგრეთვე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. მართალია, სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ჩამონათვალში სსიპ „გ-ი“ არ არის მოხსენიებული, თუმცა, საგულისხმოა, რომ იგი ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №... ბრძანებით დამტკიცებული დებულებით, რომლის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გ-ი (შემდგომში – ცენტრი) იქმნება განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ცენტრი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „კ“ და „ნ“ ქვე-

პუნქტების თანახმად, ცენტრის დირექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს; ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით აცხადებს კონკურსებს და ქმნის საკონკურსო კომისიას; კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს – ბრძანებას.

1.2.4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტად ჩაითვლება, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ როგორც სსიპ გ-ის დირექტორის 2013 წლის 25 დეკემბრის №...- ბრძანება, ისე – სსიპ გ-ის დირექტორის 2013 წლის 3 აპრილის №... ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2013 წლის 16 დეკემბრის №... სხდომის ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, რამდენადაც, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) 11<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ამ კანონის 29-ე-32-ე მუხლების (თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნა; თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა; კონკურსის გამოცხადება) მოქმედება აგრეთვე ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას და ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოსთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემ-

ნის დანიშვნის წესისა. საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის საკონკურსო-საატესტაციო კომისია, საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება ამ კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტით.

1.3. ამდენად, მოცემულ სამართალურიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, ხოლო ამ კატეგორიის საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

1.4. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებაცნობებს მოსარჩელეს.

1.5. პალატის მოსაზრებით, თუკი მივიჩნევთ, რომ დავა კერძო სამართლის მომწესრიგებელ ნორმებს – შრომის კოდექსის დანაწესებს უნდა დაემყაროს, ასეთ შემთხვევაში, თუნდაც სარჩელი საფუძვლიანად იქნეს მიჩნეული და დადასტურდეს მოსარჩელის მიერ მითითებული დარღვევების არსებობის ფაქტი, მართლმსაჯულება დაკარგავს იმ ეფექტს, რომლის მოლოდინიც გააჩნია მხა-

რეს. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა მოიხმობს შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც, ეს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. უდავოა, რომ სსიპ-ის თანამშრომლის დანიშვნა-გათავისუფლების პროცედურა კანონმდებელმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (სპეციალური კანონი) გათვალისწინებულ რეგულაციას დაუკავშირა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ გათავისუფლებამდე მოსარჩელე ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დაინიშნა 2012 წლის 14 აგვისტოდან და გათავისუფლდა 2013 წლის 31 დეკემბრიდან, სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დროებით მოვალეობის შემსრულებელი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს, შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს 1 წლის ვადით, ხოლო კონკურსის წესით შესავსებ სხვა თანამდებობაზე – არა უმეტეს 3 თვის ვადით. იმავე თანამდებობაზე განმეორებით დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა დაუშვებელია. საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას გაამახვილებს ადმინისტრაციული პროცესისათვის დამახასიათებელ უმნიშვნელოვანეს პრინციპზეც: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადანყვევტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

1.6. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული საქმის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ამდენად, სასამართლო ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

## **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სსიპ „გ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-

დეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 2. პროცესის ხარჯები

### სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და მათი ოდენობის შემცირება

#### ბანჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-823-789-2016

26 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**სასარჩელო მოთხოვნა:**

1. თ. ჯ.-ემ (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. ბ.-ის (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ და მოითხოვა სარჩელის აღძვრიდან სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე 50 000 აშშ დოლარის მიუღებელი შემოსავლის – 4000 აშშ დოლარის, 2011 წლის 1 აგვისტოდან 2014 წლის 16 იანვრამდე პერიოდში მოსარჩელის მიერ ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებზე პროცენტის, ჯარიმისა და სანქციების სახით გადახდილი 100 250 აშშ დოლარის, ამავე პერიოდში სანოტარო წესით გაფორმებული სესხის ხელშეკრულებებზე გადახდილი მომსახურების საზღაურის – 2875.06 ლარის, განეული და მომავალში გასანევი საპროცესო და მტკიცებულებათა უზრუნველყოფისთვის განეული ხარჯის – 4120.24 ლარის ანაზღაურება.

**სარჩელის საფუძვლები:**

2. მოსარჩელემ განმარტა, რომ 2011 წლის 10 ნოემბერს მან სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხის მიმართ, რადგან სრულად არ ჰქონდა მიღებული მხარეთა შორის დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული 200 000 აშშ დოლარი.

დავალიანება შეადგენდა 50 000 აშშ დოლარს.

3. საქმე განხილულ იქნა სასამართლოს მიერ და 2012 წლის 20 დეკემბერს გაიცა საალსრულებო ფურცელი.

4. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მას აღარ გააჩნდა საცხოვრებელი ადგილი, რის გამოც 2011 წლის 10 ივნისს შეიძინა 400 კვ.მ მიწის ნაკვეთი და თბილისის არქიტექტურის ნებართვის თანახმად, დაიწყო საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც საჭიროებდა სოლიდურ თანხას. მოპასუხე შეგნებულად არ უხდიდა ნასყიდობის ფასის დარჩენილ 50 000 აშშ დოლარს, რის გამოც მოსარჩელეს მოუწია როგორც საკუთარი, ასევე, ნათესავებისა და ოჯახის წევრების სახელით დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღება და ჯარიმებისა და სანქციების სახით სხვადასხვა ოდენობით დამატებითი თანხის გადახდა.

5. მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ ის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან და კერძო პირებიდან მიღებული სესხით ერთმანეთის მონაცვლეობით ფარავდა სასესხო ვალდებულებებს. შექმნილი გამოუვალი სიტუაციიდან გამომდინარე, 2012 წლის აპრილში მოსარჩელემ გადაწყვიტა, გაეყიდა ერთადერთი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ჯერ არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული და განცხადება განათავსა ინტერნეტ-საიტზე.

6. 2012 წლის 22 აგვისტოს მოსარჩელის საცხოვრებელი სახლი დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, როგორც მშენებლობადასრულებული ინდივიდუალური საკუთრება.

7. 2012 წლის 6 სექტემბერს ამჟამინდელმა მოპასუხემ სასამართლოში აღძრა სარჩელი ზიანის ანაზღაურებისა და ხელშეკრულების მოშლის მოთხოვნით, უზრუნველყოფის ღონისძიებად კი გამოიყენა მოსარჩელის კუთვნილ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება. განსახილველ საქმეზე სამივე ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით მოპასუხის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. 2013 წლის 17 დეკემბერს ყადაღის რეგისტრაცია შეწყდა და 2014 წლის 16 იანვარს მოსარჩელემ კუთვნილი უძრავი ქონება გაასხვისა.

8. ზემოაღნიშნული ყადაღის გამო, მოსარჩელეს შეეზღუდა საკუთრებით სარგებლობა, ასევე, ვეღარ შეძლო ქონებაზე რეგისტრირებული იპოთეკის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. იმი-

სათვის, რომ კრედიტორებს არ მოეხდინათ ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია, მოსარჩელე იძულებული გახდა, აელო სხვა მაღალპროცენტიანი სესხები.

9. არსებული და მოსალოდნელი ზიანის თაობაზე მოსარჩელე მუდმივად აფრთხილებდა მოპასუხეს, ასევე, მიმართავდა სასამართლოს ყადაღის მოხსნის მოთხოვნით. მოპასუხემ გააზრებულად და წინასწარი განზრახვით მიაყენა ზიანი მოსარჩელეს, რაც დასტურდება სასამართლოში წარდგენილი საჩივრებით, რომელთა საფუძველზეც 2012 წლის 20 დეკემბერს გაცემულ სააღსრულებო ფურცელზე დაწყებული სააღსრულებო წარმოება შეჩერდა 2013 წლის 15 მარტამდე.

10. მოსარჩელის განმარტებით, საკმაოდ სოლიდური ხარჯი გახდა 2011 წლის 1 აგვისტოდან 2014 წლის 16 იანვრამდე პერიოდში სანოტარო წესით გაფორმებულ სესხის ხელშეკრულებებზე, რაც ასევე უნდა აუნაზღაურდეს.

#### **მოპასუხის პოზიცია:**

11. მოპასუხემ მარტივი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეს მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურება უნდა მოეთხოვა მანამდე მიმდინარე სასამართლო დავის ფარგლებში, რაც არ განუხორციელებელია. აღნიშნული ართმევს უფლებას, მითითებული მოთხოვნა წარადგინოს მოცემული დავის ფარგლებში, მით უფრო, რომ გაუგებარია მისი დაანგარიშების პერიოდი. სარჩელი წარმოებაში იქნა მიღებული 2011 წლის 6 დეკემბერს და გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2012 წლის 15 ნოემბერს. მოსარჩელემ კი, მიუღებელი შემოსავალი მოითხოვა 2011 წლის 20 ნოემბრიდან 2012 წლის 20 დეკემბრამდე.

12. მოპასუხის მითითებით, 2011 წლის 7 ივნისს მან გადაიხადა 150 000 აშშ დოლარი, საიდანაც დაახლოებით 25 000 დოლარი მიმართულ იქნა უძრავ ქონებაზე იპოთეკის მოსახსნელად, მოსარჩელემ კი ხელზე მიიღო 125 000 აშშ დოლარი. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელემ 400 კვ.მ მიწის ნაკვეთში გადაიხადა 28 000 აშშ დოლარი, შესაბამისად, დარჩა 97 000 აშშ დოლარი. არქიტექტურის სამსახურის მიერ 170 კვ.მ სახლის მშენებლობაზე გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლისთვისაც მაქსიმუმ 51 000 აშშ დოლარია საჭირო (1 კვ.მ მშენებლობა – 300 აშშ დოლარი). შესაბამისად, არ არის დამაჯერებელი მოსარჩელის მტკიცება, რომ

მშენებლობისთვის აიღო სესხი.

13. მოპასუხემ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის არსებული მოლაპარაკების საფუძველზე მას მოსარჩელისათვის დარჩენილი თანხა უნდა გადაეხადა ეტაპობრივად, ყოველთვიურად – 500 აშშ დოლარი, ამდენად, გაუგებარია, რატომ ჰქონდა მოსარჩელეს თანხის ერთიანად მიღების მოლოდინი.

14. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სესხის ხელშეკრულებების ნაწილი დადებულია 2011 წლის სექტემბრამდე, მეტიც, მათი დიდი ნაწილი გაფორმებულია სხვა პირების მიერ. გაცემული სესხიდან მოსარჩელის მიერ დადებულია მხოლოდ 29 400 ლარსა და 66 000 აშშ დოლარზე სესხები. გაურკვეველია, როგორ განაპირობა ნახევარი მილიონის ოდენობით სესხის აღება 50 000 აშშ დოლარის გადაუხდელობამ, რომელიც უნდა გადახდილიყო ნაწილ-ნაწილ. ამასთან, თუ მოსარჩელემ ნამდვილად აიღო ეს თანხა, რატომ არ მიეთითა აღნიშნულის თაობაზე ხელშეკრულებებში.

15. მოპასუხემ მიიჩნია, რომ უძრავ ქონებაზე არსებული ყადაღა მოსარჩელეს ხელს ნამდვილად ვერ შეუშლიდა, მითუმეტეს, რომ 2012 წლის 22 აგვისტოს მდგომარეობით სახლი უკვე ამენებული იყო. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის 16 იანვრის ხელშეკრულებიდან ჩანს, რომ მოსარჩელემ მინის ნაკვეთი მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად მიჰყიდა სხვა პირს 195 000 აშშ დოლარად. მოპასუხე მას სთავაზობდა ყადაღისგან ქონების გათავისუფლებას თუ მას რეალური მყიდველი ჰყავდა, თუმცა აღნიშნულ შემოთავაზებაზე მხარე არ დათანხმდა. მხარე ვერც ერთი მტკიცებულებით ვერ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მას სესხის აღებით მიაღწა ზიანი, სესხის აღება მოხდა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით და არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი შესაბამის გარემოებებს შორის.

#### **პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საჩივროდ წარმოდგენილი ნაწილი:**

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 4000 აშშ დოლარის გადახდა, ზიანის სახით 100 250 აშშ დოლარისა და 2875.06 ლარის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილ-

და.

17. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით მოპასუხემ შეგებებული სააპელაციო საჩივრით მიმართა სასამართლოს.

**სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:**

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი და შეგებებული სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ზიანის – 35 000 აშშ დოლარის გადახდა, მოსარჩელის მოთხოვნებს საანაბრე პროცენტის სახით 4 000 აშშ დოლარისა და სესხის ხელშეკრულებებზე გადასახდელი მომსახურების – 2 875,06 ლარის დაკისრებაზე ეთქვა უარი შემდეგ გარემოებათა გამო:

19. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2011 წლის 7 ივნისს მხარეთა შორის გაფორმდა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მიჰყიდა მოპასუხეს. ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 200 000 აშშ დოლარით.

20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №2ბ/1748-12) შესაბამისად, ამჟამინდელ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც 2011 წლის 7 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის ღირებულების – 200 000 აშშ დოლარის გადაუხდელ ნაწილს წარმოადგენდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2012 წლის 20 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

21. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 17 დეკემბრის წერილის შესაბამისად, 2012 წლის 20 დეკემბრის სააღ-

სრულეზო ფურცლიტ (საქმე №2ბ/1748-12) გატვალისწინებული და-  
ვალთანება 50 000 აშშ დოლარის და 5883 ლარის ოდენობით სრუ-  
ლად დაიფარა 2014 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით (დაფარვა  
ხდებოდა ეტაპობრივად, ყოველთვიურად 2013 წლის 15 მარტიდან  
2014 წლის 16 დეკემბრის ჩათვლიტ).

22. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სარჩე-  
ლიტ მოსარჩელემ ზიანის გამომწვევ ორ გარემოებაზე მიუთითა,  
კერძოდ, მოპასუხის მიერ 2011 წლის 7 ივნისის ნასყიდობის ხელ-  
შეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ (50 000 აშშ დო-  
ლარის ნაწილში) შეუსრულებლობაზე და მოპასუხის მიერ მოსარ-  
ჩელის საცხოვრებელი სახლის მიმართ გამოყენებული გაუმართლე-  
ბელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაზე (ყადალა). ამდე-  
ნად, პალატის შესაფასებელია, რამდენად არის მითითებული გა-  
რემოებები მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირში მოსარჩელის მი-  
მართ დამდგარ ზიანთან.

23. სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ გაიზიარა სააპელაციო  
საჩივრის პრეტენზია და მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩე-  
ლის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრუ-  
ლებლობამ (50 000 აშშ დოლარის გადაუხდელობამ) მოსარჩელი-  
სათვის 35 000 აშშ დოლარის ოდენობით ზიანის მიყენება განაპი-  
რობა. ამასთან გაუმართლებელი ყადალიტ მიყენებული ზიანი საქ-  
მეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

24. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სა-  
მოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ) 394-ე მუხლის პირველი  
ნაწილიტ, 412-ე მუხლიტ და განმარტა, რომ 412-ე მუხლი მოვალეს  
ათავისუფლებს ისეტი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრი-  
ვი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარ-  
ჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის  
ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედე-  
გი. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრი-  
სით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამ-  
რღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველ-  
თვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რის-  
კის ფარგლებში (სუსგ 11.06.2012 განჩინება, საქმე №ას-630-593-  
2012).

25. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოპასუხეს მოსარჩე-

ლის კუთვნილი 50 000 აშშ დოლარი მთელი სადავო პერიოდის განმავლობაში უკანონო მფლობელობაში ჰქონდა. ამასთან, მართალია, აღსრულების ეტაპზე თანხის გადახდა განანილვადდა, თუმცა აღნიშნული თანხის ერთიანად მიღება მოსარჩელის კანონიერ ინტერესს წარმოადგენდა.

26. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა შეგებებული სააპელაციო საჩივრის ავტორის შედავება და მიიჩნია, რომ საქმის მასალეობით არ დასტურდება ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხეს 50 000 აშშ დოლარის ოდენობით ფულადი ვალდებულება ეტაპობრივად, თვეში 500-500 აშშ დოლარის ოდენობით უნდა გადაეხადა. ასეთი დასკვნის საფუძველს, პირველ რიგში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება იძლევა, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელისათვის 50 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა. პალატამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულება ერთიანი სახით დაადგინა.

27. სსკ-ის 266-ე, 378-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მოსარჩელეს ჰქონდა აღნიშნული თანხის მთლიანად მიღების მოლოდინი და ლეგიტიმური ინტერესიც.

28. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელეს თანხა ერთიანად და დროულად რომ მიეღო, მას და მის ოჯახს 50 000 აშშ დოლარის ფარგლებში ფულადი ვალდებულებების სესხად აღება არ მოუწევდა. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე მთელი სადავო პერიოდის განმავლობაში სასესხო ურთიერთობებში იყო საკრედიტო დაწესებულებებთან და მის მიერ აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი 3%-დან 3,5%-მდე მერყეობს. აღნიშნული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოსარჩელე თავის კუთვნილ თანხას ანაბარზე კი არა განათავსებდა, როგორც ეს პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, არამედ 50 000 აშშ დოლარის ფარგლებში სესხს არ აიღებდა, რითაც 50 000 აშშ დოლარის საპროცენტო სარგებელს დაზოგავდა.

29. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეს სწორედ ის საპროცენტო სარგებელი უნდა დაეკისროს, რასაც

მოსარჩელე არ გადაიხდიდა მისი კუთვნილი თანხა დროულად რომ მიეღო, თუმცა, მოპასუხისათვის ზიანის სახით დაკისრებული თანხა მისთვის უნდა იყოს წინასწარ სავარაუდო და აკმაყოფილებდეს სსკ-ის 412-ე მუხლის პირობებს. ამდენად, მოპასუხეს უნდა ევარაუდა, რომ მოსარჩელეს მითითებული თანხა სჭირდებოდა და სესხის აღების შემთხვევაში სარგებელს გადაიხდიდა, ხოლო რაც შეეხება ვადაგადაცილების ჯარიმებსა და პირგასამტეხლოს, აღნიშნული თანხა სსკ-ის 412-ე მუხლის კონტექსტში მოპასუხეს ბრალად ვერ შეეარაჩებოდა. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს სესხად თანხის შეუსაბამოდ მაღალ პროცენტში ჰქონდა აღებული. ეს კი იმ გაუთვლელი ეკონომიკური რისკის თანმდევი შედეგია, რომლის უარყოფითი ეფექტი მოპასუხის ვალდებულებაზე ვერ აისახება.

30. სსკ-ის 415-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხეს მოსარჩელის წინაშე ფულადი ვალდებულება 2011 წლის 7 ივნისს უნდა შეესრულებინა, თუმცა, საბოლოო ჯამში, მოსარჩელემ თანხა 2014 წლის დეკემბერში მიიღო. აღნიშნულიდან გამომდინარე, 50 000 აშშ დოლარს 42-თვიანი ვადაგადაცილების პერიოდისათვის უნდა დაერიცხოს წლიური 20%-იანი სარგებელი, რაც ის გონივრული საპროცენტო სარგებელია, რომელიც მოსარჩელეს დაეზოგებოდა სადავო თანხა დროულად რომ მიეღო. 50 000 აშშ დოლარის წლიური 20% კი, 42 თვის განმავლობაში 35 000 აშშ დოლარს შეადგენს.

31. სააპელაციო პალატამ მხედველობაში მიიღო ის საშუალო საბაზრო საპროცენტო მაჩვენებელი, რომლის ფარგლებშიც სესხის აღებაა შესაძლებელი, გაითვალისწინა სსკ-ის 412-ე და 415-ე მუხლების კონტექსტში სესხის ამღები სუბიექტის ის დასაშვები ეკონომიკური რისკი, რომელიც მოვალეს ბრალად შეიძლება შეეარაჩებოს და მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება უფრო დაბალ პროცენტში სესხის აღების შეუძლებლობა, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ქონება იპოთეკით იტვირთებოდა. ასევე, დასაშვები ეკონომიკური რისკის ფარგლებში მხედველობაში მიიღება ის გარემოებაც, რომ მოპასუხისაგან მიღებული თანხა ოჯახში საჭიროებისამებრ მოიხმარა, ხოლო მშენებლობა სესხად აღებული თანხებით დაიწყო. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მოთხოვნილი ზიანის – 100 250 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკის-

რება, როგორც წინასწარ განუჭვრეტადი ოდენობით დამდგარი ზიანი, სსკ-ის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, სამართლებრივად გამართლებულად არ ჩათვალა.

32. სააპელაციო სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია ფაქტობრივი ზიანის გონივრული ოდენობით ანაზღაურება და დაადგინა, რომ მოსარჩელეს სასესხო ფულადი ვალდებულებები მოპასუხის მიერ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო წარმოეშვა, ამიტომ დაუშვებელია, ასეთ ვითარებაში სასამართლომ საანაბრე პროცენტზე იმსჯელოს, რადგან საანაბრე პროცენტი, როგორც პრეზუმირებული ზიანი, ივარაუდება იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორს გამოთავისუფლებული თანხის ანაბარზე განთავსება შეეძლო. მოცემულ შემთხვევაში, კი საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე აღნიშნულ თანხას ანაბარზე კი არ განათავსებდა, არამედ 50 000 აშშ დოლარის ფარგლებში სესხს არ აიღებდა და მასზე დარიცხულ სარგებელს არ გადაიხდიდა.

33. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი გაუმართლებელი ყადაღით დამდგარ ზიანთან დაკავშირებით და მიუთითა საქმეში წარმოდგენილ მოპასუხის წერილზე, რომლითაც ეს უკანასკნელი რეალური მყიდველის არსებობის შემთხვევაში უძრავი ქონების ყადაღისაგან გამოთავისუფლების მზაობას გამოხატავდა. ამავდროულად, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მოსარჩელეს უძრავი ქონების რეალური მყიდველი ჰყავდა და მან, მოპასუხის წინააღმდეგობის გამო, ქონება ვერ გაასხვისა.

34. სააპელაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, თუ რა ოდენობით გაიზარდა უშუალოდ მოსარჩელის და არა მისი ოჯახის წევრებისა, თუ ნათესავების მიერ აღებული ვალდებულება ქონებაზე ყადაღის არსებობით.

35. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას ხელშეკრულებების ნოტარიულად დამოწმების საფასურის – 2875.06 ლარისა და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ხარჯის – 4 120,24 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ოდენობით ხელშეკრულებების დადება და მათი ნოტარიულად დამოწმება, სსკ-ის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, არ შეიძლება მოპასუხეს ბრალად შეერაცხოს, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარისი საფუძველია.

### **კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:**

36. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად, მხარემ ასევე მოითხოვა მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

37. კასატორმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 404-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატამ 2015 წლის 15 მაისის განჩინებით არასწორად მიიღო წარმოებაში მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი და უკანონოდ გადაუვადა სახელმწიფო ბაჟის გადახდა მაშინ, როცა ამისათვის ფაქტობრივ-სამართლებრივი ნაწინამძღვრები არ არსებობდა. აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადასავადებლად მტკიცებულებათა წარდგენა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას ემსახურებოდა. რეალურად კი, მოსარჩელის მეუღლის სახელზე ირიცხება 4 საკმაოდ ძვირადღირებული ავტომანქანა, ხოლო მისი მამის სახელზე რეგისტრირებულია სულ დაახლოებით 21 ჰექტარი მიწა. შესაბამისად, მხარეს გააჩნდა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის მატერიალური შესაძლებლობა.

38. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ შეცდომა დაუშვა, როცა მიიჩნია, რომ 2012 წლის 17 ივლისის №2ბ/1748-12 გადაწყვეტილებით დადგინდა 50 000 აშშ დოლარის ერთიანად გადახდის ვალდებულების ფაქტი. რეალურად 2012 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით პალატას არ დაუდგენია 2011 წლის ივნისში შეთანხმდნენ თუ არა მხარეები 50 000 აშშ დოლარის ერთიანად გადახდაზე.

39. ფაქტობრივად, 2012 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით პალატამ 50 000 აშშ დოლარის ერთიანად გადახდის ვალდებულება დაადგინა, რადგან ჩათვალა, რომ მიუხედავად იმისა გადახდის როგორ წესზე შეთანხმდნენ 2011 წლის ივნისში (ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას) მხარეები, მოპასუხემ არ დაინყო 500-500 აშშ დოლარის გადახდა ყოველთვიურად და მოსარჩელეს უფლება ჰქონდა, გასულიყო ამ შეთანხმებიდან (ანუ ეტაპობრივად გადახდის შეთანხმებიდან) და ერთიანად მოეთხოვა თანხის გადახდა.

40. სააპელაციო პალატას 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებაში უფლება ჰქონდა, ემსჯელა მხოლოდ 2012 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ 50 000 აშშ დოლარის გადაუხდელობამ რა ზიანი მიაყენა მოსარჩელეს და ზიანის პერიოდის განსაზღვრისთვის არ უნდა აელო 2012 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილების გამოტანამდე არსებული პერიოდი.

41. ის ფაქტი, რომ 50 000 აშშ დოლარი კასატორს თვეში 500-500 აშშ დოლარობით უნდა გადაეხადა, უტყუარად დასტურდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ, მოსარჩელის წარმომადგენლის წერილობითი მოსაზრებით, ვიდეო ჩანაწერით, მოსარჩელის მამის განმარტებით სააპელაციო სასამართლოში.

42. უპირველეს ყოვლისა, სააპელაციო სასამართლოს უნდა გაერკვია, მართლა ჰქონდა თუ არა მოსარჩელეს ვალები 2011 წლის 7 ივნისის მდგომარეობით. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება მხოლოდ 25000 აშშ დოლარის ვალდებულების არსებობა, კერძოდ, ჩანს, რომ მოპასუხის მიერ 2011 წლის 7 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი ფულიდან გარკვეული თანხა, დაახლოებით 25 000 აშშ დოლარი, მოხმარდა მოსარჩელის ვალის დაფარვას, უძრავ ქონებაზე არსებული იპოთეკის მოხსნას, ე.ი. მოსარჩელემ ხელზე მიიღო 125 000 აშშ დოლარი.

43. კასატორის მითითებით, საქმეში არ მოიპოვება არავითარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ამ უკანასკნელს ზემოაღნიშნული 25 000 აშშ დოლარის გარდა კიდევ რაიმე სახის ფულადი ვალდებულება ჰქონდა მესამე პირების წინაშე.

44. სსსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილის, სსკ-ის 624-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოერკვია არა მხოლოდ სესხის თუ სხვა ვალდებულების არსებობა, არამედ ის ფაქტი, აღნიშნული ვალდებულებები შესრულდა თუ არა მოპასუხის მიერ გადახდილი ფულიდან, გარდა ზემოაღნიშნული 25 000 აშშ დოლარისა.

45. მოწმეთა ჩვენებისა და ზეპირი განცხადების გარდა, არაფრით დასტურდება ის ფაქტი, რომ მოსარჩელემ მოპასუხისგან მიღებული თანხიდან დაფარა 80 000 აშშ დოლარი და, ამის გამო, სახლის მშენებლობისთვის დარჩა მხოლოდ 35000 აშშ დოლარი. პირიქით, დასტურდება, რომ მოსარჩელის სახლის ასაშენებლად დარჩა დაახლოებით 97 000 აშშ დოლარი.

46. ამდენად, არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ დაუდგენია არც სადავო და არც უდავო გარემოებად, რომ მოსარჩელეს აღარ დარჩა სახლის მშენებლობისთვის ფული და ამან განაპირობა მის მიერ ვალების აღება. ასეთი ფაქტობრივი გარემოების დადგენის გარეშე კი, შეუძლებელია იმ საკითხის განსაზღვრა, თუ რა ზიანი მიაყენა 50 000 აშშ დოლარის გადაუხდელობამ მაშინაც კი, თუ ეს ფული ერთიანად უნდა გადახდილიყო.

47. როგორც დგინდება, ახლადშეძენილ მიწის ნაკვეთზე მოსარჩელემ მშენებლობა დაიწყო და დაასრულა 2011 წლის აგვისტოდან 2012 წლის იანვრამდე მონაკვეთში. აღნიშნული დასტურდება როგორც საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებებით (თბილისის არქიტექტურის 2011 წლის 23 სექტემბრის ბრძანება კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ თავდაპირველი სამშენებლო ნებართვა გაცემული იყო 2011 წლის 13 ივლისს), ასევე, მოწმის დაკითხვით, სადაც მან განაცხადა, რომ სახლის მშენებლობა დაასრულა დაახლოებით 4-5 თვეში (2014 წლის 25 დეკემბრის სხდომის ოქმი). შესაბამისად, სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული სესხი მოსარჩელეს უნდა აეღო 2011 წლის აგვისტოდან 2012 წლის იანვრამდე პერიოდში.

48. ამდენად, კასატორმა მიიჩნია, რომ უშუალოდ მოსარჩელემ ისესხა 29 400 ლარი და 3 000 აშშ დოლარი. სხვა არავითარი ვალი ამ პერიოდში არ აღებულა. შესაბამისად, პროცენტი, რაც მან გადაიხადა ვალებზე, დაახლოებით 7000 ლარია. მაშასადამე, მაშინაც კი, მოსარჩელეს მართლაც სახლის მშენებლობისთვის რომ აეღო ეს ვალები, მისი ზიანი არ შეიძლება ყოფილიყო 7000 ლარზე მეტი.

49. კასატორი არ დაეთანხმა მონინაალმდევე მხარის პოზიციას, რომ მოსარჩელე იძულებული გახდა სესხი აეღო სახლის ასაშენებლად. მოპასუხის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი აუდიტორული დასკვნიდან ირკვევა, რომ სახლის მშენებლობა მოსარჩელეს დაუჯდა 42 650 აშშ დოლარი, რაც აქარწყლებს მოსარჩელის მამის განმარტებას, რომ მშენებლობისათვის 75 000-80 000 აშშ დოლარი გადაიხადა. იმ შემთხვევაში, თუ გაზიარებულ იქნება მოსარჩელის მამის მითითება, რომ მოპასუხის მიერ გადახდილი თანხიდან მოსარჩელეს დარჩა 35 000 აშშ დოლარი, ასეთ პირობებში მოსარჩელეს დასჭირდებოდა მხოლოდ 7650 აშშ დოლარის სესხება.

50. კასატორმა ყურადღება გაამახვილა 2015 წლის 26 იანვრის მოსარჩელის მიერ წარდგენილ 2013 წლის 11 ოქტომბრის აუდიტორულ შეფასებაზე და აღნიშნა, რომ უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულება შეიძლება ბევრით აღემატებოდეს შენობის მშენებლობის ხარჯებს. შესაბამისად, მითითებული შეფასება ვერ დაადასტურებს, რამდენი დაუჯდა მოსარჩელეს სახლის მშენებლობის სამუშაოები.

51. მხარემ ჩათვალა, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს მოსარჩელის მიერ სესხის აღების ფაქტს იმის გამო, რომ მოპასუხემ 50 000 აშშ დოლარი დროულად არ გადაუხადა. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული სესხების მხოლოდ 15%-ია უშუალოდ მოსარჩელის მხრიდან აღებული. დანარჩენი სესხების სხვა პირების მიერ მოსარჩელისათვის დათმობის ხელწერილები კი მოცემული დავისათვისაა შექმნილი და რეალობას არ ასახავს. სხვა პირთა მიერ დადებულ სესხის ხელშეკრულებებში არ ფიქსირდება, რომ თანხის გადახდის ვალდებულება მოსარჩელეს ეკისრება. ამასთან, მონმეები, რომლებიც მოსარჩელემ წარადგინა, მისი ახლობელი და მიკერძოებული პირებია.

52. კასატორი არ დაეთანხმა მოსარჩელის მიერ წარდგენილ საექსპერტო დასკვნას ზიანის გაანგარიშებასთან დაკავშირებით, რადგან იგი შედგენილია ტენდენციურად. დასკვნაში ყველა სესხი განხილულია, როგორც მოსარჩელის მიერ მიღებული ვალი, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არასწორია.

53. მხარემ მიიჩნია, რომ არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ დაუდგენია, რა ოდენობის სესხი აიღო მოსარჩელემ, ასეთ პირობებში შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა ზიანი მიაყენა სესხის აღებამ მოწინააღმდეგე მხარეს.

54. კასატორმა აღნიშნა, რომ მოსარჩელემ სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობას შეუქმნა მცდარი წარმოდგენა მოპასუხის მხრიდან მის მიმართ ზიანის მიყენების თაობაზე. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში დასადგენია საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებანი, გაუმართლებელია საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს იმავე შემადგენლობისათვის დაბრუნება, რომელსაც უკვე ჩამოუყალიბდა მცდარი შინაგანი რწმენა დავის ირგვლივ.

55. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2016 წლის 16 ნოემბრის განჩინებით კი საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად. მოცემულ საქმეზე ჩაატარდა ზეპირი სხდომა მხარეთა მორიგების მიზნით 2016 წლის 14 დეკემბერს.

56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით კი, განუხილველად დარჩა მოსარჩელის შეგებებული საკასაციო საჩივარი სააპელაციო პალატის იმავე გადაწყვეტილებაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

57. საკასაციო სასამართლომ მხარეთა დასწრებით ზეპირი მოსმენით შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდეს, ხოლო საქმე დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე შემადგენლობას ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

58. უპირველესად, საკასაციო სასამართლოს მიზანია იმის განსაზღვრა, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ნაწილს შეეხება საკასაციო პრეტენზია და სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის კონკრეტულად რა ფაქტობრივ-სამართლებრივი დებულებების გადასინჯვას მოითხოვს კასატორი. აღნიშნული მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 404-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებთან მიმართებით. მითითებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო

გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

59. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია, მოპასუხის (კასატორის) მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის გამო, კერძოდ, 50 000 აშშ დოლარის გადაუხდელობით მოსარჩელისათვის (მონინა-ალმდეგე მხარე) მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების მართლზომიერება და აღნიშნული ზიანის ოდენობა. ამავდროულად, კასატორი სადავოდ ხდის გასაჩივრებული გადაწყვეტილების წინმსწრებ განჩინებას მოსარჩელის (აპელანტის) სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ.

60. სააპელაციო პალატის 2015 წლის 15 მაისის განჩინების გაუქმებასთან დაკავშირებით წარდგენილ მოთხოვნას კასატორი მხარე იმით ასაბუთებს, რომ სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ გადაუვადა მოსარჩელე აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადახდა თითქოსდა მხარის მძიმე მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, იმ დროს, როდესაც მოსარჩელის (აპელანტის) მეუღლის სახელზე ირიცხებოდა 4 საკმაოდ ძვირადღირებული ავტომანქანა, ხოლო აპელანტის მამის სახელზე კი რეგისტრირებული იყო სულ დაახლოებით 21 ჰექტარი მიწა. შესაბამისად, აპელანტ მხარეს გააჩნდა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდის მატერიალური შესაძლებლობა.

61. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის ზემოთ მითითებული პრეტენზია დაუსაბუთებელია და გაზიარებული ვერ იქნება შემდეგ გარემოებათა გამო:

62. თბილისის საქალაქო სასამართლო 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანისას, მოსარჩელემ (აპელანტმა) იშუამდგომლა სააპელაციო პალატის წინაშე, სსსკ-ის 48-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო. აპელანტმა განმარტა, რომ განიცდის უკიდურეს გაჭირვებას, დასაქმებული არ არის. მრავალწლიანი სასამართლო დავებისა და სესხების გამო, იგი იძულებული გახდა, ერთადერთი საცხოვრებელი სახლი გაეყიდა. თავშესაფრის უზრუნველყოფის მიზნით, ქირის გადახდის სახსრებიც აღარ გააჩნია. მის სახელზე არ ირიცხება რაიმე

სახის მოძრავი ან/და უძრავი ქონება. კანონით დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა კი, მის ყოველმხრივ შესაძლებლობებს აღემატება.

63. მხარემ შუამდგომლობას დაურთო შემდეგი მტკიცებულებები: სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 13 მაისის №... ცნობა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 5 მაისის პასუხი; სსიპ შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 5 მაისის ცნობა; 2014 წლის 17 თებერვლის ქირავნობის ხელშეკრულება; სს „ლ.-ის“ 2015 წლის 5 მაისის ქვითარი და სს „პ.-ის“ 2015 წლის 27 მარტის სალაროს შემოსავლის ორდერი.

64. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსსკ-ის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

65. კანონის მითითებული დანაწესით დადგენილი სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების ან გადასახდელი თანხის ოდენობის შემცირების შესაძლებლობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების შესწავლისა და საქმის მასალების გაანალიზების საფუძველზე სასამართლოს შეეძენება შინაგანი რწმენა მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, რომ მას მოცემულ ეტაპზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ შეუძლია.

66. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის აუცილებლობა დადგენილია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომელიც ასევე ითვალისწინებს მხარის მიერ შესაბამისი თანხის გადაუხდელობის სამართლებრივ შედეგებსაც, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდევინების მექანიზმი მხარისათვის სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის კანონისმიერ საშუალებასაც წარმოადგენს. ამდენად, მისი გამოყენებისას სასამართლო ვალდებულია, გაითვალისწინოს და შეაფასოს თანხის გადახდევინების პროცესში წარმოშობილი ყველა გარემოება.

67. სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით საქართვე-

ლოს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეკომენდაციების თანახმად, სახელმწიფო ბაჟის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც. სასამართლო სამართალწარმოების განხორციელების დროს სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შემუშავა ზოგადი ხასიათის სახელმძღვანელო პრინციპები.

68. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებით მრავალ საქმეზე და, მათ შორის, საქმეებზე: კრეუცი პოლონეთის წინააღმდეგ, იედამსკა და იედამსკი პოლონეთის წინააღმდეგ, გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ბრუალა გომეს დე ლა ტორე ესპანეთის წინააღმდეგ, ტოლსტოი-მილოსლავსკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ და ა. შ. განმარტა შემდეგი: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის უფლებას, სასამართლო წესით დაიცვას თავისი უფლებები და მოვალეობები.

69. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება „სასამართლოს უფლების“ მხოლოდ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული კომპონენტი კონვენციის ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული სხვა უფლებებით სარგებლობის გარანტიაა. „სასამართლოს უფლება“ არ არის აბსოლუტური უფლება, იგი შეიძლება სახელმწიფოს მიერ შეიზღუდოს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი აძლევს რა მხარეებს თავიანთ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად „სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლებას“, სახელმწიფოს ამავე დროს აღნიშნული უფლების შეზღუდვის იმ საშუალებათა თავისუფალი არჩევანის ვაკეთების შესაძლებლობას ანიჭებს, რომელთა მეშვეობითაც „სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება“ შეიძლება შეიზღუდოს, თუმცა ამავე დროს სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის.

70. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ზოგიერთ საქმეზე დასაშვებად მიიჩნია ფიზიკურ პირთათვის სასამართლო

ხელმისაწვდომობაზე გარკვეული სახის, მათ შორის, ფინანსური შეზღუდვის დაწესება. აღნიშნული შესაძლებლობა განსაკუთრებით იმ საქმეებს ეხება, სადაც საჩივრის დასაშვებობაზე საუბარი ან სადაც მართლმსაჯულება მომჩივნისაგან იმ ხარჯების ანაზღაურებას ითხოვს, რომლებიც მეორე მხარემ გასწია. სარჩელის ან საჩივრის დასაშვებად ცნობის ერთ-ერთ წინაპირობად სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების დაწესება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, არ უნდა იქნეს გაგებული სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ხელყოფად, თუმცა სასამართლოს მიერ გამოყენებულმა შეზღუდვებმა არ უნდა შეზღუდოს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება იმ გზით ან იმ ფარგლებში, რაც თვით აღნიშნული უფლების (სასამართლო ხელმისაწვდომობის) არსს ხელყოფს: სასამართლო ბაჟის ოდენობა გამომანგარიშებულ უნდა იქნეს ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, მომჩივნის ფინანსური მდგომარეობის ჩათვლით. ასევე, გათვალისწინებულ უნდა იქნას სამართალწარმოების ეტაპი, როცა აღნიშნული შეზღუდვა იქნა გამოყენებული.

71. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი არ ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციის სასამართლოების შექმნას, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე სახელმწიფოს გააჩნია ზემდგომი ინსტანციის სასამართლო, მაშინ აღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებების დაცვა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებშიც, თუმცა მოცემულ უფლებათა დაცვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში აღნიშნული ინსტანციის სასამართლოების თავისებურებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის საკითხთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სააპელაციო წესით საქმის განხილვის თავისებურებებისა და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე არსებითად უკვე განხილულ იქნა, მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია, სააპელაციო წესით საქმის განხილვის დასაშვებობაზე უფრო

მკაცრი შეზღუდვები დაანესოს. ადამიანის უფლებათა ევროპულ-მა სასამართლომ, გარდა ზემოაღნიშნულისა, საკუთარი დანიშნულება განმარტა და მიუთითა, რომ მის ფუნქციას არ წარმოადგენს ეროვნულ დონეზე კომპეტენტური ორგანოს ნაცვლად, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფი მსჯილმურად ეფექტური ზომების განსაზღვრა და არც იმ ფაქტების შეფასება, რომლებიც სასამართლო გადანყვეტილებას დაედო საფუძვლად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი მდგომარეობს იმაში, რომ შეამოწმოს კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული გადანყვეტილებით დამდგარი შედეგის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან. ამასთან, სასამართლომ განმარტა ისიც, რომ მის მიერ ფაქტების კვლევა ეფუძნება კონვენციით გათვალისწინებულ პრინციპებს, დაიცვას არა თეორიული, ილუზიური უფლებები, არამედ უზრუნველყოს პრაქტიკული და ეფექტური უფლებების განხორციელება და დაცვა, სწორედ ისეთის როგორც დემოკრატიულ საზოგადოებაში მისი განსაკუთრებული ადგილიდან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უფლებაა.

72. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით შექმნილი პრეცედენტული სამართლიდან შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: 1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სასამართლო ხელმისაწვდომობაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას დასაშვებად მიიჩნევს; 2. შეზღუდვები შეიძლება ატარებდეს ფინანსურ ხასიათს, რაც მოსარჩელის ან განმცხადებლისათვის ბაჟის დაკისრებაში გამოიხატება; 3. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, მათ შორის ფინანსურიც, შესაძლებელია უფრო გამკაცრდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში; 4. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა კონვენციის საწინააღმდეგო ხასიათს იძენს, თუ აღნიშნული შეზღუდვის შედეგად სამართალწარმოება საერთოდ არ შედგა; 5. თუ საქმე არა ერთმა, არამედ ორმა ინსტანციამ არსებითად განიხილა, ხოლო საკასაციო ინსტანციის სასამართლომ იგი დასაშვებობის პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო განუხილველად დატოვა, აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონ-

ვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული „სასამართლო ხელმისაწვდომობის“ უფლების ხელყოფად; 6. შეზღუდვები უნდა ემსახურობდეს ლეგიტიმურ მიზანს და დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის; 7. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, მათ შორის, ფინანსური, არ უნდა იყოს გადაჭარბებული და არაგონივრული.

73. სასამართლო ხელმისაწვდომობაზე ბაჟის სახით გონივრული შეზღუდვის დანესება სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლებაა, რა დროსაც, დაცული უნდა იყოს ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესს შორის. კერძო ინტერესის დაცვას ემსახურება ქართულ კანონმდებლობაში ბაჟთან დაკავშირებით დანესებული ზედა ზღვარი, ასევე საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირებული უფლება იმისა, რომ ბაჟისაგან გათავისუფლების ან ბაჟის ოდენობის შემცირების საკითხი გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალური საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რა დროსაც, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარის ქონებრივი მდგომარეობა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რასაც მხარე თავად წარმოადგენს. მართალია, სახელმწიფოს მხრიდან დანესებულია სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გარკვეული სტანდარტი, თუმცა, კანონმდებლობა შეზღუდვიდან გამონაკლისს უშვებს, ხოლო გამონაკლისით სარგებლობის უფლება მხარის განსაკუთრებული უფლებაა, რომლის გამოყენება მას მის მიერვე წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეუძლია (სუსგ 22.07.2015წ. საქმე №ას-597-565-2015).

74. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ საქმის მასალებიდან სარწმუნოდ დასტურდება აპელანტის მიმართ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების წინაპირობების არსებობა.

75. გაზიარებული ვერ იქნება კასატორის არგუმენტი, რომ აპელანტისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება არამართლობიერი იყო, რადგან მოსარჩელის მამისა და მეუღლის სახელზე ირიცხებოდა გარკვეული ქონება.

76. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარის ოჯახის წევრების ქონებრივი მდგომარეობა გავლენას

ვერ მოახდენს აპელანტის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების აქტუალობაზე, ვერ გააბათილებს მათ შინაარსს და, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებული შეღავათების გამოყენებას.

77. ამდენად, სააპელაციო პალატის 2015 წლის 5 მაისის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი მართებულად იქნა მიღებული წარმოებაში და სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება მის მიმართ მოხდა ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრაქტიკის დაცვით.

78. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაშვებ და დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა.

79. საკასაციო საჩივრით სადავოდაა გამხდარი სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების არასრულად დადგენა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, როდის და რა ოდენობის სესხი აიღო მოსარჩელემ, ასეთ პირობებში კი შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა ზიანი მიაყენა მას სესხის აღებამ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ ნაწილში კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

80. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ საკითხის დადებითად გადაწყვეტა, საფუძვლიანია თუ არა სარჩელი, დამოკიდებულია რამდენიმე პირობის არსებობაზე, მათ შორის: უნდა მოიძებნოს სამართლის ნორმა, რომელიც მიესადაგება განსახილველ შემთხვევას; მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის დადგენის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები პასუხობს თუ არა გამოსაყენებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებს (შემადგენლობას).

81. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა, რომ 2011 წლის 7 ივნისს მხარეთა შორის გაფორმდა უძრავი ქონე-

ბის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მოსარჩელემ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მიჰყიდა მოპასუხეს. ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა 200 000 აშშ დოლარით.

82. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (საქმე №2ბ/1748-12) შესაბამისად, ამჟამინდელ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც 2011 წლის 7 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის ღირებულების – 200 000 აშშ დოლარის გადაუხდელ ნაწილს წარმოადგენდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე 2012 წლის 20 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

83. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს 2014 წლის 17 დეკემბრის წერილის შესაბამისად, 2012 წლის 20 დეკემბრის სააღსრულებო ფურცლით (საქმე №2ბ/1748-12) გათვალისწინებული დავალიანება 50 000 აშშ დოლარის და 5883 ლარის ოდენობით, სრულად დაიფარა 2014 წლის 17 დეკემბრის მდგომარეობით (დაფარვა ხდებოდა ეტაპობრივად, ყოველთვიურად 2013 წლის 15 მარტიდან 2014 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით).

84. დავის საფუძველად მოსარჩელის მიერ მითითებულია ის გარემოება, რომ მოპასუხის (კასატორი) მიერ მოსარჩელისათვის (მონინაალმდეგე მხარე) 50 000 აშშ დოლარის ოდენობით ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, მოსარჩელე (მონინაალმდეგე მხარე) იძულებული გახდა, სახლის მშენებლობისათვის აელოსესხი და ეხადა სარგებელი, რითაც მას მიადგა მატერიალური ზიანი.

85. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეს თანხა ერთიანად და დროულად რომ მიეღო, მას და მის ოჯახს 50 000 აშშ დოლარის ფარგლებში ფულადი ვალდებულებების სესხად აღება არ მოუწევდა, თუმცა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება არ შეიცავს სარწმუნოდ და ნათლად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა ოდენობის სესხი აიღო პირადად მოსარჩელემ და რა პერიოდში მოხდა სესხის აღება.

86. შესაბამისად, დასაბუთებულია კასატორის მოსაზრება, რომ

სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, რა ოდენობის სესხი აი-ლო მოსარჩელემ და აქედან გამომდინარე, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა ზიანი მიაყენა სესხის აღებამ მოსარჩელეს (მონი-ნაალმდეგე მხარეს).

87. კასატორი სადავოდ ხდის აგრეთვე სააპელაციო სასამარ-თლოს მსჯელობას 42-თვიანი ვადაგადაცილებული პერიოდისათ-ვის წლიურ სარგებლად 20%-ის განსაზღვრის თაობაზე და უთი-თებს, რომ ეს მოსაზრება სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

88. საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორის მოსაზრებებს და მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელა-ციო პალატამ საკმარისად არ დაადგინა და გამოიკვლია დავის სწო-რად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარე-მოებები, რის გამოც გასაჩივრებული გადანყვეტილების დასაბუ-თება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლი-ანობის შემოწმება შეუძლებელია. აღნიშნული გარემოება კი სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გა-დანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

89. სსსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა გან-სახილველად დაბრუნების საფუძვლები.

90. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნ-ქტების თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს გა-დანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნოს სა-აპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ასევე, თუ გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მი-სი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

91. კანონის აღნიშნული დანაწესი საქმის ხელახლა განსახილ-ველად დაბრუნების საფუძვლად მიიჩნევს ისეთ გარემოებას, რო-დესაც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გა-დანყვეტილების სამართლებრივი შეფასება არ ეფუძნება სწორ ფაქტობრივ დასაბუთებას, რის გამოც საჭიროა საქმისათვის მნიშ-

ვნელოვანი ფაქტების დადგენა და მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ასეთ დროს საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, თავად დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებანი და მათი იურიდიული შეფასების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება.

92. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭიროა რა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე დამატებითი ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და მტკიცებულებების გამოკვლევა, საკასაციო პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება.

93. ამდენად, საქმის ხელახლა განმხილველმა სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, საქმეში წარმოდგენილი სესხის ხელშეკრულებებისა და სხვა მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე უნდა დაადგინოს, სადავო მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდში (მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება), რა ოდენობის სესხი აიღო უშუალოდ მოსარჩელემ და რა პირობებით. სწორედ აღნიშნული გარემოებების უტყუარად დადგენის შედეგადაა შესაძლებელი იმის შეფასება, გამოიწვია თუ არა მოსარჩელისათვის მატერიალური ზიანის (და რა ოდენობით) წარმოშობა მოპასუხის მიერ 50 000 აშშ დოლარის ფარგლებში ვადის გადაცილებით ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობამ. არასაკმარისადაა დასაბუთებული სააპელაციო პალატის მსჯელობა გონივრულ საპროცენტო სარგებლად წლიური 20%-ის მიჩნევის შესახებაც, თუმცა გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ მოპასუხის (კასატორის) მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებამ შეადგინა 42 თვე.

94. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია რა შეჯიბრებითობის პრინციპზე, მხარეებს უფლებებთან ერთად აკისრებს თავისივე ინტერესებისათვის აუცილებელ საპროცესო მოვალეობებს, რომლის შეუსრულებლობას უკავშირდება ამავე მხარისათვის არახელსაყრელი შედეგი. ეს დანაწესი განმტკიცებულია სსსკ-ის მე-4 მუხლით. ასევე, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითე-

ბის, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განხორციელდეს. ამავდროულად, სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტურის განაწილების სტანდარტი, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის მტკიცების ტვირთის განაწილების წესი მოცემულია მატერიალური სამართლის შესაბამის ნორმებში.

95. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია კასატორის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხეს 50 000 აშშ დოლარი თითქოსდა უნდა გადაეხადა არა ერთიანი გადახდის სახით, არამედ პერიოდულად, ყოველთვიურად 500 აშშ დოლარის ოდენობით.

96. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, მხარეთა შორის 2011 წლის 7 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობის შეფასება მოცემული დავის საგანს სცდება და საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი ვერ გახდება. აღნიშნულ საკითხზე არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება №2ბ/1748-12 საქმეზე, რომლის სარეზოლუციო ნაწილით დადგინდა სადავო 50 000 აშშ დოლარის ერთიანად გადახდის ვალდებულება.

97. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოთხოვნას მოცემული საქმის სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის განსახილველად დაბრუნების თაობაზე. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველად მხარე უთითებს სააპელაციო პალატის შემადგენლობის მხრიდან მოსარჩელის სასარგებლოდ შინაგანი რწმენის შექმნაზე. ამგვარი საფუძველით საქმის განმხილველი სააპელაციო პალატის სხვა შემადგენლობისათვის გადაცემა საკასაციო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

98. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გამოწვეულია ამ საქმის

განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განანილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განანილების საკითხიც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს სასამართლოს იმავე შემადგენლობას ხელახლა განსახილველად.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ბაჟისგან გათავისუფლება

### განჩინება საქართველოს სასხელით

№ას-977-941-2016

21 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაეური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ლ. ს-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. მ-ის მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე.

2. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით ლ. ს-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ს-ამ.

5. 2016 წლის 29 ივნისს ლ. ს-ამ ფიზიკურ პირს შ. გ-ეს თ. მ-ის წინააღმდეგ თანხის დაკისრების მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე დაუთმო მოთხოვნა, რაც მოიცავს მოპასუხისგან 3000 აშშ დოლარის და 2013 წლის 22 ივლისის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს – სესხის თანხის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – დაკისრების მოთხოვნის უფლებას. ლ. ს-ამ, აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, მოითხოვა სააპელაციო საჩივრის ავტორად მოთხოვნის მიმღების დაშვება.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ივლისის განჩინებით №2ბ/1792-16 სამოქალაქო საქმეზე შ. გ-ე ცნობილ იქნა ლ. ს-ას უფლებამონაცვლედ. ამავე სასამართლოს 2016 წლის 8 ივლისის განჩინებით შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალა-

ქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებაზე დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

7. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განმარტა, რომ უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

8. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ წარმოდგენილი შპს „თბილისის №... პოლიკლინიკის“ სსე აქტის ამონაწერის (სერია №0249638) შესაბამისად, შ. გ-ეს შემონემა ჩაუტარდა 2014 წლის 1 დეკემბერს და დაუდგინდა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი 2016 წლის 1 იანვრამდე, ხოლო მორიგი გადამონეების თარიღად განისაზღვრა 2015 წლის 1 დეკემბერი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი ცნობა არ ასახავდა შ- გ-ის ჯანმრთელობის ამჟამინდელ მდგომარეობას და იგი მხედველობაში არ უნდა ყოფილიყო მიღებული.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ვინაიდან ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება აპელანტს ჩაჰბარდა 2016 წლის 22 ივნისს, მისთვის ხარვეზის შევსების 7 დღიანი ვადის დენა დაიწყო მომდევნო დღეს, 2016 წლის 23 ივნისს და ამოიწურა იმავე წლის 29 ივნისს. ამ ვადაში კი მას ხარვეზი არ შეუვსია. შესაბამისად, არსებობდა ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შ. გ-ემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

11. კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი არის მეორე ჯგუფის ინვალიდი და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მიხედვით, გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. აღნიშნულის დამადასტურებელი ცნობა მან წარუდგინა სასამართლოს, თუმცა სასამართლომ იგი არ მიიღო მხედველობაში. საჩივრის ავტორის აზრით, სასამართლოს შეეძლო დამატებითი ინფორმაციის წარდგენა მოეთხოვა მხარისათვის, თუ არ აკმაყოფილებდა ცნობის შინაარსი ან უბრალოდ ბაზაში გადაემონეებინა ინფორმაცია. ამის ნაცვლად მან პირდაპირ უარი უთხრა სააპელაციო საჩივრის მიღებაზე, რაც უკანონოა.

12. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს საჩივარზე დართულ, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემულ ცნობაზე და აღნიშნავს, რომ იგი არასდროს გამოჯანმრთელებულა და აღრიცხვაზე იმყოფება, როგორც სოციალური პაკეტის მიმღები შესაძლებლობის შეზღუდვის მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხით და დანიშნული აქვს პენსია 2015 წლის 1 იანვრიდან, დღემდე ირიცხება სოციალური პაკეტის მიმღებად, ანუ მე-2 ჯგუფის ინვალიდად, რაც ათავისუფლებს მას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. ამდენად, სასამართლოს დადგენილი ხარვეზი შეესაბამება უნდა ჩაეთვალოს და სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიიღოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

13. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. გ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

15. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრით სადავოდ არის გამოხდარი ლ. ს-ას უფლებამონაცვლე შ. გ-ის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების კანონიერება. საჩივრის ავტორის გაცხადებით, იგი გათავისუფლებული იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა და ხარვეზის შეუსაბამობის გამო დაუშვებლად მიიჩნია მისი სააპელაციო საჩივარი.

16. კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიის შესწავლის მიზნით საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში არსებულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 აპრილის განჩინებით ლ. ს-ას სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა 10 (ათი) დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის, 440,96 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის სასამართლოსთვის წარდგენა.

18. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში აპელანტმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაში ცვლილების შეტანა და გადასახდელი თანხის 243.93 ლარით განსაზღვრა, რაც არ დაკმაყოფილდა და აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დაწესებული ვადა კიდევ 7 (შვიდი) დღით.

19. ხარვეზის შესავსებად დაწესებულ ვადაში, 2016 წლის 29 ივნისს აპელანტმა ლ. ს-ამ სასამართლოს მიმართა განცხადებით, რომელსაც დაურთო დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, შ. გ-ისათვის მოთხოვნის დათმობის შესახებ სანოტარო წესით დამონებული ხელშეკრულება, შპს „თბილისის №... პოლიკლინიკის“ სსე აქტის ამონაწერი (სერია №0249638) შ. გ-ის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის შესახებ და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათვისუფლება.

20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 7 ივლისის განჩინებით შ. გ-ე ცნობილ იქნა ლ. ს-ას უფლებამონაცვლედ, თუმცა ამავე პალატის 8 ივლისის განჩინებით შ. გ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

21. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ აპელანტის მიერ წარდგენილ დოკუმენტში – შპს „თბილისის №... პოლიკლინიკის“ სსე აქტის ამონაწერში მითითებული ჩანაწერი მორიგი გადამონმების თარიღად 2015 წლის 1 დეკემბრის შესახებ საკმარისი იყო იმისათვის, რომ აღნიშნული ცნობა არ მიჩნეულიყო აპელანტის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლად.

22. პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და მისი გამოუსწორებლობისას სააპელაციო საჩივრის

განუხილველად დატოვებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლი, რომლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ ნორმის მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მხარეთა თხოვნით სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა.

23. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი აღარ განიხილება. ამავე დროს, საპროცესო კანონმდებლობა უშვებს სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის ვადის გაგრძელების შესაძლებლობას და სასამართლოს მიერ ამ უფლებამოსილების გამოყენებას ითვალისწინებს მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე (სსსკ-ის 368.7 მუხლი).

24. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია ასევე სახელმწიფო ბაჟის დაკისრების აუცილებლობა და იგი მხარის სარჩელის თუ საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ არსებით კომპონენტს წარმოადგენს. ამასთან, კანონითაა განსაზღვრული ცალკეულ შემთხვევებში მხარის სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების, მისთვის დაკისრებული ბაჟის შემცირების ან გადავადების საფუძველები. ასე მაგალითად, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ინვალიდები, ინვალიდთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები ყველა სარჩელზე თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

25. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ აპელანტ ლ. ს-ას უფლებამონაცვლემ, შ. გ-ემ სწორედ ზემოაღნიშნული ნორმის სა-

ფუძველზე მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება. მან სასამართლოსთვის წარდგენილ განცხადებაში მიუთითა, რომ იყო II ჯგუფის ინვალიდი და აღნიშნულის დასადასტურებლად განცხადებას დაურთო სამედიცინო დაწესებულების მიერ 2014 წლის 8 დეკემბერს გაცემული სსე აქტის ამონაწერი (სერია №0249638), რომლის შესაბამისად ირკვევა, რომ შ. გ-ეს დადგენილი აქვს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი. ამავე ცნობაში მითითებულია, რომ მორიგი გადამოწმების თარიღია 2015 წლის 1 დეკემბერი. თუმცა 2015 წლის 1 დეკემბრის შემდგომ სამედიცინო დაწესებულების მიერ რაიმე სახის დოკუმენტის გაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება აპელანტს სასამართლოსთვის არ წარუდგენია.

26. საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული დოკუმენტის შინაარსის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ მასში გაკეთებული ჩანაწერი მორიგი სამედიცინო შემოწმების თარიღის განსაზღვრის შესახებ არ შეიძლება უპირობოდ აძლევედეს სასამართლოს შესაძლებლობას ცნობაში მითითებული პირი არ მიიჩნიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონედ, ვინაიდან დოკუმენტში არსებული ინფორმაცია შ. გ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცალსახად ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის ავტორმა მისი სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძვლად ინვალიდობაზე მიუთითა და აღნიშნულის დასადასტურებლად წარადგინა კიდევ სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, სააპელაციო სასამართლოს მისი ნამდვილობის დასადასტურებლად (შ. გ-ე სააპელაციო საჩივრის შეტანის დროისათვისაც ითვლებოდა თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად), მხარისათვის უნდა განესაზღვრა ვადა და მოეთხოვა განახლებული ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა, რაც საშუალებას მისცემდა მას კვალიფიციურად შეემოწმებინა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

27. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს კერძო საჩივრის ავტორის მიერ საჩივარზე დართულ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის მიერ 2016 წლის 6 ოქტომბერს გა-

ცემულ ცნობაზე, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ შ. გ-ე იმყოფება აღრიცხვაზე თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის დიდუბე-ჩუღურეთის სერვის ცენტრში, როგორც სოციალური პაკეტის მიმღები (შესაძლებლობის შეზღუდვის მნიშვნელოვნად გამოხატული ხარისხით) და დანიშნული აქვს ყოველთვიური გასაცემელი (პენსია) 2015 წლის 1 იანვრიდან. ამრიგად, აღნიშნული ცნობის შესაბამისად ცალსახაა, რომ შ. გ-ე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გათავისუფლებულია სასამართლოში წარდგენილ სარჩელზე/საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან (ამ ცნობის საფუძველზე იგი ასევე გათავისუფლდა საკასაციო სასამართლოში წარდგენილ კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან).

28. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ივლისის განჩინების გაუქმებისა და შ. გ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შ. გ-ის (ლ. ს-ას უფლებამონაცვლის) კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ივლისის განჩინება და საქმე შ. გ-ის (ლ. ს-ას უფლებამონაცვლის) სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემომწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

#### სასამართლო შეტყობინება და დაბარება

##### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-514-487-2015

9 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ნ. ბაქაქური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ბ. ალავეცი

**დავის საგანი:** უძრავი ქონების უკანონო მფლობელობიდან გა-  
მოთხოვა, ნაგებობის დემონტაჟი

##### აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. კ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. ყ-ის, ბ. დ-ის, ნ. ნ-ის, ნ. ნ-ის, თ. ბ-ის, ზ. მ-ის, ვ. კ-ის, ა. ყ-ის, უ. დ-ის, გ. ჭ-ის, დ. ყ-ის, შ. ზ-ის, ბ. ყ-ის, ც. ჭ-ის, თ. ი-ის, შ. ყ-ის, ფ. ქ-ის, ი. ქ-ის, რ. შ.აძის, ნ. ბ-ის, ნ. ტ-ის, შ. ქ-ის, დ. ქ-ის, ა. ტ-ის, შ. ქ-ის, რ. გ-ისა და მ. ტ-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეთათვის მის საკუთრებაში არებული უძრავი ქონებით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთა, ასევე მოპასუხეთა ხარჯებით სადავო უძრავი ქონებაზე არსებული სხვადასხვა დამხმარე ნაგებობებისა და კონსტრუქციების დემონტაჟი შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

2. მოსარჩელის განმარტებით, მას საკუთრებაში აქვს 800765 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ .....), მდებარე ბახმაროში, ს-ს ძ-ში, რომელიც წარმოადგენს ალპურ საძოვარს. აღნიშნულ ქონებას უკანონოდ ფლობენ მოპასუხეები, მასზე ააშენეს ნაგებობა/კონსტრუქციები და იყენებენ პირუტყვის საძოვრად, ამასთან, მოჰყავთ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

3. მოსარჩელემ რამოდენიმეჯერ მიმართა მოპასუხეებს თხოვნით, გამოეთავისუფლებინათ მიწის ნაკვეთი და მიეცათ მისთვის საშუალება სრულფასოვნად გამოეყენებინა ან განეკარგა საკუთარი ქონება, ასევე შესთავაზა მოპასუხეებს აღნიშნული ნაკვეთის

ნაწილობრივ მიყიდვა ან იჯარით გადაცემა, თუმცა არაერთი მცდელობის მიუხედავად, მოპასუხეებმა ამგვარ შეთანხმებაზე უარი განაცხადეს. გ. კ-ას განმარტებით, იგი საკუთარი უძრავი ქონებიდან ვერ იღებს შემოსავალს, ამასთან, იხდის ქონების გადასახადს, რაც საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს.

4. მოპასუხეებმა, შ. ყ-მა და ყ. დ-ემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და განმარტეს, რომ ისინი 50 წელზე მეტია სარგებლობენ სადავო ტერიტორიით, აშენებული აქვთ სააგარაკე საცხოვრებელი სახლები და ამუშავებენ მიწის ნაკვეთს, მოჰყავთ ერთწლიანი კულტურები. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ ისე გაასხვისა აღნიშნული ქონება, რომ არ შეუსწავლია, სარგებლობდნენ თუ არა ფიზიკური პირები ამ ქონებით. მოპასუხეთა განცხადებით, სამინისტროს, გ. კ-აზე ქონების გასხვისებამდე, პირველ რიგში, საქმის კურსში უნდა ჩაეყენებინა ისინი, რომ შესაძლებლობა მისცემოდათ შეეძინათ აღნიშნული მიწის ნაკვეთები.

5. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა; აეკრძალათ მოპასუხეებს გ. კ-ასათვის მისივე საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთით ს/კ ..... სარგებლობაში ხელშეშლა. მათვე დაეკისრათ საკუთარი ხარჯებით მოეხდინათ ამავე უძრავ ქონებაზე აღმართული ნაგებობებისა და სხვადასხვა სახის კონსტრუქციების (სახლი, პირუტყვის სადგომი, ღობე, სხვადასხვა სახის დამხმარე ნაგებობები და ასევე ის კონსტრუქციები, რომლებიც განთავსებული ჰქონდათ იმავე ნაკვეთებზე და ხელს უშლიდა მესაკუთრეს ნაკვეთით სარგებლობაში) დემონტაჟი და საკუთრებაში არსებული ქონების ფარგლებიდან გატანა.

6. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შ. ყ-მა, ნ. წ-ემ, თ. ბ-ემ, შ. ზ-ემ, ბ. ყ-მა, თ. ი-ემ, შ. ყ-მა, რ. შ-ძემ, ნ. ბ-ემ, ნ. ტ-ემ, დ. ქ-ემ, შ. ქ-ემ, რ. გ-ემ და მ. ტ-ემ.

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განჩინებით შ. ყ-ის, ნ. წ-ის, თ. ბ-ის, შ. ზ-ის, ბ. ყ-ის, თ. ი-ის, შ. ყ-ის, რ. შ-ძის, ნ. ბ-ის, ნ. ტ-ის, დ. ქ-ის, შ. ქ-ის, რ. გ-ისა და მ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება.

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

9. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ .....), დაზუსტებული ფართობით 800765,00 კვ.მ მესაკუთრეა გ. კ-ა.

10. სადავო ტერიტორიით სარგებლობენ მოპასუხეები, რაც დასტურდება უპირველესად, თავად მოპასუხეთა განმარტებებით, წარმოდგენილი შესაგებლით და საქმეში არსებული მტკიცებულებებით – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს გამოკითხვის ოქმებით. ამ ოქმებში მოპასუხე მხარეები ადასტურებენ, რომ მათ სადავო მიწის ნაკვეთზე არ გააჩნიათ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, სარგებლობენ კ-ას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, რისთვისაც კ-ა მათგან ითხოვს გადასახადებს.

11. მოპასუხეები არ არიან სადავო მიწის ნაკვეთის მართლზომიერი მფლობელები.

12. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 170-ე-172-ე, 159-ე, 183-ე, 311-ე-312-ე მუხლებით და დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა გ. კ-ა, ხოლო აღნიშნულ მიწის ნაკვეთს, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ფლობენ მოპასუხეები, რაც იძლევა გ. კ-ას სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს.

13. პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებზე დაყრდნობით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა სადავო მიწის ნაკვეთით მოპასუხეთა სარგებლობის მართლზომიერება.

14. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შ. ყ-მა, ნ. ნ-ემ, თ. ბ-ემ, შ. ზ-ემ, ბ. ყ-მა, თ. ი-ემ, შ. ყ-მა, რ. შ-ქემ, ნ. ბ-ემ, ნ. ტ-ემ, დ. ქ-ემ, შ. ქ-ემ, რ. გ-ემ და მ. ტ-ემ შეიტანეს საკასაციო საჩივარი და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

15. სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ 27 მოპასუხიდან თორმეტმა არც კი იცის გ. კ-ას მიერ

სასამართლოში წარდგენილი სარჩელისა და მათ მიმართ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178.3<sup>1</sup> მუხლის თანახმად, მოსარჩელემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენი მოპასუხეცაა საქმეში, ხოლო ამავე კოდექსის 184-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებულია უზრუნველყოს მოპასუხისათვის სასამართლო გზავნილის ფოსტის, სასამართლო კურიერის მეშვეობით ან მხარეთა შეთანხმებით განსხვავებული წესით ჩაბარება; ხოლო 77-ე მუხლის თანახმად, თუ საქმე მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას, ხოლო თუ საქმეში მოპასუხე 10-ზე მეტია, უწყება ეგზავნება შესაგებელზე ხელის მომწერ პირველ სამ პირს. აღნიშნული ცხადყოფს იმას, რომ მოპასუხეთა მიმართ დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2, მე-3, მე-4, 77-ე, 86-ე, 87-ე, 96-ე, 178-ე, 184-ე მუხლები.

16. საკასაციო საჩივრის ავტორთა განმარტებით, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერით 80 765,00 კვ.მ (დაზუსტებული ფართი) უძრავი ქონების მესაკუთრეა გ. კ-ა. სწორედ ამ ფართის ნახაზში მოაქცია გ. კ-ამ ის 2 ჰექტარი საძოვრის ფართი, რომელზეც 50 წელზე მეტია 27 მოპასუხის ოჯახი სეზონურად ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

17. მოპასუხეებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ გ. კ-ას საკუთრებაში გადაეცა ტერიტორია ბახმაროს მთაზე დასახლებით „ს-ს ძი“ და არა „ბ-ა“, სადაც მოპასუხეები იყვნენ დასახლებულნი. ასე რომ არ ყოფილიყო, გ. კ-ა ჯერ კიდევ 2007 წელს მოითხოვდა მოპასუხეთა გამოსახლებას. კასატორთა განცხადებით, გ. კ-ამ, რომელიც არასდროს ყოფილა დაკავებული სოფლის მეურნეობით, იმიტომ მოაქცია დასახლებული პუნქტი „ბ-ა“ თავის საკუთრებაში, რომ მიწის გადასახადის სხვის ხარჯზე გადახდის წყარო ეშოვნა.

18. საკასაციო საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მოპასუხეები ბახმაროს მთაზე, დასახლება „ბ-აში“ ათეული წლებია შთამომავლობით ფლობენ 2 ჰექტარ მიწის ნაკვეთს და სარგებლობენ აღნიშნული ტერიტორიით, ხოლო სადავო ნაკვეთი გ. კ-ას საკუთრებაში აღმოჩნდა 2013 წლის 27 მაისს მის მიერ განზრახ დაკვეთილ დაზუსტებულ ნახაზში, რადგანაც ამ მთაზე ყველა დანარჩენი 280 ჰექტარი საძოვარი სახელმწიფო საკუთრებაშია და მას სა-

კადასტრო ნახაზის მარჯვნივ თუ მარცხნივ, ზემოთ თუ ქვემოთ გადაადგილების საშუალება ჰქონდა. აღნიშნულის შესახებ, კასატორთა განცხადებით, მათ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში წარდგენილი აქვთ უამრავი წერილობითი მტკიცებულება ადმინისტრაციულ საჩივართან ერთად. სწორედ ამიტომ რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მათ, სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დააყენეს შუამდგომლობა სამოქალაქო საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე და მოითხოვეს საქმის წარმოების შეჩერება მანამ, სანამ საქმე ადმინისტრაციული წესით არ იქნებოდა გადაწყვეტილი.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინებით შ. ყ-ის, ნ. წ-ის, თ. ბ-ის, შ. ზ-ის, ბ. ყ-ის, თ. ი-ის, შ. ყ-ის, რ. შ-ძის, ნ. ბ-ის, ნ. ტ-ის, დ. ქ-ის, შ. ქ-ის, რ. გ-ისა და მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 25 იანვრის განჩინებით შ. ყ-ის, ნ. წ-ის, თ. ბ-ის, შ. ზ-ის, ბ. ყ-ის, თ. ი-ის, შ. ყ-ის, რ. შ-ძის, ნ. ბ-ის, ნ. ტ-ის, დ. ქ-ის, შ. ქ-ის, რ. გ-ისა და მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განჩინებაზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

21. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე იმავე სასამართლოს დაუბრუნდეს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

22. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივარი ძირითადად ეფუძნებოდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტის დარღვევას, სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გამოიკვლია და არ იმსჯელა არსებობდა თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუ-

ტური საფუძველი.

23. საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად ირკვევა, რომ პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, ისევე, როგორც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება, მოპასუხეთა ნაწილის მიმართ, გამოტანილია იმგვარად, რომ საქმის წარმოების არცერთ ეტაპთან დაკავშირებით კანონით დადგენილი წესით მათი ინფორმირების ფაქტი არ დასტურდება, რაც სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

24. საქმის მასალებით დადგენილია, რომ გ. კ-ას სარჩელი სასამართლოში წარდგენილი იყო 27 მოპასუხის წინააღმდეგ.

25. სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ სასამართლოს გზავნილი სარჩელითა და თანდართული დოკუმენტების ასლებით გაეგზავნა სარჩელში მითითებულ პირველ სამ მოპასუხეს: შ. ყ-ს, ბ. დ-ეს და ნ. წ-ეს.

26. საქმის მასალებით დასტურდება, რომ გზავნილი ჩაბარდა მხოლოდ მოპასუხე შ. ყ-ს, რომელმაც სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. მოპასუხე ბ. დ-ეს გზავნილი ვერ ჩაბარდა, ხოლო მოპასუხე ნ. წ-ის მიმართ გზავნილის ჩაბარების თაობაზე ინფორმაცია საერთოდ არ მოიპოვება საქმის მასალებში.

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნას ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. თანამონაწილენი სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს. თანამონაწილეებს შეუძლიათ საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ (მუხლი 87), რაც უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობილობაში (მუხლი 96).

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმეში მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე 10-ზე მეტი პირია და საქმის წარმოება სასამართლოში მინდობილი არ აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, სასამართლო უწყება ეგზავნება სარჩელზე (საჩივარზე, შესაგებელზე) ხელის მომწერ პირველ სამ პირს. უწყების ჩაბარება ერთ-ერთი მათგანისათვის ნიშ-

ნავს უწყების ჩაბარებას მის მხარეზე მონაწილე ყველა პირისათვის.

29. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როცა საქმეში მოპასუხე 10-ზე მეტი პირია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლით დადგენილი, პირველი სამი პირისათვის ჩაბარების წესი, გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოპასუხეები სასამართლოში წარადგენენ შესაგებელს. აღნიშნული გამომდინარეობს თავად 77-ე მუხლის შინაარსიდან, რომლის თანახმად, სასამართლო უწყება ეგზავნება შესაგებელზე ხელის მომწერ პირველ სამ პირს და არა სარჩელში მითითებულ პირველ სამ მოპასუხეს.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორების მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტი), როდესაც არ იმსჯელა სააპელაციო საჩივარში მითითებულ ზემოაღნიშნულ დარღვევაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

31. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, რომელთა არსებობა, მათი ხასიათიდან გამომდინარე, გამორიცხავს ჯეროვანი სამართალწარმოების განხორციელებას. შესაბამისად, მათი გამოვლენა და აღმოფხვრა სასამართლოს ვალდებულებაა, მაშინაც კი, თუ მხარეები აღნიშნულზე არ მიუთითებენ. 394-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას.

32. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესის ფუნდამენტური პრინციპი – მხარეთა შეჯიბრებითობა გულისხმობს მხარეთა თანაბარ უფლებასა და შესაძლებლობას, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკი-

ცებულებები (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი). აღნიშნულ პრინციპს მოიცავს სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც გარანტირებულია „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლით. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

33. არაერთ საქმეში სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ: „სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს უფლებას მხარეთა შეჯიბრობითობაზე, რომლის თანახმად მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ იცოდნენ და ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით“ (იხ. საქმეები *Milatova and Others v. The Czech Republic*, 2005 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება, no. 61811/00, §59; *Nideröst-Huber v. Switzerland*, 1997 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება, *Reports of Judgments and Decisions 1997-I*, gv. 108, § 24, *da K.S. v. Finland*, 2001 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება no. 29346/95, § 21).

34. საქმეში ჰუდაკოვა და სხვები სლოვაკეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ: „სამართლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელემენტი, მხარეთა თანასწორობის პრინციპი, მოიცავს მხარეთა უფლებას, ჰქონდეთ გონივრული შესაძლებლობა, წარადგინონ თავიანთი საქმე სასამართლოს წინაშე ისეთ პირობებში, რომლებიც არ ჩააყენებს მათ არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში მეორე მხარესთან შედარებით“ (იხ. საქმე *Hudakova and Others v. Slovakia*, 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, no. 23083/05, § 25). იმავე საქმეში ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ „მოთხოვნა, სამართალწარმოების მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ ინ-

ფორმაცია და კომენტარი გააკეთონ წარდგენილ მტკიცებულებებსა და მოსაზრებებზე, მოქმედებს როგორც პირველ ინსტანციაში, ისე გასაჩივრების დროს, იმის მიუხედავად, გასაჩივრების დროს არის თუ არა წარმოდგენილი ახალი მოსაზრებები. ყველა მხარისათვის მოსაზრებების გაცნობის მოთხოვნა გამომდინარეობს საჭიროებიდან, რომ მხარეებს ჰქონდეთ რწმენა მართლმსაჯულების განხორციელებისა და რომ მათ უარი არ ეთქვათ შესაძლებლობაზე გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები იმ საკითხებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე“ (იხ. საქმე *Hudakova and Others v. Slovakia*, 2010 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილება, no. 23083/05, § 29).

35. მოცემულ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია იმგვარად, რომ არ დასტურდება მოპასუხეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების გაგზავნის (და ჩაბარების) ფაქტი. სასამართლოში შესაგებელი წარმოადგინა 27-დან მხოლოდ ორმა მოპასუხემ. უფრო მეტიც, საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად დგინდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა იმგვარად, რომ მოპასუხეთა ნაწილი სასამართლოს არცერთი სხდომის თაობაზე ინფორმირებული არ ყოფილა. კერძოდ, არ დასტურდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხეების ბ. დ-ის, ნ. ნ-ის, გ. ჭ-ის, ც. ჭ-ის, ფ. ქ-ისა და ა. ტ-ის მიერ სასამართლოში მათ მიმართ წინამდებარე სარჩელის განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის ქონის ფაქტი. 27 მოპასუხიდან მხოლოდ თხუთმეტიც ჰყავდა წარმომადგენელი პირველი ინსტანციის სასამართლოში.

36. ზემოაღნიშნული საპროცესო დარღვევები არ გამოუკვლევიან და არ შეუფასებია სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, რის გამოც მისი გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. ამავე დროს, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული პირები, რომლებიც არ იყვნენ დადგენილი წესით ინფორმირებული პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის მიმდინარეობის შესახებ, კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვაზე არც სააპელაციო სასამართლოს მოუწვევია. ორი-

ვე ზემოაღნიშნული გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ბ“ და „ე“ პუნქტების შესაბამისად, სასამართლოს განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

37. საკასაციო სასამართლო იზიარებს, აგრეთვე, კასატორების მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და არ იმსჯელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, მხოლოდ ერთი მოპასუხის მიმართ საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების მართებულობაზე, რის შესახებაც სააპელაციო საჩივარში მიუთითებდნენ მოპასუხეები.

38. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ერთ-ერთი მოპასუხის, შ. ქ-ის მიერ აღძრულია ადმინისტრაციული სარჩელი იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომელიც საფუძველად დაედო სადავო მინის ნაკვეთზე მოსარჩელის საკუთრების უფლების წარმოშობას. იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი დაკმაყოფილდება, აღნიშნული საქმის შედეგმა შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მოსარჩელის მოთხოვნაზე არა მხოლოდ შ. ქ-ის, არამედ ყველა იმ მოპასუხის მიმართ, რომლებიც სადავო მინის ნაკვეთს ფლობენ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო გამოეკვლია არსებობდა თუ არა ყველა მოპასუხის მიმართ საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული არ განუხორციელებია, რის გამოც მისი განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

39. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები.

40. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას დამატებით მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების მიხედვით – იგი ითხოვდა საკუთრებით სარგებლობაში ხელშეშლის აღკვეთას – მას აღძრული ჰქონდა ნეგატორული სარჩელი. პირველი ინსტანციის სასამართლომ საკუთარი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში იმსჯელა ვინდუკაციური სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველებზე, თუმცა სარეზოლუციო ნაწილით დააკმაყოფილა ნეგატორული სარ-

ჩელი. სააპელაციო სასამართლომ ასევე იმსჯელა ვინდიკაციური სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლებზე, მაგრამ, ამავდროულად, უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ნეგატორული სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

41. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინდიკაციური სარჩელი წარმოადგენს სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის სანივთო-სამართლებრივ საშუალებას. ნეგატორული სარჩელის წარდგენა კი ხდება მაშინ, როცა მესაკუთრე განაგრძობს ნივთზე პირდაპირ მფლობელობას, თუმცა მას ხელი ეშლება მესაკუთრის უფლებამოსილების განხორციელებაში მისი საკუთრების ხელყოფით ან სხვაგვარად.

42. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს თავისი შინაარსით წარდგენილი სარჩელი ვინდიკაციური თუ ნეგატორული და ისე მიიღოს გადაწყვეტილება.

43. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

44. მოცემულ შემთხვევაში გამოვლენილი გარემოებებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის შესაბამისად, არსებობს სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მოტივების მიხედვით, საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს პროცესში მონაწილე მხარეთა სათანადო ინფორმირება საქმის განხილვასა და მასთან დაკავშირებულ არსებით ეტაპებთან დაკავშირებით, ასევე, შესაბამისი კუთხით, იმსჯელოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ასევე არსებობს თუ არა მოცემულ ეტაპზე ყველა მოპასუხის მიმართ საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. ყ-ის, შ. ყ-ის, ნ. წ-ის, თ. ბ-ის, შ. ზ-ის, ბ. ყ-ის, თ. ი-ის, შ. შ-ძის, ნ. ბ-ის, ნ. ტ-ის, დ. ქ-ის, შ. ქ-ის, რ. გ-ისა და მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 4. მესამე პირები

### საპროცესო უფლებამონაცვლეობა

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-898-864-2016

25 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** უფლებამონაცვლედ ცნობა და უფლებამონაც-  
ვლის სასარგებლოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემა

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა აჭა-  
რის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (შემდეგში: ა/რ-ის  
მთავრობა) განცხადება და მის სარეზოლუციო ნაწილში აისახა შემ-  
დეგი:

1.1. ა/რ-ის მთავრობა, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016  
წლის 16 ივნისის განაჩენით დადგენილ სამართლებრივ ურთიერ-  
თობებში, ცნობილი იქნა აჭარის ა/რ-ის ტელე-რადიო დეპარტამენ-  
ტის უფლებამონაცვლედ და

1.2. მის სასარგებლოდ და მოვალეთა: ნ. დ-ის, ნ. დ-ის, პ-ის, თ. ბ-  
ისა და ზ. კ-ის საწინააღმდეგოდ გაიცეს სააღსრულებო ფურცლე-  
ბი, რომლის თანახმადაც:

ა.ა.) თ. ბ-ეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სა-  
სარგებლოდ გადახდება 60 452 ლარი;

ა.ბ.) თ. ბ-ეს, ნ. დ-ესთან სოლიდარულად, აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ გადახდება 31 830 ლარი;

ა.გ.) თ. ბ-ეს, ნ. დ-თან სოლიდარულად, აჭარის ავტონომიური  
რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ გადახდება 1800 ლარი;

ბ.ა.) პ-ეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სა-

სარგებლოდ გადახდება 37 564 ლარი;

ბ.ბ) კ-ეს, ნ. დ-თან სოლიდარულად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ გადახდება 66 547 ლარი;

გ.ა) ნ. დ-ეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ გადახდება 1 102 ლარი;

გ.ბ) ნ. დ-ეს, თ. ბ-ესთან სოლიდარულად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ გადახდება 31 830 ლარი;

გ.გ) ნ. დ-ეს, ზ. კ-თან სოლიდარულად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ გადახდება 1 242 292 ლარი;

დ.ა) ნ. დ-ს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ გადახდება 991 238 ლარი;

დ.ბ) ნ. დ-ს, კ-ესთან სოლიდარულად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ გადახდება 66 547 ლარი;

დ.გ) ნ. დ-ს, თ. ბ-ესთან სოლიდარულად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ გადახდება 1 800 ლარი;

ე) ზ. კ-ს, ნ. დ-ესთან სოლიდარულად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სასარგებლოდ გადახდება 1 242 292 ლარი (იხ. სააპელაციო სასამართლოს 05.09.2016წ. განჩინება).

2. სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინების საფუძველზე გასცა სააღსრულებო ფურცლები.

3. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი წარმოადგინა ნ. დ-მა (შემდეგში: კერძო საჩივრის ავტორი, მსჯავრდებული ან მოვალე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული განმცხადებლის მოთხოვნის – უფლებამონაცვლის დადგენისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე – უარყოფა შემდეგ პრეტენზიებზე დაყრდნობით:

3.1. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია მოვალის კონსტიტუციური უფლება, იდავოს სასამართლო გზით უფლების დაცვაზე, რადგან არა მხოლოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 16 ივნისის №1/ბ-172-06 განაჩინით დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობებში უფლებამონაცვლების დადგენაზე იმსჯელა, არამედ გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რადგან დაადგინა უფლებამონაცვლეობა ისეთ ურთიერთობაზე და საკითხებზე, რაზედაც სისხლის სამარ-

თლის საქმეთა პალატას, მითითებულ განაჩენში არ უმსჯელია და გადაწყვეტილება არ მიუღია;

3.2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 21 ივნისის განაჩენით, მსჯავრდებულს მიესაჯა 3 (სამი) წლით თავისუფლების აღკვეთა და მასვე, აჭარის ა/რ ტელე-რადიო დეპარტამენტის სასარგებლოდ, დაეკისრა თანხების გადახდა: ა) 991 238 ლარის; ბ) პესთან ერთად, სოლიდარულად, 66 547 ლარის გ) თ. ბესთან ერთად, სოლიდარულად, 1800 ლარის. საქალაქო სასამართლოს განაჩენი სრულად გაასაჩივრა მსჯავრდებულმა.

3.3. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 16 ივნისის განაჩენით, კერძო საჩივრის ავტორის ნაწილში, ქვემდგომი სასამართლოს განაჩენი შეიცვალა სრულად. სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილში იკითხება, რომ დამტკიცდა აჭარის არ პროკურატურასა და მსაჯავრდებულს შორის, 2006 წლის 8 ივნისს გაფორმებული საპროცესო შეთანხმება ბრალსა და სასჯელზე და შევიდა ცვლილება საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 21 ივნისის განაჩენში;

3.4. სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის განაჩენში არ არის საუბარი და ამ განაჩენით მსჯავრდებულს არ დაკისრებია რაიმე თანხის გადახდა აჭარის ა/რ ტელე-რადიო მაუწყებლობის დეპარტამენტის სასარგებლოდ. ამდენად, სააპელაციო პალატა მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაეცა სააღსრულებო ფურცელი მსჯავრდებულის წინააღმდეგ თანხების დაკისრების თაობაზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სააღსრულებო კანონი) მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც კანონით ექვემდებარება აღსრულებას. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორზე;

3.5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ, 2006 წლის 18 ოქტომბერს, სააღსრულებო ფურცლის კანონის დარღვევით გაცემა არ ნიშნავს იმას, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას 2016 წლის 16 ივნისის (სისხლის სამართლის საქმეზე № 1/ბ-172) გაეცა სააღსრულებო ფურცელი იმ საკითხზე, რომელიც განაჩენით არ გადაწყვეტილია;

3.6. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო

სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2016 წლის 15 სექტემბრის განჩინებით (საქმე № 2/ზ-765-2016), ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 16 ივნისის განაჩენით დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობებში ა/რ-ის ტელე-რადიო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ მთავრობის ცნობის შესახებ (იხ. ამ განჩინების 1.1. ქვეპუნქტი) და, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, რამდენიმე მოვალის, მათ შორის, კერძო საჩივრის ავტორის, ნინაალმდეგ, საალსრულებო ფურცლის გაცემით (იხ. ამ განჩინების 1.2. ქვეპუნქტი, მე-2 პუნქტი), ფაქტიურად, ახალი გადაწყვეტილება გამოტანილი, რისი უფლებაც სასამართლოს არ ჰქონდა საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე;

3.7. დარღვეულია კერძო საჩივრის ავტორის კონსტიტუციური უფლება, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილები: „1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ... 3. დაცვის უფლება გარანტირებულია“. ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მოთხოვნები, პირველი მუხლი: „საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. 2. სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს“, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი: „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად“;

3.8. გასაჩივრებული განჩინება უკანონოა, რადგან სააპელაციო სასამართლოში არ იყო წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 16 ივნისის განაჩენით დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობებში ა/რ-ის ტელე-რადიო დეპარტამენტის უფლებამონაცვლეობას. კერძო საჩივრის ავტორი აპელირებს იმაზე, რომ საქმის მასალებში განმცხადებლის მიერ, მტკიცებულების სახით, წარდგენილია ბათუმის საქალაქო სა-

სამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლის მიხედვითაც დადგენილია: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა აღიარებული იქნას ლიკვიდირებული პირის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქვეუწყებო დაწესებულების ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ, ე. ფ-ისათვის სარჩოს ოდენობის ხელახლა განსაზღვრის და მისი უვადოდ გაცემის შესახებ“ დეპარტამენტის თავმჯდომარის 2009 წლის 30 ოქტომბრის №57 ბრძანებითა და ამ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, დეპარტამენტის თავმჯდომარის 13.08.2012წ. ბრძანებით განსაზღვრული შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, მოსარჩელისათვის სარჩოს გაცემაში“.

3.9. კერძო საჩივრის ავტორი, 3.8 ქვეპუნქტში მითითებულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით, განმარტავს, რომ ა/რ-ის მთავრობა მხოლოდ კონკრეტულ ურთიერთობაში იქნა აღიარებული ტელე-რადიო დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ, ასევე, აღნიშნავს, 28.11.2014წ. გადაწყვეტილების (იხ. 3.8. ქვეპუნქტი) 6.2 და 6.4 ქვეპუნქტებით ა/რ-ის მთავრობის მიერ არ განხილულა ლიკვიდირებული დაწესებულების უფლებამონაცვლის საკითხი და არ ყოფილა განსაზღვრული სამართალმემკვიდრე, ე. ფ-ისათვის საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების ანაზღაურებისა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების მხრივ. ამდენად, დასახელებული გადაწყვეტილება კონკრეტული პირისათვის სარჩოს ანაზღაურების ნაწილში ადგენს ლიკვიდირებული დაწესებულების უფლებამონაცვლეობის საკითხს და არა სხვა პასივებისა და აქტივების ნაწილში. დასახელებული გადაწყვეტილება ვერ დაედება საფუძვლად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ, 2006 წლის 18 ოქტომბერს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული აჭარის ა/რ-ის ტელე-რადიო დეპარტამენტის უფლებამონაცვლეობას, რადგან ეს უკანასკნელი კრედიტორად არ არის მითითებული.

3.10. სააპელაციო სასამართლომ, 2006 წლის 18 ოქტომბერს, არასწორად გასცა სააღსრულებო ფურცელი, რადგან მასში მითითებული საკითხი თანხის დაკისრების თაობაზე, არ განუხილავს. სააპელაციო სასამართლოს 16.06.2006წ. განაჩენის მიხედვით, კერ-

ძო საჩივრის ავტორს ედავებოდნენ 1999-2000 წწ., დანაშაულებრივი გზით, ზიანის მიყენებას ტელე-რადიო დეპარტამენტისათვის. დასახელებულ წლებში, ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – ტელე-რადიო დეპარტამენტი არ არსებობდა, იგი მხოლოდ 05.10.2004წ. №58 დადგენილებით შეიქმნა, შესაბამისად, არც არის და ვერც იქნებოდა ბათუმის საქალაქო და შემდეგ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების განაჩენებში (იხ. ამ განჩინების 3.2-3.3 ქვეპუნქტები) დასახელებული დეპარტამენტი მითითებული. კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, სწორედ ამის გამო არ არის ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის დეპარტამენტი ნახსენები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემულ 18.10.2006წ. სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად. სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად მოხსენიებული ა/რ-ის ტელე-რადიო დეპარტამენტი, ასევე, არ არის ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის დეპარტამენტის წინამორბედი აჭარის ა/რ-ის ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააღსრულებო ფურცელში მითითებული იქნებოდა არა აჭარის ა/რ-ის ტელე-რადიო დეპარტამენტი, არამედ აჭარის ა/რ-ის ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტი;

3.11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 სექტემბრის გასაჩივრებული განჩინებით აჭარის მთავრობა ცნობილი იქნა უფლებამონაცვლედ (იხ. 1.1. ქვეპუნქტი) და მის სასარგებლოდ გაიცა სააღსრულებო ფურცელი, სააღსრულებო კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, „სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაცემულ იქნეს გადაწყვეტილებაში დასახელებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა ნათელია ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ ან დაამონშა ნოტარიუსმა. თუ საჭირო დადასტურება ვერ ხერხდება სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამონშებული დოკუმენტის საშუალებით, მაშინ კრედიტორმა ან მისმა უფლებამონაცვლე პირმა უფლებამონაცვლეობის დადგენის და სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უნდა მიმართოს

გადანყვეტილების გამომტან სასამართლოს“.

3.12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 16 ივნისის განაჩენით კერძო საჩივრის ავტორს არ დაკისრებია რაიმე თანხის გადახდა. მსჯავრდებულს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და თანხის გადახდა დაეკისრა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 21 ივნისის განაჩენით (იხ. 1-2 პუნქტები);

3.13. აჭარის მთავრობამ, როგორც განმცხადებელმა, საკუთარი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სსსკ-ის 92-ე მუხლზე, რომელიც საპროცესო უფლებამონაცვლეობას ადგენს: „1. სადავო ან სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. 2. უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა. 3. უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას 279-ე მუხლის შესაბამისად. 4. უფლებამონაცვლით შეცვლის ან ასეთ შეცვლაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა“.

3.14. კერძო საჩივრის ავტორი, მითითებულ დანაწესზე ამახვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე, თუმცა, არა საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ. საქმის წარმოების დასრულების შემდეგ, შეუძლებელია უფლებამონაცვლეობა დადგინდეს, სსსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოში განცხადების შეტანის გზით. მას შემდეგ, როდესაც საქმის წარმოება დამთავრებულია, უფლებამონაცვლის დადგენა უნდა მოხდეს სასარჩელო წარმოების გზით, როგორც ეს მოხდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 28.11.2014წ. გადანყვეტილებით კონკრეტული პირის მიმართ (იხ. ამ განჩინების 3.8-3.9 ქვეპუნქტები);

3.15. მთავრობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა ხანდაზმულობის საკითხზე, რაც სააპელაციო სასამართლოსადმი წარდგენილ მოსაზრებებშიც აქვს დაფიქ-

სირებული. მოვალე 2005 წლის 21 ივნისისათვის მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ) 128-ე მუხლზე და სააღსრულებო წარმოებათა კანონის 34.1 „ე“ ქვეპუნქტზე უთითებს, რომლითაც დადგენილია, რომ აღსრულება შეწყდება თუ, გავიდა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, 07.12.2010წ. ცვლილებაზე რედაქციით, ხოლო შემდეგ შევიდა ცვლილება, რომლითაც გაუქმდა ხანდაზმულობის ვადა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რაც მოვალეზე ვერ გავრცელდება, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით: „1. ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. 2. ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“, იგივეა მითითებული საქართველოს კონსტიტუციის 42.5 მუხლშიც: „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“;

3.16. დაუსაბუთებელია გასაჩივრებული განჩინების 2.13 პუნქტში მითითებული მსჯელობა: „ამავდროულად პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალების თანახმად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 27 სექტემბერს და ამის შესაბამისად, ამ განჩინების გამოტანის დროისათვის, გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის დადგენილი ვადა გასული არ არის“. კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, სასამართლომ გაიზიარა მისი მტკიცება, რომ იმ შემთხვევაში, თუ იარსებებდა მოთხოვნა ამ მოვალის მიმართ, იარსებებდა აღსასრულებელი მოთხოვნა თუნდაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 16 ივნისის განაჩენის საფუძველზე, რაზედაც ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. გასაჩივრებული განჩინების მითითებით იმის თაობაზე, რომ არ იყო გასული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა და იგი გადის 2016 წლის 27 სექტემბერს, ცხადი ხდება, თუ რატომ გადმოიტანა ა/რ-ის მთავრობის განცხადების განხილვის თარიღი სააპელაციო სასამართლომ 2016 წლის 5 სექტემბერს. მოვალე იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ მოცემული ხანდაზმულობის ვადა გასული იქნება კერძო საჩივრის საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, რაც ერთ-ერთი საფუძველია, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და მოვალის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

4. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივარი მიღებულია განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

5. სსსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს, შესაბამისად, ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავდროულად კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

6. სსსკ-ის 407.2 მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტების ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მისი პრეტენზიების ნაწილი დასაბუთებულია.

7. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს საქმის მასალებში განთავსებულ სასამართლო აქტებზე, რათა განიმარტოს აღსასრულებელი გადაწყვეტილების მხარეთა ვინაობა, კრედიტორის უფლებამონაცვლეობის მართლზომიერებისა და კერძო საჩივრის ავტორის, როგორც მოვალის, წინააღმდეგ გაცემული სააღსრულებო ფურცლის იურიდიული დასაბუთებულობის საკითხი.

8. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 21 ივნისის განჩინებით კერძო საჩივრის ავტორს მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც, საბოლოოდ, იმხანად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის საფუძველზე, კონკრეტული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელით, 3 (სამი) წლით

თავისუფლების აღკვეთით, განისაზღვრა. მსჯავრდებულს, დამატებითი სასჯელის სახით, ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 1 (ერთი) წლის ვადით. მითითებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებულს, აჭარის ა/რ ტელერადიო დეპარტამენტის სასარგებლოდ, დაეკისრა 991 238 ლარის გადახდა, მასვე დაეკისრა, პ-ესთან ერთად, სოლიდარულად, 66 547 ლარის, ხოლო თ. ბ-ესთან ერთად, სოლიდარულად, 1800 ლარის გადახდა. (იხ. ასევე, ამ განჩინების 3.2. ქვეპუნქტი).

9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2006 წლის 16 ივნისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილის მიხედვით, დგინდება, რომ აჭარის ა/რ-ის პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შედეგად, დამტკიცდა პროკურორსა და მსჯავრდებულს (კერძო საჩივრის ავტორს) შორის 2006 წლის 8 ივნისს გაფორმებული საპროცესო შეთანხმება ბრალსა და სასჯელზე, რომლის შესაბამისად ცვლილებები შევიდა საქალაქო სასამართლოს განაჩენში და განისაზღვრა, რომ მსჯავრდებულს, გასაჩივრებული განაჩენით დადგენილი სასჯელი, 3 წლით თავისუფლების აღკვეთა (იხ. მე-8 პუნქტი), ჩაეთვალოს პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

10. მე-9 პუნქტში მითითებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ასახულია ყველა ის ცვლილება, რომელიც შევიდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 21.06.2005წ. განაჩენში, მათგან, კერძო საჩივრის ავტორის გამორიცხვით, ზოგიერთი მოვალისათვის დაკისრებული თანხების გადახდის ნაწილშიც, ამდენად, აჭარის არის ტელერადიო დეპარტამენტის სასარგებლოდ, კერძო საჩივრის ავტორისათვის ქვემდგომი სასამართლოს განაჩენით დაკისრებული თანხები არ შეცვლილა (იხ. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი). საკასაციო სასამართლო იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 05.09.2016წ. გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომელიც ასახავს, კერძო საჩივრის ავტორისათვის დაკისრებული თანხების გადახდის ვალდებულების ნაწილში, საქალაქო სასამართლოს 21.11.2005წ. განაჩენის უცვლელად დატოვებას (იხ. გასაჩივრებული განჩინება, 2.2.-2.26 ქვეპუნქტები).

11. წინამდებარე განჩინების 7-10 პუნქტებში განვითარებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, კერძო საჩივრის

ავტორის პრეტენზიები (იხ. 3.3.-3.4, 3.12 ქვეპუნქტები) იმის თაობაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს 16.06.2006წ. განაჩენით მას არანაირი თანხა არ დაკისრებია, დაუსაბუთებელია.

12. საკასაციო სასამართლო, ყურადღებას გაამახვილებს, რომ 21.11.2005წ. და 16.06.2006წ. განაჩენებით, კერძო საჩივრის ავტორის, როგორც მოვალის, გადახდის ვალდებულება დადგინდა აჭარის ა/რ ტელე-რადიო დეპარტამენტის სასარგებლოდ. ამდენად, საკასაციო სასამართლოს კვლევის საკითხია მოვალის პრეტენზია, რომელიც ეხება ა/რ-ის მთავრობის განცხადებას, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საქმისწარმოების ეტაპზე, უფლებამონაცვლეობის დადგენის თაობაზე.

13. საქმის მასალების მიხედვით, გასაჩივრებული განჩინების მსჯელობისა და შეფასების საგანი გახდა ა/რ-ის მთავრობის განცხადება უფლებამონაცვლედ ცნობისა და სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ.

14. განმცხადებლის სამართლებრივი მოტივაციისა და მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 05.09.2016წ. განჩინების შეფასებისას, უნინარესად, საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 92-ე მუხლის დანაწესზე (იხ. 3.13-ქვეპუნქტი) გაამახვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ დასახელებული ნორმა „წარმოადგენს საპროცესო უფლებამონაცვლეობის მარეგულირებელ ნორმას და მისი პირველი ნაწილი სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დასაშვებად მიიჩნევს სასამართლოს მხრიდან ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით“ (სუსგ № 683-654-2016, 16.09.2016წ.).

15. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიას (იხ. 3.13-3.14 ქვეპუნქტები) იმის თაობაზე, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობა დასაშვებია მხოლოდ საქმის წარმოების ეტაპზე, ნებისმიერ დროს, თუმცა, არა მისი დასრულების შემდეგ, თუკი, საქმე დამთავრდა, მაშინ სასარჩელო წარმოების გზით უნდა მოხდეს უფლებამონაცვლეობის დადგენა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამგვარი ინტერპრეტაცია არ

გამომდინარეობს სსსკ-ის 92-ე მუხლის დანაწესიდან, მისი პირველი ნაწილის დეფინიციის მიხედვით, უფლებამონაცვლეობის საფუძვლები, რომელიც არ არის ამომწურავად დადგენილი 13.07.2006წ. №3435 ცვლილების შეტანის შემდეგ (შდრ. 3.13 ქვეპუნქტში მითითებული რედაქცია ამ ცვლილებამდე არსებულ რეგულაციას, რომელიც შემდეგნაირადად იყო ჩამოყალიბებული: „სადავო ან სასამართლოს გადანყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე“), დასაშვებად მიიჩნევს ვითარებას, როდესაც სამართლებრივი ურთიერთობის თავდაპირველი სათანადო მხარე, როგორც სუბიექტი, იცვლება სხვა პირით, ასეთი შეცვლა კი ეფუძნება კანონით დადგენილ საფუძვლებს. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის, რომ უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალშიც უნდა იყოს დასაშვები, რათა საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი დადგეს. „საპროცესო უფლებამონაცვლეობის საფუძველია უფლებამონაცვლეობა მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე თავისი წინამორბედის უფლებებსა და მოვალეობებს“ (იხ. სუსგ №ას-223-215-2012, 03.05.2012წ.).

16. საპროცესო უფლებამონაცვლეობა კი პროცესის ყოველ სტადიაზე დაიშვება და, არა მხოლოდ სასამართლოში საქმის წარმოების ეტაპზე, მათ შორის გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან მის აღსრულებამდეც. საპროცესო უფლებამონაცვლეობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მისი წინამორბედის მიერ შესრულებული საპროცესო მოქმედებების ხელმეორედ (განმეორებით) შესრულების მოთხოვნა მას არ შეუძლია, ასევე, თუკი, საპროცესო უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა გადანყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ე.ი. წინამორბედი პირის გარდაცვალებამდე ან იურიდიული პირის რეორგანიზაციამდე, მაშინ უფლებამონაცვლეს არ შეუძლია გაასაჩივროს ეს გადანყვეტილება.

იმ შემთხვევაში, თუ უფლებამონაცვლეობა წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, მაგრამ მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, უფლებამონაცვლეს შეუძლია გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრება.

17. საქმის მასალების მიხედვით, დგინდება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 16 ივნისის განაჩენის საფუძველზე, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა იმავე წლის 27 სექტემბერს, იმავე სასამართლოს მიერ, 2006 წლის 22 ივნისს, გაიცა განკარგულება კერძო საჩივრის ავტორის მიმართ განაჩენის აღსასრულებლად, ხოლო 2006 წლის 18 ოქტომბერს გაიცა ორი სააღსრულებო ფურცელი მოვალისათვის ამ განჩინების მე-8 პუნქტში დაკისრებული თანხების, კრედიტორის – აჭარის ა/რ-ის ტელერადიო დეპარტამენტის სასარგებლოდ – გადახდისა და მოვალის პირადი ქონების, რომელიც წინასწარი გამოძიების მიერ იქნა დაყვადებული, მეორე კრედიტორის – სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, საპროცესო კონფისკაციის შესახებ. აჭარის ა/რ-ის სააღსრულებო ბიუროს 26.10.2006წ. გაეგზავნა დასახელებული განკარგულება და სააღსრულებო ფურცლები.

18. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია კერძო საჩივრის ავტორის 3.6-3.11, 3.13-2.14 ქვეპუნქტებში მითითებული პრეტენზიები. ამ კონტექსტში კი მნიშვნელოვანია გასაჩივრებული განჩინების (05.09.2016წ.) მსჯელობისა და დასკვნების გაანალიზება.

19. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით, აჭარის ა/რ-ის მთავრობის 05.10.2004 წ. №58 დადგენილებით ა/რ-ის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტი გარდაიქმნა ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებად – ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტად.

20. არ-ის მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის №33 დადგენილების საფუძველზე კი, 2014 წლის 1 იანვრიდან მოხდა ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის ლიკვიდაცია, ხოლო დაწესებულების ლიკვიდაციის შემდეგ კი, დეპარტამენტის ქონება გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

21. აჭარის ა/რ-ის კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

ქონებას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე განკარგავს“. ამავე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით კი, ა/რ-ის მთავრობის თავმჯდომარე ა/რ-ის მთავრობის ხელმძღვანელია.

22. წინამდებარე განჩინების 19-21 პუნქტებში მითითებული გარემოებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ეხება, სუბიექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაა.

23. სააღსრულებო წარმოებათა კანონის 24-ე მუხლის დანაწესის (იხ. 3.11 ქვეპუნქტი) შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ა/რ-ის მთავრობის მოთხოვნა და დააკმაყოფილა, იმავდროულად, გასაჩივრებული განჩინების 2.13 ქვეპუნქტში იმსჯელა ხანდაზმულობის საკითხზეც (იხ. ამ განჩინების 3.16 ქვეპუნქტი).

24. კერძო საჩივრის ავტორის პრეტენზიების კვლევისას, საყურადღებოა, რომ ა/რ-ის მთავრობის 2004 წლის 5 ოქტომბრის დადგენილებით, ა/რ-ის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტი, მის ბალანსზე რიცხული ქონების ბაზაზე, რეორგანიზებული იქნა ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დანსებულებად – ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტად. აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. ასევე, საგულისხმოა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ დავაზე, რაზედაც კონკრეტულ პრეტენზიებს აცხადებს კერძო საჩივრის ავტორი (იხ. ამ განჩინების 3.8-3.9 ქვეპუნქტები). მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ 2006 წლის 18 ოქტომბერს გაცემულ სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად მითითებული: აჭარის ა/რ-ის ტელე-რადიო დეპარტამენტი, რომლის სასარგებლოდაც მოვალეს (კერძო საჩივრის ავტორს) დაეკისრა, როგორც პირადად, ისე, სხვა პირებთან ერთად, სოლიდარულად, კონკრეტული თანხების გადახდა, არ არის ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 28.11.2014წ. გადაწყვეტილებით (რომელიც უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის

08.04.2015წ. განჩინებით), დადგენილი აჭარის არ საქვეუწყებო დაწესებულების-ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ლიკვიდირებული დეპარტამენტის უფლებამონაცვლე. თავის მხრივ, ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლე არ არის არც სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო. ამ საკითხის თაობაზე, სასამართლომ, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ საქმეზე, მიუთითა: დასახელებული სსიპ შეიქმნა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 12 ივლისს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად. ამავე კანონის 35<sup>1</sup>-ე მუხლით განისაზღვრა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სტატუსი, რომლის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო იქმნება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, „შესაბამისად, ცალსახაა, რომ იგი ვერ განიხილება აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების უფლებამონაცვლედ მხოლოდ იმის გამო, რომ აჭარის ა/რ მთავრობის გადაწყვეტილებით, სარგებლობს მის კუთვნილებაში რიცხული ქონებით და, ასევე, ფუნქციურად ეწევა იმ საქმიანობას, რასაც ლიკვიდირებული დაწესებულება ეწეოდა... სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ჯერ კიდევ აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის ლიკვიდაციამდე შეიქმნა, შესაბამისად, საფუძველს მოკლებულია მისი ლიკვიდირებული დაწესებულების სამართალმემკვიდრედ განხილვა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც, აჭარის ა/რ მთავრობას მსგავსი სახის გადაწყვეტილება მისივე საქვეუწყებო დაწესებულების ლიკვიდაციის შესახებ გამოცემულ სამართლებრივ აქტში არ გაუთვალისწინებია“.

25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის განჩინებით (იხ. სუსგ ბს-№-456-449 (2კ-15)) სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.04.2015წ. განჩინება უცვლელად დარჩა. საკასაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება (იხ. 24-ე პუნქტი).

26. წინამდებარე განჩინების 24-25 პუნქტებში ასახული მსჯე-

ლობის მიზანია, სააპელაციო სასამართლოს 05.09.2016წ. გასაჩივრებული განჩინების დასკვნებისა და მის საფუძველზე მოვალის (კერძო საჩივრის ავტორის) წინააღმდეგ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მართლობიერების დადგენა.

27. სააღსრულებო წარმოებათა კანონის 23.3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით, სხვა სავალდებულო მონაცემებთან ერთად, სპეციალური კანონით დადგენილია კრედიტორისა და მოვალის დასახელებების და რეკვიზიტების მითითება, მათ შორის, პირადი ნომრები ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრები, ასევე, სააღსრულებო ფურცლის გამცემი ორგანოსთვის ცნობილი სხვა საკონტაქტო მონაცემები. ამავე კანონის 24-ე მუხლი ადგენს სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესაძლებლობას კრედიტორის ან მოვალის უფლებამონაცვლის, შესაბამისად, სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ (იხ. დასახელებული ნორმის დეფინიცია ამ განჩინების 3.11. ქვეპუნქტში). განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სადავოა, სწორედ კრედიტორის უფლებამონაცვლეობის საკითხი, მნიშვნელოვანია როდის წარმოიშვა და რა სამართლებრივი წინაპირობის საფუძველზე საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი (იხ. ამ განჩინების 12-22 პუნქტები).

28. ზემოხსენებული ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების საფუძველზე, უდავოა, რომ 18.10.2006წ. გაცემულ სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად მითითებულია აჭარის ა/რ-ის ტელერადიო დეპარტამენტი. საქმის მასალების მიხედვით, აჭარის ა/რ-ის მთავრობის 05.10.2004წ. №58 დადგენილებით (ამ პუნქტში დასახელებული სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე თითქმის ორი წლით ადრე) ა/რ-ის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო დეპარტამენტი გარდაიქმნა ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებად – ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტად.

29. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ 28-ე პუნქტში მითითებული გარემოებების მიხედვით, არ დგინდება რომ №58 დადგენილებით შექმნილი ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის უფლებამონაცვლეა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 18.10.2006წ. გაცემულ სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად მითითებული აჭარის ა/რ ტელერადიო დეპარტამენტი. აღნიშნული

დასკვნის საფუძველს, საკასაციო სასამართლოს აძლევს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტი ადმინისტრაციულ საქმეზე, რომ ა/რ-ის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – ტელევიზიისა და რადიომუშყებლობის დეპარტამენტის ლიკვიდაცია მოხდა. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი დასახელებული საქვეუწყებო დაწესებულების უფლებამონაცვლედ, 18.10.2006წ. გაცემულ სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად მითითებული, აჭარის ა/რ-ის ტელერადიო დეპარტამენტის ცნობის დამადასტურებელი აქტი, რაც სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანი გახდებოდა.

30. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის 28.11.2014წ. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს არ აქვთ გაუქარწყლებადი პრეზუმფციის მნიშვნელობა, რადგან ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები ადმინისტრაციულ საქმეზე, ვერ იქნება უდავო ძალის მტკიცებულებად გამოყენებული სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სამოქალაქო დავაზე, საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სააპელაციო სასამართლოს მიერ 18.10.2006წ. გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული კრედიტორის საპროცესო უფლებამონაცვლედ აჭარის ა/რ-ის მთავრობის (ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული განმცხადებლის) მიჩნევის საფუძვლიანობას. გასათვალისწინებელია საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული 28.11.2011წ. გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები (იხ. 24-25 პუნქტები) და, ამ კონტექსტის გათვალისწინებით, დამატებით კვლევას და დასაბუთებას საჭიროებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული (05.09.2016წ.) განჩინება, რომელიც ეფუძნება 19-22 პუნქტებში ასახულ მოტივაციას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 21-ე პუნქტში ასახული მსჯელობა და დასკვნა, რომელიც ა/რ-ის კონსტიტუციის ნორმას ეფუძნება. ამასთან, გასათვალისწინებელია, საკასაციო სასამართლოს განჩინებაში ასახული მსჯელობა და დასკვნები (იხ. 24-25 პუნქტები).

31. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ

სააპელაციო სასამართლოს მიერ 18.10.2006წ. გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული კრედიტორი – აჭარის ა/რ-ის ტელე-რადიო დეპარტამენტი ვერ იქნა მოძიებული, რაც საფუძვლად დაედო აჭარის ა/რ-ის მთავრობისადმი აღსრულების ეროვნული ბიუროს აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიუროს 2016 წლის 12 ივლისის №02/06-03-03709-007/003 წერილობით შეტყობინებას იმ დასაბუთებით, რომ 18.10.2006წ. გაცემულ სააღსრულებო ფურცელში დასახელებული კრედიტორი ლიკვიდირებული იყო, შესაბამისად, უნდა დადგენილიყო კრედიტორი ორგანიზაციის უფლებამონაცვლე, რის გამოც, მთავრობას ეთხოვა, უმოკლეს ვადაში წერილობით ეცნობებინა სააღსრულებო ბიუროსათვის, რომელი ორგანიზაცია წარმოადგენდა კრედიტორის უფლებამონაცვლეს. იმავე წერილში მითითებულია, რომ სააღსრულებო წარმოებათა კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე, აღსრულების ეროვნული ბიურო აჩერებს აღსრულებას სასამართლოს მიერ მისი უფლებამოსილების დადგენამდე და ამავე მუხლის 17.1 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა“, წერილის ადრესატს ეთხოვა, 1 (ერთი) თვის ვადაში წარედგინა კრედიტორის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ბიუროს აღნიშნული შეტყობინება დაედო საფუძვლად, ა/რ-ის მთავრობის განცხადებით მიმართვას სასამართლოსადმი (იხ. პირველი პუნქტი).

32. განსახილველ შემთხვევაში, სსსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო უფლებამონაცვლეობის წინაპირობა შესაძლოა იყოს კრედიტორი ორგანიზაციის ლიკვიდაცია, თუმცა, როდის მოხდა ეს და როდიდან წარმოიშვა საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი, საჭიროა დამატებით გამოკვლევა.

33. საკასაციო სასამართლო, ასევე ყურადღებას გაამახვილებს კერძო საჩივრის 3.15-3.16 ქვეპუნქტებში ასახულ პრეტენზიებზე, რომელიც ხანდაზმულობის საკითხს ეხება. ამ კონტექსტში, საყურადღებოა 18.10.2006წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების სამართლებრივი საკითხი. იმხანად მოქმედი სააღსრულებო წარმოებათა კანონის მე-20 მუხლი ადგენდა: 1. „სააღსრუ-

ლებო წარმოება არ დაიშვება სააღსრულებო ფურცლის გარეშე, გარდა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებთან და უცხოელთა საქართველოდან გაძევებასთან დაკავშირებული საქმეებისა. (23.06.2006 №3384). 2. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას“. ხოლო იმავე რედაქციის მიხედვით, 25-ე მუხლით აღსრულების დაწყებას შემდეგნაირად ადგენდა: „1. აღსრულება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მაშინ, თუ პირები, რომელთა სასარგებლოდ და სანინააღმდეგოდ უნდა მოხდეს აღსრულება, კონკრეტულად არიან დასახელებულნი სააღსრულებო ფურცელში და სასამართლო სააღსრულებო ფურცელს მისცემს კრედიტორს. თუ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ან/და ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ, სასამართლო სააღსრულებო ფურცელს მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით გზავნის სააღსრულებო ბიუროში. (5.12.2000). 2. აღსრულების შესახებ უწყებას მოვალეს, კრედიტორსა და სხვა მონაწილე პირებს აბარებს სასამართლო აღმასრულებელი. 3. უწყება უნდა ჩაბარდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. 4. სააღსრულებო ფურცელი წარდგენილი უნდა იქნეს სააღსრულებო ბიუროში მოვალის ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით (5.12.2000 №636)“.

34. განსახილველ შემთხვევაში, 18.10.2006წ. სააღსრულებო ფურცელი გაიცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 16 ივნისის განაჩენის (რომელიც კანონიერ ძალაშია შესული იმავე წლის 27 სექტემბრიდან) აღსრულების მიზნით. სააღსრულებო ფურცელში კრედიტორად მითითებულია აჭარის არ-ის

35. ტელერადიო დეპარტამენტი. ამ განჩინების 31-ე პუნქტში მითითებული გარემოების საფუძველზე, ცხადია, რომ 2006 წლის 18 ოქტომბრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე ვერ მოხდა აღსრულება, რადგან კრედიტორად დასახელებული პირი ვერ იქნა მოძიებული.

36. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სააღსრულებო კანონის, როგორც აღსრულების პროცედურის სპეციალური მონესრიგების, 17.1 მუხლზე (იხ. 31-ე პუნქტი), ხოლო ამავე კანონის მე-7 თავით დადგენილია აღსრულების გადადების, შეწყვეტის, შეჩერების, აღსასრულებელი დოკუმენტის უკან დაბრუ-

ნების სამართლებრივი საფუძვლები. საკასაციო სასამართლო, უწინარესად, აღსრულების შეწყვეტის ორ საფუძველზე, კერძოდ, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე „გავიდა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა“ და „ზ“ ქვეპუნქტზე „განხორციელდა იურიდიული პირის (კრედიტორის ან მოვალის) ლიკვიდაცია და სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობით უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია ან არ არსებობს უფლებამონაცვლე“ გამახვილებს ყურადღებას, რადგან კერძო საჩივრის ავტორის ერთ-ერთი პრეტენზია აღსასრულებელი გადაწყვეტილების ხანდაზმულობასაც ეხება (იხ. ამ განჩინების 3.15 და 3.16 ქვეპუნქტები). მოვალის პრეტენზია, რომელიც ეფუძნება 07.12.2010წ.-მდე არსებული რედაქციით: „სპეციალური კანონის 34.1 „ე“ ქვეპუნქტს, დამატებით გამოკვლევას საჭიროებს, რადგან დასახელებულ თარიღამდე ნორმა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: აღსრულება შეწყდება, თუ „გავიდა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა“, ხოლო მოქმედი რედაქციით: „გავიდა აღსასრულებელი გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა“. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, ასევე, გასათვალისწინებელია, 34-ე მუხლის მოქმედი რედაქცია, რომელსაც „კ“ ქვეპუნქტი აქვს დამატებული, რომლის მიხედვით, აღსრულება შეწყდება „თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ საქმეზე სააღსრულებო წარმოების დაწყებიდან გასულია 10 წელი, გარდა ალიმენტის გადახდევინების შესახებ, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებისა, აგრეთვე სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ წარმოებული სააღსრულებო საქმეებისა“ (17.06.2011. №4827 ამოქმედდა 2011 წლის 1 ივლისიდან).

37. კერძო საჩივრის ავტორი, ხანდაზმულობის საკითხს აყენებს, რაც მის მიერ მითითებული ნორმის კონკრეტულ პერიოდში მოქმედი რედაქციის საფუძვლის გარდა, მართებული იურიდიული კვალიფიკაციისათვის ყოველმხრივ უნდა შემოწმდეს დამატებით.

იმის გათვალისწინებით, რომ 2006 წლის 18 ოქტომბერს გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულებისათვის კანონით დადგენილია 10-წლიანი ვადა, ხოლო ამ ვადის განმავლობაში, 2016 წლის 12 ივლისს, სააღსრულებო ბიურომ შეუძლებლად მიიჩნია გადაწყვეტილების აღსრულება კრედიტორის უფლებამონაცვლის დადგენამდე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გამოყენებული უნდა იქნეს სააღსრულებო წარმოებათა კანონის მოქმედი რედაქცია, ამასთან, 34-ე მუხლის ფარგლებში სასამართლოს მიერ დამატებითი გამოკვლევისას, მხედველობაშია მისაღები ამავე სპეციალური კანონის 17.7 მუხლის: „აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, აღსრულების ცალკეული სახეების შინაარსი და შესაძლებლობები, დაეხმაროს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში“ დანაწესი და ის გარემოებაც, რომ სააღსრულებო ბიუროს მიმართვის საფუძველზე, ერთი თვის ვადაში არ მომხდარა კრედიტორის უფლებამონაცვლის სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცლის წარდგენა აღმასრულებლისათვის, სააღსრულებო კანონის 17.1 მუხლის შესაბამისად (იხ. ამ განჩინების 31-ე, 34-35-ე პუნქტები).

38. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოხსენებული მსჯელობისა და დასკვნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია დადგინდეს, როდის წარმოიშვა და რა მატერიალურსამართლებრივი წინაპირობის საფუძველზე საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი, რადგან განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველად მატერიალური ნორმის მოძიების გარეშე ვერ გადაწყდება საპროცესო უფლებამონაცვლეობის საკითხი, ამასთან, გამოსაკვლევიან ხანდაზმულობის საკითხიც.

39. საკასაციო სასამართლო, კერძო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების გამო, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს უბრუნებს იმავე სასამართლოს არ-ის მთავრობის განცხადების ხელახლა განსახილველად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

## **დაადგინა:**

1. ნ. დ-ის კერძო საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინებაზე, დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 5 სექტემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განცხადების ხელახლა განსახილველად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **საპროცესო უფლებამონაცვლითა**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ას-1012-932-2017

31 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
პ. ქათამაძე (მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი**

**დავის საგანი:** ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თანხის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით ბ. ხ-ის (შემდეგში: მოსარჩელის) სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელესა და სს „უ-ს“ (შემდეგში: პირველ მოპასუხეს ან კერძო საჩივრის ავტორს) შორის 2011 წლის 21 აპრილს დადებული ხელშეკრულება მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი მოსარჩელის მიერ 2011 წლის 20 აპრილს ი. ხ-ის სახელზე გაცემული მინდობილობა; მოსარჩელის

მოთხოვნა შპს „კ-ას“ (შემდეგში – მეორე მოპასუხის) მიმართ თანხის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. მოსარჩელე მოითხოვს სარჩელის დაუკმაყოფილებლობის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებას, ხოლო პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა – ამავე გადაწყვეტილების სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 მარტის განჩინებებით მოსარჩელეს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი, ხოლო პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული.

4. 2015 წლის 28 მარტს მოსარჩელე გარდაიცვალა.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 14 აპრილის განჩინებით მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივრებზე შეჩერდა საქმის წარმოება მოსარჩელის უფლებამონაცვლის დადგენამდე, 2016 წლის 14 აპრილამდე.

6. უფლებამონაცვლების საკითხების გასარკვევად სააპელაციო სასამართლომ 2017 წლის 16 თებერვალს დანიშნა სასამართლო სხდომა, რომელიც სხვა დროისთვის გადაიდო მოსარჩელის სავარაუდო უფლებამონაცვლის საკითხის გარკვევამდე.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 20 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის სავარაუდო უფლებამონაცვლეს დაევალა, ამ განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში წარედგინა უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

8. 2017 წლის 16 მარტს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს. განმცხადებელმა სასამართლოში წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 ოქტომბრის განჩინება ე. ნ-ის (მოსარჩელის პირველი რიგის მემკვიდრის) შეგებებული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ და განმარტა, რომ ამ დროისათვის მოსარჩელის პირველი რიგის მემკვიდრეებს შორის მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა

სამკვიდრო ქონების თაობაზე, რის გამოც ნოტარიუსმა სამკვიდრო მონშობა არ გასცა. აქედან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა მოცემულ საქმეზე წარმოების შეჩერების გაგრძელება სხვა საფუძველით – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომი: სსსკ-ის) 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, კერძოდ, იმის გამო, რომ მოცემული საქმის განხილვა შეუძლებელი იყო ზემოხსენებული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტამდე. ასეთ დროს, სსსკ-ის 281-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის წარმოება ჩერდება სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინებით: მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; მოსარჩელისა და პირველი მოპასუხის სააპელაციო საჩივრებზე საქმის წარმოების შეჩერების ვადა გაგრძელდა სამოქალაქო საქმეზე (საქმის ნომერი – 2/20486-15; შეგვებულნი სარჩელის ავტორი – ე. ნ-ი; მოპასუხე – მ. ხ-ი; დავის საგანი – მესაკუთრედ აღიარება, სამკვიდრო პასივში წილის განსაზღვრა; თანხის დაკისრება) მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

10. სასამართლომ დაადგინა, რომ ე. ნ. და მ. ხ-ი მოსარჩელის პირველი რიგის მემკვიდრეები არიან, რომელთა შორის არსებულ დავას, მესაკუთრედ აღიარების, სამკვიდრო პასივში წილის განსაზღვრისა და თანხის დაკისრების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილავს. სასამართლოს მოსაზრებით, არსებულ ვითარებაში იკვეთებოდა მოსარჩელის წარმომადგენლის დასაბუთებული იურიდიული ინტერესი საქმის წარმოების შეჩერების ვადის გაგრძელების თაობაზე. რეალურად, საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი ჯერ არ აღმოფხვრილა, რადგან მოსარჩელის პირველი რიგის მემკვიდრეებს შორის ჯერ კიდევ მიმდინარეობდა სამოქალაქო დავა, რაც ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლის დადგენას გამორიცხავდა ხსენებული სამოქალაქო დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 7.2, 64-ე, 372-ე მუხლებით, 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტითა და 281-ე მუხლით.

11. სააპელაციო სასამართლოს დასახელებული განჩინება პირველმა მოპასუხემ კერძო საჩივრით გაასაჩივრა. კერძო საჩივრის

საფუძვლები:

11.1. გასაჩივრებული განჩინებით საქმის წარმოების შეჩერებისათვის კანონით იმპერატიულად დადგენილი ვადა სასამართლომ გააგრძელა სრულიად სხვა, აბსოლუტურად შეუსაბამო საფუძვლით. ამასთან, საკითხის ამგვარად გადაწყვეტას საფუძვლად დაედო არასწორი და დაუსაბუთებელი არგუმენტაცია, კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ, თითქოს, მითითებულ ეტაპზე წარმოიშვა კანონის ანალოგიის სახით სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის (საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს, თუკი მისი განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე) გამოყენების საკითხი. საქმე ისაა, რომ თავდაპირველად მოცემულ საქმეზე წარმოება შეჩერდა მოსარჩელის გარდაცვალების გამო. ასეთ დროს, საქმის წარმოება ჩერდება 1 წლის ვადით, გამომდინარე სსსკ-ის 279-ე და 281-ე მუხლების „ა“ ქვეპუნქტებიდან. აღნიშნული ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის აღძვრის, ისევე როგორც გასაჩივრებული განჩინების გამოტანის დროისათვის, 1 წელზე გაცილებით მეტი დრო იყო გასული. ამდენად, კანონით დადგენილ ერთწლიან ვადაში საქმეზე უფლებამონაცვლე არ ჩაბმულა. ზემოთ დასახელებული საპროცესო ნორმებით დადგენილია, რომ მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავოსამართლებრივი ურთიერთობა დასამუშავებად თვლის უფლებამონაცვლეობას, საქმე ჩერდება გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა. მოსარჩელის გარდაცვალებისას, თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმეში უფლებამონაცვლე არ ჩაერთო, სარჩელი განუხილველად დარჩება. კანონის ეს დანაწესი იმპერატიულია, ამავედროულად, კანონი სპეციალურ მონესრიგებას ითვალისწინებს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც ადგილი აქვს მოსარჩელის გარდაცვალების ფაქტს. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია მითითებული შემთხვევის სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მონესრიგების ფარგლებში მოქცევა. გარდაცვლილის სავარაუდო მემკვიდრეებს შორის დავის არსებობას, არ შეიძლება შედეგად მოჰყვეს იმ საქმის წარმოების შეჩერების ვადის გაგრძელება, რომლის მხარესაც გარდაცვლილი წარმოადგენდა და რომლის გარდაცვალების საფუძვლით საქმის შეჩერებიდანაც ერთ წელზე მეტი დროა გასული, ისე რომ საქმეზე უფლებამონაცვლედ არავინ ჩაბმულა;

11.2. გარდა იმისა, რომ გასაჩივრებული განჩინება სსსკ-ის 281-ე

მუხლის „ა“ ქვეპუნქტის იმპერატიულ დათქმას არღვევს, იგი დაუსაბუთებლად და არაპროპორციულად ლახავს კერძო საჩივრის ავტორის ინტერესებს. იმით, რომ მოსარჩელის გარდაცვალებიდან 1 წლის განმავლობაში უფლებამონაცვლის დაუდგენლობის პირობებში სასამართლო ვალდებულია, სარჩელი განუხილველად დატოვოს, დაცულია გარდაცვლილის შესაძლო უფლებამონაცვლეთა და მეორე მხარის ინტერესებიც. კანონი არ ითვალისწინებს, რომ ეს უკანასკნელი უსასრულოდ ან არაგონივრულად დიდხანს ელოდოს გარდაცვლილი მხარის უფლებამონაცვლის დადგენას და ამიტომაც მაქსიმალურ ვადას ადგენს, რომლის განმავლობაშიც საქმის წარმოების შეჩერება შესაძლებელია;

11.3. სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსსკ-ის 7.2 მუხლით დადგენილი ანალოგიის წესი, ამ ნორმის შინაარსი თავისთავად გამორიცხავს კანონის ანალოგიის იმ შემთხვევაში გამოყენების შესაძლებლობას, როცა საკითხი სპეციალური ნორმით წესრიგდება, ასევე, მცდარია სასამართლოს მიერ სსსკ-ის 64-ე მუხლის გამოყენება, რომელიც ადგენს სასამართლოს დისკრეციის ფარგლებში ვადის გაგრძელების შესაძლებლობას. კანონით დადგენილი ვადის სასამართლოს მიერ გაგრძელება დაუშვებელია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

12. საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ პირველი მოპასუხის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

13. კერძო საჩივრით გასაჩივრებულია განჩინება, რომლითაც სააპელაციო სასამართლომ გააგრძელა საქმის წარმოების შეჩერების ვადა იმ საფუძვლით, რომ ამ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის წესით (სსსკ-ის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი), თუმცა მანამდე მოცემული საქმის წარმოება შეჩერებული იყო სხვა საფუძვლით – მოსარჩელის გარდაცვალების გამო მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე (სსსკ-ის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი). გასაჩივრებული განჩინებით ირკვევა, რომ, მოსარჩელეს, რომელიც 2015 წლის 28 მარტს გარდაიცვალა, ჰყავს პირველი რი-

გის ორი მემკვიდრე. მათ შორის მიმდინარეობს სამოქალაქო დავა სამკვიდრო ქონების გაყოფის თაობაზე. ამ საქმის დასრულებამდე ნოტარიუსი უარს აცხადებს სამკვიდრო მონაწილის გაცემაზე. ეს გარემოება, გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, საკმარისი საფუძველია სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში არსებული სამოქალაქო საქმის განხილვის შესაჩერებლად მემკვიდრეებს შორის დავის დასრულებამდე.

14. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გასაჩივრებული განჩინების ზემოხსენებულ მსჯელობას და განმარტავს შემდეგს: საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, საქმის განხილვაში მონაწილე მხარის გარდაცვალების შემთხვევაში, დასაშვებია ამ მხარის შეცვლა მისი უფლებამონაცვლით (სსკ-ის 92.1 მუხლი). გარდაცვლილის უფლებამონაცვლედ საქმის განხილვაში დაიშვებიან ის პირები, რომლებმაც მიიღეს გარდაცვლილის სამკვიდრო, შესაბამისად, საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაკავშირებულია მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღებასთან, რაც, თავის მხრივ, დადგენილია მატერიალურსამართლებრივი ნორმებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 1424-ე მუხლით კანონმდებელი ადგენს, რომ სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1319-ე მუხლის თანახმად, სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ გარდაცვლილად მისი გამოცხადების შედეგად, ხოლო 1421.2 მუხლის მიხედვით, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. განსახილველ შემთხვევაში, უმთავრესია სწორედ ის საკითხი, მიმართეს თუ არა გარდაცვლილი მოსარჩელის მემკვიდრეებმა კანონით დადგენილ ვადაში სანოტარო ორგანოს სამკვიდროს მიღების შესახებ ან შეუდგნენ თუ არა ისინი ფაქტობრივად სამკვიდროს ფლობას, ან მართვას, რითაც მათ მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტი უნდა დადგინდეს. სააპელაციო სასამართლოს მითითებული საკითხი არ გაურკვევია.

15. ზემოხსენებული საკითხის გარკვევისას, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ საქმეში არსებობს ნოტარიუსის 2015 წლის 28 სექტემბრის დადგენილება სანოტარო მოქმედების შეს-

რულების გადადების შესახებ, რომლითაც ირკვევა, რომ 2015 წლის 25 სექტემბერს (ე.ი. მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში) მითითებულ ნოტარიუსს განცხადებით მიმართა მ. ხ-მა (ერთ-ერთმა პირველი რიგის მემკვიდრემ) და მოითხოვა გარდაცვლილი მოსარჩელის სამკვიდროსთან დაკავშირებით სანოტარო მოქმედების შესრულების (სამკვიდრო მონუმობის გაცემის) გადადება იმ მოტივით, რომ სამკვიდროსთან მიმართებით მემკვიდრეებს შორის დავა წარმოიშვა და მას სასამართლოში სარჩელი შეჰქონდა. ამავე დადგენილებით ნოტარიუსმა დააკმაყოფილა განცხადება და გადადო სანოტარო მოქმედების შესრულება, ამასთან, განმცხადებელს განუსაზღვრა ვადა 2015 წლის 9 ოქტომბრამდე, რათა ნოტარიუსისათვის წარედგინა ცნობა სასამართლოში სარჩელის შეტანის თაობაზე. ზემოხსენებულმა მემკვიდრემ 2015 წლის 28 სექტემბერსაც მიმართა განცხადებით ნოტარიუსს და ამჯერად სამკვიდრო ქონების აღწერა მოითხოვა. ამ განცხადების პასუხად ნოტარიუსმა აცნობა მემკვიდრეს, რომ, ვინაიდან 2015 წლის 28 მარტს გარდაცვლილი მოსარჩელის ყველა მემკვიდრემ სსკ-ის 1424-ე მუხლით დადგენილ ვადაში მიიღო სამკვიდრო და ყველა მათგანი ადგილზე იმყოფებოდა, ნოტარიუსი მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკმაყოფილებინა მისი განცხადება. მოსარჩელის წარმომადგენლები კერძო საჩივარზე წარდგენილ შესაგებელში განმარტავენ, რომ მემკვიდრეებმა კანონით დადგენილ ვადაში მიმართეს ნოტარიუსს განცხადებით სამკვიდროს მიღების შესახებ, თუმცა იმავდროულად სასამართლოში აღიძრა დავა მათ შორის სამკვიდროში წილის განსაზღვრის მოთხოვნით, რის გამოც სამკვიდრო მონუმობის გაცემა შეჩერდა სასამართლოში დავის გადაწყვეტამდე.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ გარდაცვლილი მოსარჩელის მემკვიდრეებმა ნოტარიუსს კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში მიმართეს და, შესაბამისად, სამკვიდროც მიიღეს. აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოებაზე კერძო საჩივრის ავტორს არ მიუთითებია და არც ამის უარმყოფელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღება მხოლოდ სამკვიდრო მონუმობით შეიძლება დადასტურდეს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ განჩინებაში (იხ.: სუსგ, №ას-1285-1206-2015,

23.02.2016) განმარტა შემდეგი: მოსარჩელის გარდაცვალების შემდეგ მეურვემ, რომელიც მამკვიდრებლის მეორე რიგის კანონისმიერი მემკვიდრეა, და მეორე მოპასუხემ, შეასრულეს სამკვიდროს მისაღებად საჭირო იურიდიული მოქმედება, კანონით დადგენილ ვადაში შეიტანეს განცხადება სანოტარო ორგანოში {სსკ-ის 1421-ე მუხლის მეორე ნაწილი}. ის ფაქტი, რომ ვერცერთმა მათგანმა ვერ წარუდგინა სასამართლოს სამკვიდრო მონაწილეობა, უფლებამონაცვლეობის საკითხის განხილვაზე გავლენას ვერ იქონიებს. ჯერ ერთი, სამკვიდრო მონაწილეობის გაცემა, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაშია სავალდებულო {სსკ-ის 1499.2} და, როგორც წესი, ის ერთგვარი იურიდიული ფიქციაა რეგისტრაციასავალდებულო უფლებების მარეგისტრირებელ ორგანოში აღრიცხვისთვის და, ამდენად, გულისხმობს არა სამკვიდროს მიღებას აღნიშნული მონაწილეობის საფუძველზე, არამედ მემკვიდრის სამკვიდროს მიღებაზე განცხადებული ნების დოკუმენტურ დადასტურებას. მეორეც, თუ მხარეთა შორის წამოჭრილი დავისა და დაწყებული სამართალწარმოების შესახებ ცნობილია ნოტარიუსისათვის, მას არა აქვს უფლება, დავის დასრულებამდე გასცეს სამკვიდრო მონაწილეობა {სსსკ-ის 11-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მეშვიდე და 46.2 მუხლები}. ... სსსკ-ით განსაზღვრული უფლებამონაცვლეობის ინსტიტუტი არ შეიძლება, დავუკავშიროთ ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მონაწილეობის გაცემას, ვინაიდან ეს სამართლებრივ პროცესს ჩიხში შეიყვანს და საქმეზე სამართლიანი სასამართლოს განხორციელების პრინციპს შეეწინააღმდეგება. უფლებამონაცვლეობის საკითხთან მიმართებით, სწორედ სასამართლო, რომელიც ხელისუფლების დანაწილების ამოსავალი პრინციპის თანახმად ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს გარანტს წარმოადგენს, აფასებს უფლებამონაცვლედ დაშვებას. შესაბამისად, სასამართლოში სადავოდ ქცეული სამემკვიდრეო უფლებები თავად ამ ორგანომ უნდა შეაფასოს და გამოიტანოს დასკვნა, სამკვიდროს მიღებაზე განცხადების შეტანა რამდენად საკმარისია უფლებამონაცვლეობის დასადგენად“.

17. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მემკვიდრეების მიერ სამკვიდრო მონაწილეობის წარუდგენლობა უფლებამონაცვლეობის საკითხის გადაწყვეტაზე გავლენას ვერ იქონიებს, ვინაიდან მთავარი ისაა,

მიიღეს თუ არა მემკვიდრეებმა სამკვიდრო კანონით დადგენილი წესით და დასტურდება თუ არა ეს გარემოება სხვა მტკიცებულებებით. განსახილველ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, ასეთი მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილია, თუმცა სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია.

18. სსსკ-ის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივარი ზემდგომ სასამართლოებში განიხილება ამავე სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა. საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა;

ბ. არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

19. ზემოხსენებულ ნორმებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც უნდა შეაფასოს წინამდებარე განჩინების მე-15 პუნქტში მითითებული მტკიცებულებები და გადაწყვიტოს მოსარჩელის უფლებამონაცვლების საქმეში ჩაბმის საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

20. საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 284-ე, 285-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „უ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 31 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**5. წარმომადგენლობა სასამართლოში**  
**საქმისწარმოება წარმომადგენლის მეშვეობით**

**განჩინება**  
**საქართველოს სახელმწიფო**

№ას-553-528-2016

4 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა  
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (შემდეგში: მოსარჩელე, სამინისტრო, შემკვეთი, აპელანტი) და მ. ლ-ეს (შემდეგში: მოპასუხე, შემსრულებელი ან კასატორი) შორის 2013 წლის 18 ნოემბერს დაიდო №1034 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ეს უკანასკნელი იღებდა ვალდებულებას, 2013 წლის 10 ნოემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით მონაწილეობა მიეღო ევროპის სხვადასხვა ქალაქის მუსიკალური სააგენტოების მოსმენებში და სახელშეკრულებო თანხა დაეხაჯა ავიაბილეთებში, ხოლო ვალდებულების შესრულების შესახებ სამინისტროსათვის წარედგინა შესაბამისი საბუთები (ავიაბილეთებისათვის გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი – ქვითარი). ამისათვის სამინისტრო შემსრულებელს აუნაზღაურებდა მგზავრობის ხარჯებს (ავიაბილეთებს) 6981.25 (ექვსი ათას ცხრაას ოთხმოცდაერთი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ოდენობით, რომელშიც გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადი – 1396.25 (ათას სამას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარი (იხ. ხელშეკრულება).

2. სს „გ-ას“ საავანსო გადახდის გარანტიის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შორის განხორციელდა წინასწარი ანგარიშსწორება (იხ. საავანსო გადახდის გარანტია).

3. შემსრულებელმა ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა გამოიყენა არა მხოლოდ ავიაბილეთებისათვის, არამედ – სასტუმროში ცხოვრებისა და შიდა ხარჯების დასაფარად. მან 2015 წლის 25 დეკემბერს განცხადებით მიმართა სამინისტროს და მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 5 585 (ხუთი ათას ხუთას ოთხმოცდახუთი) ლარის არამიზნობრივი ხარჯვის, კერძოდ, ავიაბილეთებისათვის განკუთვნილი თანხის, სასტუმროსა და შიდა ხარჯების დაფარვის გადახდის საპატიოდ ჩათვლა (იხ. 2013 წლის 25 დეკემბრის №13022 განცხადება).

4. საქართველოს კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების მუდმივმოქმედმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება სამინისტროსა და დაქირავებულ პირს შორის ახალი შეთანხმების აქტის გაფორმების შესახებ, რომლის შესაბამისადაც დასაშვებად იქნებოდა მიჩნეული მოპასუხის მიერ წარმოსადგენი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: მატარებლის ბილეთები – 226.10 (ორას ოცდაექვსი ლარი და ათი თეთრი) ლარი, ავიაბილეთები – 480, 34 (ოთხას ოთხმოცი ლარი და ოცდაათობმეტი თეთრი) ლარი, სასტუმრო – 2370, 64 (ორი ათას სამას სამოცდაათი ლარი და სამოცდაოთხი თეთრი) ლარი (იხ. 2014 წლის 28 იანვრის სხდომის ოქმი №44);

5. მოპასუხემ 2013 წლის 4 დეკემბერს მონაწილეობა მიიღო გერმანიაში (დიუსელდორფში) მუსიკალური სააგენტოს მოსმენაში (იხ. ავიაბილეთის ყუა).

### **6. სარჩელის მოთხოვნა და მოპასუხის შესაგებელი**

6.1. სამინისტრომ 2014 წლის 3 ივლისს სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის 2 467.92 (ორი ათას ოთხას სამოცდაშვიდი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარის დაკისრება;

6.2. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით არ ცნო სარჩელი.

### **7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება და დასკვნები**

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა 594.92 (ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარის გადახდა.

7.2. საქალაქო სასამართლომ წინამდებარე განჩინების 1-5 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები უდავოდ მიიჩნია და შემდეგი სადავო გარემოებები დაადგინა:

7.2.1. სადავო არ იყო, რომ მოპასუხე მონაწილეობდა დიუსელდორფში მუსიკალურ სააგენტოში მოსმენაში, ასევე, სადავო არ იყო და წარდგენილი ელექტრონული ავიაბილეთითა და თვითმფრინავში ჩასხდომის დამადასტურებელი ყუებით დასტურდებოდა, რომ შემსრულებელმა იმგზავრა თვითმფრინავით იტალიიდან გერმანიაში და გერმანიიდან – იტალიაში. დავას იწვევდა ის გარემოება, რომ მოპასუხემ მოსარჩელეს ვერ წარუდგინა ავიაბილეთების უშუალოდ მოპასუხის მიერ შექმნის დამადასტურებელი ქვითარი.

7.2.2. სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 102-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებით დასტურდებოდა, რომ მან სახელშეკრულებო თანხის სადავო ნაწილი – 1873.40 (ათას რვაას სამოცდაცამეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი მიზნობრივად გახარჯა, ავიაბილეთების შესაძენად, ასეთ ვითარებაში კი იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოპასუხემ აღნიშნული ბილეთები უსასყიდლოდ მიიღო, მოსარჩელეს ეკისრებოდა, რომელსაც ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარუდგენია;

7.2.3. სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდებოდა სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხის – 594.52 (ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი) ლარის მოპასუხის მიერ ავიაბილეთების შესაძენად გახარჯვის ფაქტი;

7.2.4. მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა თბილისის მიმართულებით ავიაბილეთების ყუები, მაგრამ არ წარუდგენია ავიაბილეთების ღირებულების დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც მოსარჩელის კუთვნილი მტკიცების საგანს განეკუთვნებოდა.

7.3. გადაწყვეტილების სამართლებრივი მოტივაციისას სასამართლომ გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე, 317-ე, 361-ე, 629-ე მუხლები.

7.4. სსკ-ის 316.1 მუხლის თანახმად „ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება“, ხოლო 317.1 მუხლით – „ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება,

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან“. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა გამომდინარეობდა ხელშეკრულებიდან (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი), ხოლო საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ მოპასუხემ სადავო თანხიდან მიზნობრივად დახარჯა 1873.40 ლარი, რაც ავიაბილეთების შესაძენად გადაიხადა, შესაბამისად, ამ ნაწილში სარჩელი დასაბუთებული იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო, ხოლო დარჩენილი 594.52 ლარი მოპასუხეს უნდა დაებრუნებინა მოსარჩელისათვის.

## **8. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი**

8.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება შემდეგ სააპელაციო პრეტენზიებზე მითითებით:

8.1.1. მოპასუხემ დროულად და ჯეროვნად ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მის მიერ სამინისტროში წარდგენილი თანხის გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ დაემთხვა იმ თანხას, რომელიც მან სამინისტროდან დაფინანსების სახით მიიღო. მოპასუხემ მიღებული 5585 ლარის ნაცვლად, გადახდის დამადასტურებელი ქვითრები წარადგინა 3117 ლარზე;

8.1.2. დაქირავებულ პირს სამინისტროსათვის უნდა წარედგინა ავიაბილეთებისათვის გადახდილი თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი და არა მხოლოდ ავიაბილეთების ღირებულებისა და მისი გამოყენების დამადასტურებელი საბუთი;

8.1.3. მოპასუხის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდებოდა, რომ ავიაბილეთები ამ უკანასკნელის მიერ იყო შეძენილი. მოპასუხე თვითონვე განმარტავდა, რომ ორი ავიაბილეთი მეგობრის საკრედიტო ბარათით შეიძინა. ამდენად, ის ფაქტი, რომ მოპასუხემ ავიაბილეთებში: რომი-მიუნხენი, მიუნხენი-დიუსელდორფი, დიუსელდორფი-მიუნხენი, მიუნხენი-ფლორენციის მიმართულებით თავად გადაიხადა 1873.40 ლარი, მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდებოდა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილება

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი და მოწინააღმდეგის (მოპასუხის) მიერ სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამინისტროს უარყოფილი სარჩელის ნაწილში;

9.2. ზემოხსენებულ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით, სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა და მის სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა 1873.40 ლარის გადახდა.

9.3. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 371-ე მუხლზე მიუთითა, რომლითაც დადგენილია, რომ „საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით“. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სააპელაციო ინსტანციით საქმისწარმოებისათვის დადგენილი ნორმები არ ითვალისწინებდა სააპელაციო პასუხის წარდგენასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ წესს, უნდა გამოეყენებინა პირველი ინსტანციის სასამართლოებში შესაგებლის წარდგენის ვალდებულების შესახებ სსსკ-ის 201-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, „მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი. სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 14 დღეს, ხოლო რთული კატეგორიის საქმეებზე – 21 დღეს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი. პასუხი (შესაგებელი) უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს“. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილე-

ბა ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.

9.4. სსსკ-ის 232<sup>1</sup> მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ამასთან, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. მითითებულ ნორმათა საფუძველზე სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს არსებობს თუ არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები. უპირველესად, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ სასამართლო გზავნილი (სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთების ასლები) კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარეს და, შესაბამისად, განემარტა შესაგებლის წარმოდგენლობის გამო მის წინააღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ; ამასთან, ზეპირი მოსმენის გარეშე სასამართლო დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანს, თუ მის მიერ დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს სააპელაციო პასუხს (შესაგებელს).

9.5. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ აღნიშნა, რომ დადგენილი იყო, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 2 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე, მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) წარმომადგენელს გაეზავნა სააპელაციო საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლები და დაევალა 10 (ათი) დღის ვადაში წარედგინა სასამართლოსათვის შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად. იმავე განჩინებით მხარეს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გამოიტანდა დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მის წინააღმდეგ.

9.6. სასამართლოს გზავნილი ჩაბარდა მოპასუხის წარმომადგენელს – ნ. ქ-ას ოჯახის წევრს – ა-ას 2015 წლის 8 ოქტომბერს, რაც დადასტურებულია ამ უკანასკნელის ხელმოწერით. ამდენად, სა-

სამართლო გზავნილი სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად ჩაბარებულად მიიჩნევა მოპასუხისათვის, აქედან გამომდინარე, ამ უკანასკნელს სააპელაციო პასუხი (შესაგებელი) სასამართლოსთვის 2015 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარედგინა.

9.7. საქმის მასალების მიხედვით დასტურდებოდა, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს შესაგებელი წარუდგინა 2015 წლის 26 ოქტომბერს, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ამასთან, მოპასუხეს სასამართლოსათვის არ უცნობებია სააპელაციო პასუხის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის საპატიო მიზეზის შესახებ.

9.8. სასამართლომ სსსკ-ის 63-ე მუხლზე მიუთითა, რომლის მიხედვით „საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ“ და განმარტა, რომ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ; სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) წარდგენის ვადის ამონურვით დგება ამ ვადაში შესასრულებელი ვალდებულების დარღვევისათვის კანონით დადგენილ შედეგზე – დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე მსჯელობის წინაპირობა, გარდა ამისა, უნდა არსებობდეს, კიდევ ერთი პირობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოსატანად, კერძოდ, აპელანტის (საპელაციო მოსარჩელის) მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს (ასაბუთებდეს) აპელანტის მოთხოვნას.

9.9. განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო სააპელაციო საჩივარში მითითებული შემდეგი გარემოებები: მოპასუხემ დროულად და ჯეროვნად ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მის მიერ სამინისტროში წარდგენილი თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ დაემთხვა იმ თანხას, რომელიც მან სამინისტროსაგან მიიღო დაფინანსების სახით, კერძოდ, მოპასუხემ მიღებული 5585 ლარიდან ვერ დაამტკიცა 1873.40 ლარის მიზნობრივად გახარჯვის ფაქტი. აღნიშნული გარემოებების სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის 361.2 და 394.1 მუხლების თანახმად, იურიდიულად გამართლებული იყო

აპელანტის მოთხოვნა.

## **10. მოპასუხის საჩივარი და სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინება**

10.1. წინამდებარე განჩინების 9.1. ქვეპუნქტში მითითებულ სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ საჩივარი წარადგინა, მოითხოვა მისი გაუქმება იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ:

10.1.1. მოპასუხის წარმომადგენელმა სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) სასამართლოში წარდგენის ბოლო დღეს – 2015 წლის 19 ოქტომბერს ინდ. მენარმეს – კურიერს ი. დ-ეს გადასცა შესაგებელი. დასახელებული ინდ. მენარმე საკურიერო მომსახურებას უწევს შპს ნ. ქ-ას საადვოკატო ოფისს;

10.2. კურიერმა გზავნილის სასამართლოში ჩაბარების შემდეგ მოპასუხის წარმომადგენელს გადასცა შესაბამისი დასტური კანცელარიის ბეჭდით და სასამართლოს შესაბამისი მოხელის ხელმოწერით;

10.3. მოპასუხის წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ გაარკვია, რომ ზემოსხენებული გზავნილი კურიერს კანცელარიაში ჩაუბარებია სათანადო ქვითრის გარეშე, როგორც ფიზიკურ პირს – 2015 წლის 26 ოქტომბერს;

10.4. კურიერის მიერ აღნიშნული ჩაბარების დასტურის კანცელარიაში ჩაბარების შემთხვევაში სასამართლოსათვის ცნობილი გახდებოდა ქვითარზე მითითებული ინფორმაცია, კერძოდ, ის, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გადასცა კურიერს გზავნილი (იხ. საჩივარი და თანდართული ქვითრები).

10.5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის საოქმო განჩინებით მოპასუხის წარმომადგენლის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

## **11. სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2016 წლის 18 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა მონინალმდეგე მხარის (მოპასუხის) გამოუცხადებლობის გამო;

11.2. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება სამინისტროს სარჩელის დაკმაყოფილების უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, სამინისტროს სასარგებლოდ მოპასუხეს დაეკისრა 1873.40 ლარის გადახდა.

11.3. სააპელაციო სასამართლომ განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მოპასუხის წარმომადგენლის საჩივრის დაკმაყოფილების შედეგად განახლდა საქმის წარმოება (იხ. ამ განჩინების მე-10 პუნქტი) და საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაინიშნა 2016 წლის 18 მაისს 10 საათსა და 20 წუთზე, რის შესახებაც მხარეთა წარმომადგენლები გაფრთხილებული იქნენ უშუალოდ სასამართლოში (იხ. ხელწერილი), შესაბამისად, სასამართლოს მიერ 2016 წლის 18 მაისს დანიშნულ სხდომაზე მონინალმდეგე მხარე (მოპასუხე) არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა, აპელანტმა მოითხოვა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა.

11.4. სსსკ-ის 387-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „თუ საქმის განხილვაზე მონინალმდეგე მხარე არ გამოცხადდება, სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივნის ახსნა-განმარტებას“, ამავე ნორმის მე-3 ნაწილით კი „ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ“. სსსკ-ის 230.1 მუხლის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, როელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ამავე ნორმის მეორე ნაწილით, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სა-

სარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე. სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობები და ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გამოუცხადებელი მხარე მოწვეული იყო საქმის განხილვაზე და მას დროულად და კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დღის შესახებ (სსსკ-ის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეუბნები). მოწვეულად ითვლება მხარე, რომელსაც სასამართლო უწყება გაეგზავნა და ჩაბარდა სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამასთან, სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიტანს, თუ დაადგენს, რომ სასამართლო სხდომის თარიღის შეტყობინების მიუხედავად, მხარე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე.

11.5. განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე) 2016 წლის 18 მაისის სხდომაზე, რომელიც 10:20 საათზე იყო დანიშნული, ინფორმირებული იყო სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, თუმცა, ამის მიუხედავად, იგი არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადებულა;

11.6. სასამართლომ სსსკ-ის 230.1 მუხლის შესაბამისად, სასამართლო სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ჩათვალა, რომ მოპასუხემ ჯეროვნად და დროულად ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მის მიერ გახარჯული თანხების შესახებ სამინისტროსათვის წარდგენილი დოკუმენტაცია არ დაემთხვა იმ დაფინანსებას, რომელიც მოპასუხემ მიიღო მოსარჩელისაგან, შესაბამისად, 1873.40 ლარის მიზნობრივად დახარჯვის ნაწილში სარჩელი უარყოფილი იქნა შესაბამისი მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოსატანად აუცილებელი მეორე წინაპირობის შემოწმებისას, სასამართლომ სსსკ-ის 361.2 და 394.1 მუხლებზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად გამართლებული იყო და არსებობდა საპელაცო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

## 12. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

12.1. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და იმავე სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა შემდეგ საკასაციო პრეტენზიებზე მითითებით:

12.1.1. კასატორის წარმომადგენელი ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, მას სწორედ სხდომის დღეს – 18 მაისს დილიდან გაუუარესდა ჯანმრთელობის მდგომარეობა, რის გამოც მიმართა სამედიცინო კლინიკას „კ-ო“ და თსსუ-ს ს. ხ-ის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკას, შესაბამისად, აიღო საავადმყოფო ფურცელი;

12.1.2. სააპელაციო სასამართლოში სხდომა დანიშნული იყო 10:20 საათზე, შესაბამისად, მოპასუხის წარმომადგენლის ავადმყოფობის სიმწვავისა და დროის მცირე მონაკვეთის გათვალისწინებით, ობიექტურად შეუძლებელი იყო წარმომადგენლის მიერ მარწმუნებლის (მოპასუხის) გაფრთხილება და შემდეგ ამ უკანასკნელის მიერ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის გაცემა სხვა ადვოკატზე, რადგან კასატორი იმხანად იტალიაში იმყოფებოდა ფესტივალზე. შესაბამისად, შეუძლებელი იყო სხვა ადვოკატს გაენია კასატორის წარმომადგენლობა;

12.1.3. სსსკ-ის 215.3, 233-ე, 241-ე მუხლების ერთობლივი ანალიზით, საკასაციო საჩივარზე დანართის სახით წარმოდგენილი სამედიცინო ცნობების, მათში ასახული დიაგნოზისა და სასამართლოს მიერ დანიშნულ სხდომამდე 20-წუთიანი შუალედი, რომლის განმავლობაშიც წარმომადგენელი ცდილობდა სასამართლოსთან დაკავშირებას, ადასტურებს, რომ გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა, რის გამოც კასატორის წარმომადგენელი ვერ გამოცხადდა სასამართლოს მიერ დანიშნულ სხდომაზე;

12.1.4. სამედიცინო კლინიკაში ყოფნისას, მოპასუხის ადვოკატი ცდილობდა მოსამართლის თანაშემწესთან – ა. ს-თან დაკავშირებას ტელეფონზე (/995 32/ 2518521/22/23 {241-საინფორმაციო}), თუმცა, 20-წუთიან მონაკვეთში ეს ვერ მოხერხდა, რადგან ქსელი გადატვირთული იყო, ამას ადასტურებს „ჯეოსელიდან“ 2016 წლის 18 მაისს ამოღებული ინფორმაცია, რომლითაც დასტურდება, რომ მოპასუხის წარმომადგენელი საკუთარი მობ. ტელეფონიდან – 5..

ცდილობდა სასამართლოსთან დაკავშირებას; დაფიქსირებულია 4 გამავალი ზარი და არა ის ზარები, როცა ტელეფონი გადატვირთული, დაკავებული იყო და არც ავტომოპასუხე ირთვებოდა. გამავალი ზარი პირველად 10:22 წუთზეა დაფიქსირებული, თუმცა, თანაშემწესთან საუბარი ვერ შედგა, რადგან ჯერ ავტომოპასუხის, ხოლო შემდეგ ოპერატორის მოლოდინის რეჟიმია ჩართული. მოსამართლის თანაშემწესთან მხოლოდ 10:40 საათზე შედგა საუბარი, როდესაც მოსამართლეს უკვე გამოტანილი ჰქონდა დაუსწრებელი გადანყვეტილება;

12.1.5. აღსანიშნავია ისიც, რომ მოპასუხის ადვოკატის მინდობილობას 2016 წლის 19 მარტს გაუვიდა მოქმედების ვადა, ხოლო სსსკ-ის მოთხოვნათა შესაბამისად სხდომის დღის შესახებ უშუალოდ მხარისათვის სასამართლოს არ უცნობებია.

### **13. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

13.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით მოპასუხის საკასაციო განაცხადი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 25 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის „სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე“ საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

14. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-

პუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება);

15. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიანია, რომ კასატორის პრეტენზია დასაბუთებულია და მოპასუხის მიერ საკასაციო საჩივარში მითითებულ პრეტენზიათაგან 12.1.5 ქვეპუნქტში ასახული შედავების ფარგლებში იმსჯელებს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველზე, რადგან მოპასუხის მიერ დასახელებული არგუმენტის დასაბუთებულად მიჩნევა საკმარისი იქნება საკასაციო საჩივრის დასაკმაყოფილებლად.

16. საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ მოპასუხის (კასატორის) მიერ სანოტარო წესით დადასტურებული მინდობილობა ნ. ქ-აზე გაცემულია 2015 წლის 19 მარტს და იგი ძალაშია 2016 წლის 19 მარტის ჩათვლით. სანოტარო აქტში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, მოპასუხის წარმომადგენლისათვის მინიჭებული უფლებამოსილების გაგრძელების (ახალი მინდობილობის გაცემის) დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არის წარმოდგენილი. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს, რომ სსსკ-ის 401.1 მუხლის საფუძველზე მომხსენებელი მოსამართლის მიერ საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე შემოწმების დროს მოპასუხის მიერ წარმომადგენელზე – ნ. ქ-აზე გაცემული მინდობილობის ვადის გასვლა ერთ-ერთ საფუძველად დაედო საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენას (იხ. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 ივნისისა და 8 აგვისტოს განჩინებები).

17. სსსკ-ის XII თავით მონესრიგებულია სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელების წინაპირობები და წესი, კერძოდ, 93-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილია, რომ მხარეებს წარმომადგენლების მეშვეობითაც შეუძლიათ აწარმოონ საქმე სასამართლოში, რაც მათ არ ართმევს უფლებას, თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში. სსსკ-ის 96-ე მუხლით განსაზღვრულია წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმების წესი, ხოლო 98-ე მუხლით – წარმომადგენლის უფლებამოსილების განსაზ-

ღვრის ფარგლები, რაც მთლიანად მარნმუნებლის ნებაზეა დამოკიდებული: „1. უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარნმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარნმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. 2. მხარის მიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს ან მის თანაშემწეს“.

18. განსახილველ შემთხვევაში ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოპასუხის (კასატორის) წარმომადგენელს მარნმუნებლის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ვადა ჰქონდა 2016 წლის 19 მარტის ჩათვლით, მიუთითებს იმაზე, რომ 2016 წლის 20 მარტიდან ნ. ქ-ა არ იყო უფლებამოსილი მოპასუხის სახელით შეესრულებინა რაიმე საპროცესო მოქმედება. საქმის მასალების მიხედვით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის სხდომაზე დაკმაყოფილდა მოპასუხის წარმომადგენლის – ნ. ქ-ას წერილობითი შუამდგომლობა სხდომის გადადების თაობაზე და მორიგი სხდომის თარიღი განისაზღვრა იმავე წლის 4 მაისს (იხ. წარმომადგენლის წერილობითი შუამდგომლობა და სააპელაციო სასამართლოს განჩინება).

19. სააპელაციო სასამართლოს მიერ 2016 წლის 4 მაისს, 10:15 საათზე დანიშნული სხდომის შესახებ მოპასუხის წარმომადგენელს – ნ. ქ-ას ეცნობა იმავე წლის 16 მარტს, რაც კანონიერია, რადგან წარმომადგენლის უფლებამოსილებას იურიდიულად მოქმედების ვადა ჯერ კიდევ ჰქონდა (იხ. აქტი ტელეფონით სასამართლო შეტყობინების შესახებ).

20. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისს სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ საჩივრის ავტორის (მოპასუხის) წარმომადგენელს აღარ

ჰქონდა სხდომაში მონაწილეობის უფლება, რადგან მისთვის მარ-  
წმუნებლის მიერ მინიჭებულ მინდობილობას უკვე ვადა ჰქონდა  
გასული ანუ 2016 წლის 20 მარტიდან ნ. ქ-ას აღარ ჰქონდა მოპასუ-  
ხის მიერ მინიჭებული უფლებამოსილება და იმავე წლის 4 მაისს  
მისი მონაწილეობა სასამართლო სხდომაზე და მის მიერ განხორ-  
ციელებული საპროცესო ქმედებები იურიდიულად ვარგისად ვერ  
იქნება მიჩნეული. შესაბამისად, 2016 წლის 4 მაისის სხდომაში მო-  
პასუხის სახელით არაუფლებამოსილმა პირმა მიიღო მონაწილეო-  
ბა და მორიგი სხდომის თარიღად 18 მაისის განსაზღვრის შესახებ  
მხარეთა გაფრთხილების ხელწერილსაც მოპასუხის სახელით არა-  
უფლებამოსილმა პირმა მოაწერა ხელი (იხ. სააპელაციო სასამარ-  
თლოს სხდომის ოქმი და ხელწერილი), ამდენად, საკასაციო სასა-  
მართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას  
და დასკვნას, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით იქნა მონ-  
ვეული სხდომაზე და მისი გამოუცხადებლობის გამო არსებობდა  
დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობა (იხ. ამ  
განჩინების 11.3-11.5 ქვეპუნქტები). საკასაციო სასამართლო ეთან-  
ხმება კასატორის მითითებას, რომ უშუალოდ მოპასუხე არ ყოფი-  
ლა გაფრთხილებული სააპელაციო სხდომის დანიშვნის შესახებ.

21. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტე-  
ბით, ეფექტური სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს, სა-  
მოქალაქო სამართალწარმოების მხარეების შესაძლებლობას, გა-  
მოიყენონ გასაჩივრების უფლება იმ მომენტიდან, როცა მათ შეუძ-  
ლიათ ეფექტურად შეაფასონ სასამართლოს გადაწყვეტილებები,  
რომლებმაც შეიძლება დაარღვიოს მათი უფლებები და კანონიერი  
ინტერესები. „საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შესაგებლის შე-  
უტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტა-  
ნისას სავალდებულოა სასამართლო შეტყობინების ჩაბარების წე-  
სის განუხრელი დაცვა და იმის უტყუარად დადგენა, მხარე იყო თუ  
არა სათანადოდ ინფორმირებული საპროცესო მოქმედების გან-  
ხორციელების აუცილებლობის თაობაზე, რადგანაც, დაუსწრებე-  
ლი გადაწყვეტილება, სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოად-  
გენს პრეზუმფციას მხარის მიერ სარჩელში (სააპელაციო საჩივარ-  
ში) მითითებული ფაქტებისა და სასარჩელო (სააპელაციო) მოთ-  
ხოვნის მართებულობის აღიარების თაობაზე. დაუსწრებელი გადაწყ-  
ვეტილების ინსტიტუტის ამგვარი განმარტება სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის ფუნდამენტური პრინციპის – დისპოზიციურობის ნათელი გამოვლინებაა, სწორედ ამ საფუძვლიდან გამომდინარე ევალუა სასამართლოს მხოლოდ კანონის ძალით დადგენილად მიჩნეული გარემოებებისა და სასარჩელო (სააპელაციო) მოთხოვნის მართებულობის შეფასება და ამ გზით გადაწყვეტილების მიღება, ამასთანავე, ამგვარი გადაწყვეტილება არ შეიძლება გარკვეული სანქცია იყოს მხარისათვის, რათა დაუსაბუთებლად, საქმის ვითარების გაურკვეველად არ დაეკისროს მოპასუხეს ის, რის წინააღმდეგაც კონსტიტუციით გარანტირებული შედავებისა თუ მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობაც გააჩნია“ (იხ. სუსგ №ას-1453-1371-2012, 25.12.2012წ.).

22. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სააპელაციო სამართალწარმოების ეტაპზე დაშვებულმა მნიშვნელოვანმა საპროცესო დარღვევამ არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რაც მოპასუხის საკასაციო განაცხადის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების დასაბუთებული სამართლებრივი საფუძველია, შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მ. ლ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 18 მაისის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდელი აქვს;
4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 6. საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში

### აღიარებითი სარჩელი

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ას-597-556-2017

3 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ე. გასიტაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის აღი-  
არება

**აღწერილობითი ნაწილი:**

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-  
ვლები:**

1.1. სსიპ ს-ომ (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან შეგებე-  
ბული კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში სსიპ რ-ს, სსიპ ს-  
ისა (შემდგომში – მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე) და სსიპ ს-ოს  
(შემდგომში – ასევე, მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე ან კასატო-  
რი) მიმართ და მოითხოვა სსიპ ს-ოსა და სსიპ ს-ას შორის წარმო-  
მადგენლობითი საბჭოს შექმნის თაობაზე 2014 წლის 10 ოქტომ-  
ბერს შემდგარი შეთანხმების მხარედ აღიარება, შესაბამისად, წარ-  
მომადგენლობითი საბჭოს წევრად მისი ცნობა.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მო-  
სარჩელე წარმოადგენს ისლამური აღმსარებლობის რელიგიურ გა-  
ერთიანებას. 2014 წლის 27 იანვარს საქართველოს მთავრობამ მიი-  
ღო №117 დადგენილება (შემდგომში – №117 დადგენილება), რომ-  
ლითაც დამტკიცდა საქართველოში არსებული რელიგიური გაერ-  
თიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყე-  
ნებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული  
ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესი. ამ წესის მიხედ-

ვით, თუ რელიგიური გაერთიანების/აღმსარებლობის სახელით და-რეგისტრირებულია ერთზე მეტი რელიგიური გაერთიანება, ისინი ანაზღაურების მისაღებად 2014 წლის 10 ნოემბრამდე რეორგანი-ზაციის გზით უნდა გაერთიანებულიყვნენ ერთ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ან შეექმნათ წარმომადგენლობითი საბჭო. სსიპ რ-ოს 2014 წლის 31 ოქტომბრის №... წერილით ს-ოს ეცნობა, რომ საქართველოს მუსლიმი თემის რელიგიურმა გაერთიანებამ, კერ-ძოდ: სსიპ ს-ომ და სსიპ ს-ამ შექმნეს წარმომადგენლობითი საბჭო. სააგენტომ ს-ოს აცნობა, რომ 2014 წლის 5 ნოემბრამდე წერილო-ბით დაედასტურებინა პოზიცია წარმომადგენლობით საბჭოში მო-ნაწილეობის ან მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ. სსიპ ს-ომ 2014 წლის 4 ნოემბერს გაგზავნილ წერილში სააგენტოს აცნობა, რომ თანახმა იყო, მონაწილეობა მიეღო წარმომადგენლობითი საბ-ჭოს საქმიანობაში, მიუხედავად ამისა, წარმომადგენლობით საბ-ჭოს დაფინანსება გადაეცა ს-ოს მონაწილეობის გარეშე.

## **2. მოპასუხეების პოზიცია:**

2.1. სსიპ რ-ომ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ წარმოად-გენს არასათანადო მოპასუხეს, გარდა ამისა, მისი მითითებით, 2014 წლის 31 ოქტომბრის წერილით მოთხოვნილი იყო წარმომადგენ-ლობით საბჭოში მოსარჩელის მონაწილეობის ან მონაწილეობაზე უარის თქმის ფაქტის დადასტურება. მოსარჩელის 2014 წლის 4 ნო-ემბრის №10 წერილით მოპასუხისათვის გაცხადებული თანხმობა, მონაწილეობა მიიღოს პირმა წარმომადგენლობით საბჭოში, არ წარ-მოადგენს სააგენტოსათვის სამართლებრივი რეაგირების საფუძ-ველს. დავის საგანში მითითებული ზიანის ანაზღაურება რეგულირ-დება №117 დადგენილებით, რომლის მე-3 მუხლი პირდაპირ მიუ-თითებს რელიგიური ორგანიზაციების მიერ ანაზღაურების მისა-ღებად გასატარებელ ღონისძიებებზე და ადგენს ამ ღონისძიება-თა გატარების ვადას, ამასთანავე, თავად დადგენილება, საქარ-თველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვლის №177 დადგენილე-ბით დამტკიცებულ სსიპ რ-ოს დებულებასთან ერთად, არ ითვა-ლისწინებს სააგენტოს რაიმე სახით ჩარევას №117 დადგენილების მე-3 მუხლით რეგულირებულ ურთიერთობაში;

2.2. სსიპ ს-ამ და სსიპ ს-ომ ასევე არ ცნეს სარჩელი და განმარ-ტეს, რომ საქართველოს მთავრობის №117 დადგენილებით შეიქ-მნა რ-ო, რომელსაც განესაზღვრა სამართლებრივი ურთიერთო-

ბის საფუძველი – იგი ასრულებს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს. ამავე დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგინდა ანაზღაურების მიღების წინაპირობების განმსაზღვრელი შესაბამისი ქმედების განხორციელება. ორ რელიგიურ ორგანიზაციას შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, გაფორმდა „შეთანხმება წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნის თაობაზე“ და მასში შევიდნენ მოპასუხე რელიგიური ორგანიზაციები. ამას წინ უძღოდა მოპასუხეების მხრიდან სააგენტოსა და მოსარჩელესთან შეხვედრა-კონსულტაციები, მოსარჩელეს გაეგზავნა რამდენიმე წერილობითი შეთავაზება ამავე საბჭოში მონაწილეობის მიღების, გაერთიანებისა და საკუთარი წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე, რაზეც მან უარი განაცხადა, შესაბამისად, ორი რელიგიური ორგანიზაცია გაერთიანდა კანონის მოთხოვნით და მიიღო დაფინანსება, აგრძელებს საქმიანობას და მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოსთან, ასევე, ახორციელებს შესაბამის პროექტებს. მოსარჩელე ცდილობს, ხელი შეუშალოს საბჭოს საქმიანობას და წარმოჩინდეს დაზარალებულად, რაც არასწორია. მოპასუხეთა მოსაზრებით, არ არსებობს იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა სარჩელის სამართლებრივად გამართლება.

### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი, მტკიცებულების სახით მოსარჩელის საკონსტიტუციო სარჩელის საქმისათვის დართვისა და განსჯადობის წესების შესაბამისად, საქმის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის გადაცემის შესახებ განჩინებების გაუქმება და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი, რომლითაც სსიპ ს-ოს სარჩელი სსიპ რ-ოს მიმართ არ დაკმაყოფილდა, ხოლო, სსიპ ს-ოსა და სსიპ ს-ის მიმართ დაკმაყოფილდა, სსიპ ს-ო აღიარებულ იქნა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილების მოთხოვნათა უზრუნველყოფის მიზნით სსიპ ს-ოსა და სსიპ ს-ას შორის წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნის თაობაზე 2014 წლის 10 ოქტომბერს შემდგარი შეთანხმების ფარგლებში წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობის მხარედ და აღნიშნული წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად.

#### **6. კასატორების მოთხოვნა:**

6.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ ს-ომ, მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება და პროცესის ხარჯების განსაზღვრის ნაწილში მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა;

6.2. საკასაციო სასამართლომ შეგებებული საკასაციო საჩივრით მომართა სსიპ ს-ომ, რომლითაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების, ასევე, მტკიცებულების საქმისათვის დართვის შესახებ 2016 წლის 24 ივნისის საოქმო განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო/შეგებებული საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ ისინი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ხოლო სარჩელი განუხილველად იქნას დატოვებული შემდეგი გარემოებების გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის განუხილველად დატოვების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლომ შეფასების საგანს წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის აღიარების თაობაზე

სარჩელის (აღიარებითი სარჩელის) საფუძვლიანობა. ვიდრე პალატა საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობას შეამოწმებდეს, ყურადღებას საკასაციო სამართალწარმოების რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე გაამახვილებს:

1.1.1. საკასაციო წესით მართლმსაჯულების განხორციელებისას გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება მოწმდება ორი მიმართულებით, კერძოდ: სასამართლო უპირველესად ამოწმებს, სახეზე ხომ არ არის გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები, რომლებიც მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლში, ხოლო, ამ საკითხის უარყოფითად გადაწყვეტის შემთხვევაში, შეფასებას ექვემდებარება კასატორის პრეტენზიების დასაბუთებულობა. ამ გარემოებათა ჩამონათვალი კი, რეგლამენტირებულია ამავე კოდექსის 393-ე მუხლში.

1.1.2. განსახილველ შემთხვევაში, პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების (რომლითაც ნაწილობრივ შეიცვალა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აბსოლუტური საფუძველი, რამდენადაც მიღებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

1.2. საკასაციო პალატა მიუბრუნდება განსახილველ საკითხს, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობის კვლევას შეეხება. ამ კატეგორიის სარჩელის ნამდვილობის შემოწმებამდე კი, სავალდებულოა შემოწმდეს მისი დასაშვებობის წინაპირობების არსებობა. უნდა ითქვას, რომ სარჩელის ინსტიტუტის საპროცესო კლასიფიკაციას თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზი იძლევა და დოქტრინაში განვითარებული შეხედულების თანახმად, ძირითად სახეებად გვევლინება მიკუთვნებითი, გარდაქმნითი და აღიარებითი სარჩელები. პირველი ორი ჯგუფის სარჩელების ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ამ ტიპის სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილება რეალური, აღსრულებადი გადაწყვეტილებაა და ამიტომ მათ აღსრულებად სარჩელადაც მოიხსენიებენ. რაც შეეხება აღიარებით სარჩელს, ის ასევე დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების

დაცვის საპროცესო საშუალებაა, თუმცა, აღიარებითი სარჩელის მიმართ საკანონმდებლო დათქმები განსხვავებულია. აღიარებითი სარჩელის ლეგალურ დეფინიციას შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს. აღიარებითი სარჩელი, ბუნებრივია, სრულად უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით განსაზღვრულ ფორმალურ-შინაარსობრივ მოთხოვნებს, თუმცა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით დანესებულია დამატებითი მოთხოვნა ამ ტიპის სარჩელებისათვის – იურიდიული ინტერესი, რომელსაც სასამართლო სარჩელის დასაშვებობისას ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ამომნებს, ხოლო, დაშვების შემთხვევაში, სწორედ ამ ინტერესის ნამდვილობაზეა დამოკიდებული სარჩელის წარმატებულობა. გასათვალისწინებელია, რომ დავის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის შემონმება განეკუთვნება სამართლის საკითხს, რა დროსაც პასუხი უნდა გაეცეს მთავარ კითხვებს: აქვს მოსარჩელეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი დავის მიმართ? უზრუნველყოფს მოსარჩელის მოთხოვნა ამ ინტერესის დაკმაყოფილებას?. იურიდიული ინტერესის არსებობა განპირობებულია არა ზოგადად მხარის სუბიექტური ინტერესით, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი დანაწესით, რომლის შედეგის რეალიზაცია შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრით. მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული უფლების დაცვას უნდა ემსახურებოდეს აღიარებითი სარჩელი. იურიდიული ინტერესის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს განეკუთვნება შემდეგი:

- ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში;
- ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას;
- გ) აღიარებითი სარჩელის გადანყვეტა დავის გადანყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადანყვეტილების შედეგად სრულიად გარკვეული შედეგი უნდა დგებოდეს მხარისათვის, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება უნდა ქმნიდეს იმ უფ-

ლებსა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა.

1.2.1. საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღიარებითი სარჩელის საფუძვლიანობის განხილვისას მნიშვნელოვანია, გაირკვეს, ხომ არ არსებობს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის წინაპირობები, რადგან ამგვარი წინაპირობების არსებობისას, მოსარჩელე ვერ შეძლებს თავისი ნამდვილი მიზნის (უფლების დაცვის) აღიარებითი სარჩელით მიღწევას, აღნიშნული კი, თავის მხრივ, საფუძველს აცლის აღიარებით მოთხოვნას. ამავდროულად, მხედველობაშია მისაღები საპროცესო ეკონომიის პრინციპი, რომელიც უფლების რეალური დაცვის ხელშეწყობის საშუალებაა და ემსახურება იმას, რომ დარღვეული უფლების დაცვა მხარემ ერთი და არა რამდენიმე სარჩელის აღძვრის გზით უზრუნველყოს.

1.3. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის მიმართ არა თუ ნამდვილი, ფორმალური იურიდიული ინტერესიც კი არ გააჩნია, რაც მისი სარჩელის განუხილველად დატოვების წინაპირობაა (იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.5. პუნქტი). ამ დასკვნამდე კი, საკასაციო პალატა შემდეგ საკითხთა ანალიზის შედეგად მივიდა:

1.3.1. როგორც არაერთხელ აღინიშნა, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს მთავრობის №117 დადგენილების უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე რელიგიური ორგანიზაციების მიერ შექმნილი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად მოსარჩელის აღიარება. სარჩელის თანახმად, მოთხოვნის იურიდიული ინტერესია ამ დადგენილებით განსაზღვრული საბჭოთა რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლიანობის დადასტურების მიზნით მხარე აღნიშნავს, რომ სსიპ რ-ოს მიერ წარმომადგენლობით საბჭოში მისი გაუნწერიანებლობით დაირღვა მხარის კანონმდებლობით გარანტირებული უფლება, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივ განკარგვაში;

1.3.2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი მოპასუხე რელიგიური ორგანიზაციები, როგორც პირველი, ისე – სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვის ეტაპზე განმარტავდნენ, რომ მოსარჩელეს აღიარებითი სარჩელის მიმართ არ გააჩნდა იურიდიული ინტერესი, რამდენადაც დადგენილებით განსაზღვრული, საქარ-

თველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის ბენეფიციარს წარმოადგენდა სსიპ ს-ოც, ხოლო აღიარებითი სარჩელის აღძვრის რეალური მიზანი სოლიდარული პასუხისმგებლობის გარეშე (როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის) თანხის განკარგვის კონტროლის სურვილი იყო. პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ წერილობით საპაექრო სიტყვაში, სააპელაციო პასუხსა და საკასაციო საჩივარში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი მოპასუხეები განმარტავდნენ, რომ მუსლიმი თემი, რომელთანაც კავშირს ადასტურებს მოსარჩელე, დღესაც იღებს და მომავალშიც მიიღებს კომპენსაციას იმ საჭიროების მიხედვით, რაც გააჩნია კონკრეტულ თემს. ამ განმარტების წინააღმდეგ შედავება საქმის მასალებში არ მოიპოვება, მათ შორის არც საკასაციო შესაგებლით და არც შეგებებული საკასაციო საჩივრით არ უარყოფს (არ ედავება) მოსარჩელე დაფინანსების მიღების ფაქტს, რასაც პალატა მხარეთა შორის უდავო გარემოებად მიიჩნევს.

1.3.3. მოხმობილი არგუმენტების გათვალისწინებით, ასევე, სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილებაზე (საკასაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის კონტექსტში განმარტავს, რომ წინამდებარე განჩინების მსჯელობის საგანს არ წარმოადგენს ზემოხსენებული დადგენილების შეფასება რელიგიის, გამოხატვის ან შეკრების (გაერთიანების) თავისუფლების, ასევე, დისკრიმინაციის ფაქტის არსებობის კუთხით, რადგანაც ამ საკითხებზე არც ერთ მხარეს არ მიუთითებია, უფრო მეტიც, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის თაობაზე აღძრულია საკონსტიტუციო სარჩელი და მიმდინარეობს საკონსტიტუციო სამართალწარმოება, შესაბამისად, საკასაციო პალატა ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, 409-ე მუხლით და მხარეთა პრეტენზიების საფუძვლიანობას მათი შედავების ფარგლებში ამონმებს), კერძოდ, დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია, რომ საქართველოს მთავრობა აღიარებს საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს (შემდგომში – საბჭოთა რეჟიმის დროს) მიყენებულ ზიანს და მე-3

პუნქტით მკაფიოდ ადგენს სუბიექტთა წრეს, რომლებზეც ზიანის ანაზღაურების წესი ვრცელდება. მათ შორისაა საქართველოში ამ დადგენილების მიღებამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული ისლამური გაერთიანებები. დადგენილების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში რეგისტრირებულ რელიგიურ გაერთიანებებს არ აქვთ სამართლებრივი კავშირი საბჭოთა რეჟიმის დროს დაზარალებულ რელიგიურ გაერთიანებებსა და თემებთან, საქართველოს მთავრობა ზიანს აუნაზღაურებს იმ რელიგიურ გაერთიანებას, რომელიც აღიარებს იმავე რელიგიურ მოძღვრებას და/ან მას აქვს აღმსარებლობითი მემკვიდრეობა დაზარალებული რელიგიური გაერთიანებებისაგან (იხ. 2.2. მუხლი). დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, რომ საქართველოს მთავრობის ნებას წარმოადგენს არა ამავე დადგენილების 3.2 მუხლით განსაზღვრული რეორგანიზაციის გზით ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან წარმომადგენლობითი საბჭოსათვის, არამედ, ყველა იმ აღმსარებლობის მიმდევრებისათვის (რელიგიური გაერთიანებისათვის) ზიანის ანაზღაურება, რომლებიც აკმაყოფილებენ დადგენილების 1.3. მუხლის მოთხოვნებს. მითითებული დანაწესი არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ბენეფიციარუნარიანობა ამ წინაპირობების შესრულებაზეა დამოკიდებული (წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნა ან ერთ სსიპ-ად ჩამოყალიბება), რამდენადაც ხსენებული რეგულაცია მიზნად ისახავს იმ სუბიექტის ჩამოყალიბებას, რომელიც გარკვეული ე.წ. „შუამავლის“, „გამტარის“ ფუნქციას შეითავსებს სახელმწიფოსა და ბენეფიციარს შორის. ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნა არ ხელყოფს მორწმუნეთა იდენტობას, პირიქით, ამ შემთხვევაში დაცულია, როგორც ავტონომიურობის, ისე რელიგიური აღმსარებლობის თითოეული აქტიური წევრის მიერ რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის პრინციპი, შესაბამისად, №117 დადგენილებიდან გამომდინარე, მოსარჩელეს იურიდიული ინტერესი შეიძლება მხოლოდ ზიანის საკომპენსაციო თანხის მოთხოვნასთან მიმართებაში გააჩნდეს, რათა სახელმწიფოს მიერ ამ მიზნით გამოყოფილი ანაზღაურება მიიღოს და შესაბამისი საჭიროებისამებრ განკარგოს. ეს საკითხი განსახილველი დავის ფარგლებში სადავო არაა (იხ. სამოტივაციო ნაწილის 1.3.2.

პუნქტი), უფრო მეტიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მოსარჩელე უდავოდ წარმომადგენს ბენეფიციარს და იღებს კიდევაც შესაბამის კომპენსაციას, საპირისპირო ვითარებაშიც კი, აღიარებითი სარჩელის აღძვრა მით უფრო გაუმართლებელი იქნებოდა, რამდენადაც მოსარჩელეს, როგორც უფლების მქონე პირს, უნდა აღეძრა მიკუთვნებითი სარჩელი და სწორედ ამ შინაარსის მოთხოვნაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლებოდა ყოფილიყო უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალება.

1.3.4. აქვე მნიშვნელოვანია განიმარტოს დადგენილების 3.3. მუხლი, სადაც საუბარია ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაკარგვაზე, კერძოდ, მითითებული ნორმა თავისი შინაარსობრივი დატვირთვით ხომ არ შეიცავს სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური ვალდებულების (თავი შეიკავოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-9 და მე-11 მუხლებით გარანტირებულ უფლებებში ჩარევისაგან) დარღვევის ნიშნებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა უნდა განიმარტოს დადგენილების მიზნისა და სულისკვეთების გათვალისწინებით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ გამოხატა ურყევი ნება, საქართველოში არსებულ რელიგიურ გაერთიანებებს აუნაზღაუროს საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანი. დადგენილებით განისაზღვრა ანაზღაურების ზოგადი წესი და ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ რელიგიური გაერთიანებები. თუ ეს წინაპირობები დაკმაყოფილებულია, ერთი აღმსარებლობის სახელით მოქმედი იურიდიული პირები თანხებს მიიღებენ არა სახელმწიფოსათვის ინდივიდუალურად მიმართვის, არამედ – წარმომადგენლობითი საბჭოს შექმნის გზით (დამატებით იხ. 1.3.3. პუნქტი), რაც განსახილველ შემთხვევაში განხორციელდა კიდევც. ამასთან, დადგენილების მიმღებმა (სახელმწიფომ) ორგანიზაციული საკითხების მოსაწესრიგებლად (წარმომადგენლების დანიშვნა და საბჭოს ფორმირება) დაადგინა გარკვეული ვადა, რაც ლეგიტიმურია ნორმატიული აქტის განსაზღვრულობის პრინციპთან მიმართებით.

1.4. ამდენად, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს მთავრობის №117 დადგენილების უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე რელიგიური ორგანიზაციების მიერ შექმნილი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად მოსარჩელის აღიარებისა და შესაბა-

მისად, ორგანიზაციის აღნიშნული წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად ცნობის მიმართ სსიპ ს-ოს არ შეიძლება გააჩნდეს იურიდიული ინტერესი, რადგანაც, როგორც ითქვა, იგი ამ დადგენილების ბენეფიციარი მხარეა, რამდენადაც უდავოა, რომ აკმაყოფილებს მისი პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს (სამართალსუბიექტობა – სამენარმეო რეესტრში რეგისტრირებულია სსიპ-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით 2013 წლის 13 ივნისს და მხარეები არ დავობენ, რომ იგი ისლამური აღმსარებლობის რელიგიური გაერთიანებაა), ასევე იღებს რელიგიური თემის საქროებიდან გამომდინარე სუბსიდიას (საპირისპირო ვითარებაში, სარჩელის განუხილველად დატოვებით მას არ ერთმევა უფლება, აღძრას მიკუთვნებითი სარჩელი), ხოლო მისი სუბიექტური სურვილი, კონტროლი განახორციელოს წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობაზე, ვერ გახდება წინამდებარე სარჩელის მიმართ იურიდიული ინტერესის არსებობის განმსაზღვრელი. საკასაციო პალატა ასევე მოიშველიებს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თვისუფლებათა დაცვის“ ევროპულ კონვენციას, რომლის მე-6 მუხლით რეგლამენტირებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი. კონვენციის აღნიშნული დათქმა (მსგავსად საქართველოს კონსტიტუციის 42.1 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლებისა) ექვემდებარება ფართო განმარტებას და თავის თავში არა მხოლოდ საქმის მიუკერძოებელ განხილვას, არამედ სამართლიან გადაწყვეტასაც მოიცავს, რაც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს, არამედ, სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტიან და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება.

1.5. მოხმობილი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომლის თანახმადაც, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის

საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). მთავარი სხდომის დანიშვნამდე სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მოსარჩელეს არ დაუბრუნდება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმობილი ნორმა მითითებითი ხასიათისაა და მართალია, ამავე კოდექსის 275-ე მუხლის წინაპირობების შემონიშნაზე მასშია საუბარი, თუმცა, ეს უკანასკნელი ნორმაც არ შეიცავს სარჩელის განუხილველად დატოვების ამომწურავ ჩამონათვალს, რის გამოც, დასაშვებია საპროცესო ანალოგიის პრინციპის გამოყენება (სსსკ-ის მე-7 მუხლი), როდესაც სახეზე გვაქვს სარჩელის მიღებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა (იხ. სუსგ №ას-551-522-2015, 14 აგვისტო, 2015 წელი). მოცემულ საქმეზე, რადგანაც აღიარებითი სარჩელი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი განუხილველად უნდა იქნას დატოვებული, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

## **2. სასამართლო ხარჯები:**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების გამო, პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს/შეგებებულ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის 70-70%.

## **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე, 372-ე, 399-ე მუხლებით და

## **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სსიპ ს-ოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილ-

დეს.

2. სსიპ ს-ოს შეგებებული საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

3. გაუქმდეს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება, ასევე, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება და სსიპ ს-ოს სარჩელი სსიპ რ-ოს, სსიპ ს-ისა და სსიპ ს-ოს მიმართ, სამართლებრივი ურთიერთობის აღიარების თაობაზე დარჩეს განუხილველად.

4. სსიპ ს-ოს (ს/კ №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს მის მიერ 28.04.2017წ. №1 საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

5. სსიპ ს-ოს (ს/კ №...) სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს ო. ქ-ის მიერ 29.06.2017წ. №1 საგადახდო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ალიარაპიტი სარჩელი

## ბანჩინება საქართველოს სახელით

№ას-367-341-2017

13 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** საბუთის სიყალბის დადგენა და სამკვიდრო მონ-  
მობის ბათილად ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

1. ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს 1977 წლის 11 ივლისის მოხსენებითი ბარათით, ქ. თბილისში, ა-ის ქ. №22-ში მდებარე სახ-  
ლთმფლობელობაზე (შემდეგში – სადავო უძრავი ქონება) საბინაო  
ნიგნი რეგისტრაციაში გატარდა მ. გ-ს ძე ა-ის სახელზე (შემდეგში –  
მოპასუხის პაპა; იხ: ბიუროს მოხსენებითი ბარათი).

2. ს. ტ-ი (შემდეგში – მამკვიდრებელი ან მოსარჩელის მეუღლე)  
ე. მ-ის (შემდეგში – მოპასუხე ან მემკვიდრე) პაპასთან (იხ. პირვე-  
ლი პუნქტი) შეთანხმებით, 1925 წლიდან, სარგებლობის უფლებით,  
გარდაცვალებამდე ცხოვრობდა ზემოხსენებულ მისამართზე.

2.1. მოსარჩელის მეუღლე 2015 წლის 15 მაისს გარდაიცვალა,  
იმავე წლის 15 დეკემბერს გაცემული სამკვიდრო მონმობის საფუძ-  
ველზე, მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრემ (მეუღლემ)  
– ა. ტ-მა (შემდეგში – პირველი მოსარჩელე, აპელანტი ან კასატო-  
რი) საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება (იხ. გარდაცვალების  
მონმობა და სამკვიდრო მონმობა).

3. ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებული მოპასუხის  
პაპა 1949 წელს გარდაიცვალა, მისი მეუღლე ა. ა-ი (შემდეგში –  
მოპასუხის ბებია) კი – 1933 წლის 30 ივნისს. მათი დანაშთი სამ-  
კვიდრო ქონება ფაქტობრივი ფლობით მიიღო მათმა შვილმა გ. /  
იგივე გ./ ა-მა /იგივე გ-მა/ (შემდეგში – მოპასუხის დედა), რომე-

ლიც მშობლების გარდაცვალების დროს ცხოვრობდა სადავო ბინაში, ხოლო 1957 წელს საცხოვრებლად სხვა მისამართზე გადავიდა, კერძოდ, თბილისში, ა-ის ქ. №18-ში. 2012 წლის 6 მარტის მდგომარეობით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობა-დახასიათების მიხედვით, სადავო უძრავ ქონებაზე ირიცხებოდა მოპასუხის პაპისა და ბების თანასაკუთრების უფლება (იხ. ცნობა-დახასიათება საჯარო რეესტრიდან)

3.1. გ. დ-მა (შემდეგში: მეორე მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) მოპასუხის დედისგან 1976 წლის 15 სექტემბერს, შეიძინა საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. თბილისში, ა-ის ქ. №22-ში, და დღემდე ცხოვრობს მითითებულ მისამართზე (იხ. შინაურული ხელნერილი);

3.2. მოპასუხის დედა (იხ. მე-3 პუნქტი) 2000 წლის 02 მარტს გარდაიცვალა;

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით ს. ტ-ისა და გ. დ-ის სარჩელი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ დაკმაყოფილდა და სადავო უძრავი ქონება, რომელზედაც ირიცხებოდა ამ განჩინების მე-3 პუნქტში მითითებული მოპასუხის ბებია-პაპის თანასაკუთრების უფლება, ცნობილ იქნა უმკვიდროდ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ, 1444-ე მუხლი). აღნიშნული ქონება უსასყიდლოდ გადაეცათ საკუთრებაში მოსარჩელეებს.

4.1. საჯარო რეესტრის 2013 წლის 15 აპრილის ამონაწერით სადავო უძრავი ქონება /ს.კ 0-/ ირიცხებოდა მე-4 პუნქტში დასახელებული მოსარჩელების თანასაკუთრების უფლებად, ხოლო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებული იყო: თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური აღრიცხვის არქივის 1940 წლის სააღრიცხვო ბარათი №000298 და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება №2/14825-12.

4.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 მაისის საოქმო განჩინებით ბათილად იქნა ცნობილი ამ განჩინების მე-4 პუნქტში დასახელებული გადაწყვეტილება №2/14825-12 და აღნიშნულ საქმეზე საქმისწარმოება განახლდა (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ 423-ე-424-ე, 430-ე მუხლები) და ს. ტ-ისა და გ. დ-ის

სასარჩელო მოთხოვნა დარჩა განუხილველად, შესაბამისად სადავო უძრავ ქონებაზე აღდგენილ იქნა მოპასუხის პაპისა და ბებუის თანასაკუთრების უფლების რეგისტრაცია. აღნიშნული საოქმო განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა.

4.2.1. საქმისწარმოების განახლებას საფუძველად დაედო ამ განჩინების მე-2 პუნქტში დასახელებული მოპასუხის განცხადება, რომელმაც სასამართლოს წარუდგინა 2014 წლის 14 მაისს გაცემული სამკვიდრო მონუმბა, რომლის მიხედვითაც მან, როგორც პირველი რიგის მემკვიდრემ, გარდაცვლილი დედის დანაშთი სამკვიდრო ქონება მიიღო (იხ. ამ განჩინების მე-3 პუნქტი და 3.2. ქვეპუნქტი).

4.2.2. სამკვიდრო მონუმბის მიხედვით, მოპასუხემ სამკვიდრო მიიღო სსკ-ით დადგენილი წესით, სანოტარო ბიუროში განცხადების შეტანითა და ფაქტობრივი დაუფლებით, რაც დასტურდებოდა: ა) სამკვიდროს მიღების/სამკვიდრო მონუმბის გაცემის შესახებ განცხადებით (იხ. სამკვიდრო მონუმბა); ბ) ქვითრებით – №261150; (გაც. გაცემული ფინანსთა სამინისტროს მიერ, 05.02.1950 წელს) და №4/VI (გაცემული 04.06.2000წ. ენერგოგასაღების განყოფილების მიერ).

4.3. ზემოაღნიშნული ქვითრების გაყალბების ფაქტზე, მოსარჩელეთა განცხადების საფუძველზე, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში, 2016 წლის 21 თებერვალს, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაიწყო (იხ: შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს 2016 წლის 1 მარტის ცნობა).

## **5. სარჩელის საფუძველები**

5.1. ამ განჩინების მე-4 პუნქტში მითითებულმა მოსარჩელებმა 2014 წლის 1 ივლისს სარჩელი აღძრეს მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვეს:

5.1.1. ნოტარიუს ე. მ-ს მიერ 2014 წლის 14 მაისს მოპასუხეზე გაცემული სამკვიდრო მონუმბის ბათილად ცნობა, თანმდევი შედეგებით: ამ განჩინების 4.1 ქვეპუნქტში მითითებული საოქმო განჩინების ბათილად ცნობა და სადავო ქონებაზე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა – მოსარჩელეთა საკუთრების უფლების აღრიცხვა;

5.1.2. მოპასუხის მიერ სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლო-

ბით მიღების დამდგენი დოკუმენტების სიყალბის დადგენა და მის საფუძველზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობა.

5.2. მოსარჩელებმა მიუთითეს ამ განჩინების 1-4 პუნქტებში აღწერილ გარემოებებზე და განმარტეს, რომ ელექტროგასაღების ქვითრები, რომლებიც მოპასუხემ ნოტარიუსს წარუდგინა, გაყალბებულია. ნოტარიუსმა დაუსაბუთებლად დაადგინა, რომ მოპასუხეს სამკვიდრო ფაქტობრივი ფლობით აქვს მიღებული მაშინ, როდესაც სადავო მისამართზე მას არც ერთი მეზობელი არ იცნობს. მოსარჩელებმა არაერთხელ მიმართეს ნოტარიუსს ზემოხსენებული ქვითრების გადაცემის მოთხოვნით, ექსპერტიზის შესწავლის მიზნით, თუმცა, ნოტარიუსმა მათ ქვითრები არ გადასცა. ეს ფაქტები გახდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და სადავო ქონების უმკვიდროდ აღიარების საფუძველი, რაც მოსარჩელებს, როგორც სადავო უძრავი ქონებით მოსარგებლებს (ე.წ. „ატსტუპნიკებს“) უსასყიდლოდ გადაეცათ.

## **6. მოპასუხის შესაგებელი**

6.1. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, მიუთითა წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში აღწერილ გარემოებებზე და განმარტა, რომ სადავო ქონება არ წარმოადგენს უმკვიდრო ქონებას. სადავო ბინაზე საკუთრების უფლება მას წარმოეშვა კანონის ძალით და მის სახელზე სამკვიდრო მონუმობა კანონიერადაა გაცემული. ამასთან, გაურკვეველია მოსარჩელების იურიდიული ინტერესი, ვინაიდან სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობით მოსარჩელები სასურველ შედეგს ვერ მიიღებენ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 მაისის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს 2013 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება, რომლითაც სადავო ქონება უმკვიდროდ იქნა ცნობილი და უსასყიდლოდ გადაეცათ მოსარჩელებს. ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

6.2. მოპასუხის პოზიციას სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით დაეთანხმა საქმეში მესამე პირად (დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე) ჩაბმული რ. (ე.) მ-იც (მოპასუხის ძმა).

## **7. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები**

7.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის საოქმო განჩინებით, მოსარჩელეთა შუამდგომლობის საფუძველზე, სასარჩელო მოთხოვნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ნაწილში დარჩა განუხილველად. სასამართლო წარმოება გაგრძელდა სასარჩელო მოთხოვნის დანარჩენი ნაწილის (ქვითრების სიყალბის დადგენისა და სამკვიდრო მონმობის ბათილად ცნობის) მიმართ.

7.1.1. მოსარჩელე ს. ტ-ის გარდაცვალების გამო 2015 წლის 22 მაისის განჩინებით შეჩერებული საქმისწარმოება განახლდა იმავე სასამართლოს 2016 წლის 18 თებერვლის განჩინებით და საქმეში უფლებამონაცვლედ ჩაერთო მისი პირველი რიგის მემკვიდრე – მეუღლე ა. ტ-ი (იხ. ამ განჩინების 2.1 ქვეპუნქტი).

7.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7.3. სასამართლომ, საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, გამოიკვლია და დაადგინა წინამდებარე განჩინების 1-4 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებანი, ხოლო დავის მოსანესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 311-ე, 312-ე, 1306-ე, 1319-ე, 1320-ე, 1328-ე, 1336-ე-1337-ე, 1421-ე, 1424-ე, 1500-ე მუხლები და განმარტა:

7.3.1. მოსარჩელის მითითებით, სადავო უძრავ ქონებაზე გაცემული სამკვიდრო მონმობა ეფუძნება დოკუმენტებს, რომელთა ნამდვილობაც საეჭვოა. მოსარჩელის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ნოტარიუსისგან ექსპერტიზის ჩატარების მიზნით გამოთხოვილ იქნა ის ქვითრები, რომელთა საფუძველზეც ნოტარიუსმა მოპასუხის მიერ სამკვიდროს მიღება დაადასტურა. მოსარჩელეები მიუთითებენ, რომ სანოტარო ბიუროში მოპასუხის მიერ წარდგენილი ქვითრები გაყალბებულია, რადგან მათზე გარკვეული სახის ცვლილებები აღინიშნება. ამ ფაქტზე მოსარჩელეთა განცხადების საფუძველზე, 2016 წლის 21 თებერვალს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება.

7.3.2. სსკ-ის 1336-ე მუხლის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად მიიჩნევიან პირველ რიგში – გარდაცვლილის შვილები, მეუღლე, მშობლები;

შვილიშვილები, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხის სახელზე სამკვიდრო მონაწილის გაცემისას, ნოტარიუსმა დაიცვა „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მოთხოვნები. კერძოდ, სამკვიდროს ფაქტობრივად დაუფლების ფაქტი შეიძლება დადგინდეს თუ მემკვიდრემ გადაიხადა სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებასთან დაკავშირებული გადასახადები (მაგალითად, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი) და/ან სადაზღვევო შენატანები, აგრეთვე კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი ცნობებით, ან ქვითრებით, თუ შესაძლებელია მათში მითითებული გადამხდელის იდენტიფიკაცია. ამასთანავე, ეს ვალდებულებები შესრულებული უნდა იყოს სამკვიდროს მიღების ვადაში. საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ მოპასუხის დედას ფაქტობრივი ფლობით ჰქონდა მიღებული მშობლების დანაშაულის სამკვიდრო ქონება, რადგან მშობლების გარდაცვალების დროს ცხოვრობდა სადავო ბინაში. გარდა ამისა, სამკვიდროს მიღებას ადასტურებდა ისიც, რომ მეორე მოსარჩელემ ბინიდან ერთი ოთახის სარგებლობის უფლება მოპასუხის დედასთან გაფორმებული შინაურული ხელწერილით მოიპოვა (იხ. ამ განჩინების 3.1 ქვეპუნქტი). საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ნოტარიუსის დასკვნა, რომ მოპასუხემ სამკვიდრო მიიღო სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, სანოტარო ბიუროში განცხადების შეტანით, წარმომადგენლობითი უფლებითა და ფაქტობრივი დაუფლებით. აღნიშნულის დამადასტურებელ მტკიცებულებებს კი წარმოადგენდა სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადება და ქვითრები, რომლებითაც დადასტურდა, რომ მოპასუხემ გადაიხადა სააბონენტო გადასახადი, ანუ იგი შეუდგა სამკვიდროს ფლობას.

7.3.3. სასამართლომ იმსჯელა იმ იურიდიულ ინტერესზეც, რომელიც მოსარჩელეებს აღნიშნული სასარჩელო დავიდან გამომდინარე შეიძლებოდა ჰქონოდათ და განმარტა: საჯარო რეესტრიდან

2014 წლის 24 ივნისის ამონაწერით სადავო უძრავი ქონება /საკადასტრო კოდი №0-/ საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია მოპასუხის სახელზე. რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა (სსკ-ის 312-ე მუხლი). სსკ-ის 180-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადანყვეტილებით მოხდეს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელეთა მიერ აღძრული აღიარებითი სარჩელის იურიდიულ ინტერესზე. დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 მაისის სასამართლოს საოქმო განჩინებით, მოპასუხის განცხადება დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 იანვრის გადანყვეტილება და განახლდა საქმისწარმოება სარჩელზე მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ საცხოვრებელი სადგომის უმკვიდროდ ცნობისა და მოსარჩელებისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ (საქმე №2/14825-12). ამავე სასამართლოს საოქმო განჩინებით, სარჩელი დარჩა განუხილველად და სადავო ქონებაზე აღდგენილ იქნა მოპასუხის პაპისა და ბებუის საკუთრება. ეს განჩინება მხარეთა მიერ არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაშია შესული. მოსარჩელების იურიდიული ინტერესი, მათი განმარტებით, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და უძრავი ქონების მათ თანამესაკუთრებად დარეგისტრირებაა. სასამართლოს განმარტებით, სსკ-ის 180-ე მუხლის მიხედვით, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების აუცილებელი წინაპირობა მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობაა. აღიარებითი სარჩელით დავის გადანყვეტა საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, ანუ ამ გადანყვეტილებას სრულიად გარკვეული სარგებლობა უნდა მოჰქონდეს მოსარჩელისათვის. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული, 2014 წლის 15 მაისის საოქმო განჩინებით, მოსარჩელების სასარჩელო განცხადება უძრავი ქონების უმ-

კვიდროდ ცნობის და უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ დარჩა განუხილველად: უძრავ ქონებაზე კვლავ ძველი მესაკუთრეების, მოპასუხის პაპისა და ბებუის საკუთრების უფლება აღდგა. ეს ქონება, სამკვიდრო მონუმობის საფუძველზე, ამჟამად მოპასუხის საკუთრებას წარმოადგენს. ამდენად, ის ქონება, რომელზეც მოსარჩელები აცხადებენ პრეტენზიას, არ წარმოადგენს უმკვიდრო ქონებას. ასეთ ვითარებაში გაურკვეველია, თუ მოსარჩელებისთვის სასიკეთო რა იურიდიულ ინტერესს უკავშირდებოდა ქვითრების სიყალბის დადგენა. სასამართლომ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დადგინდებოდა ქვითრების სიყალბე და ბათილად იქნებოდა ცნობილი მოპასუხის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობა, აღნიშნული მაინც არ იძლეოდა მიკუთვნებითი ინტერესის დაკმაყოფილების საფუძველს და ვერ აღდგებოდა პირვანდელი მდგომარეობა იმ სახით, რომ სადავო უძრავ ქონებაზე აღრიცხულიყო მოსარჩელეთა თანასაკუთრების უფლება.

#### **8. მოსარჩელეთა სააპელაციო საჩივარი**

8.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება მოითხოვეს შემდეგი დასაბუთებით:

8.1.1. მოპასუხის მიერ ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი არ დასტურდება, ვინაიდან სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ დაადგინა, რომ ქვითრები, რომელიც სამკვიდრო მონუმობის მისაღებად წარადგინა მოპასუხემ, გაყალბებულია: მათზე შეინიშნება გარკვეული ცვლილებები, ხელმოწერა სხვადასხვა მელნითაა შესრულებული და ა. შ.

#### **9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება და დასკვნები**

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 იანვრის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად;

9.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სასამართლებრივი შეფასებები (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი) და განმარტა:

9.2.1. აპელანტთა დავის საგანს წარმოადგენდა იმ დოკუმენტების სიყალბე, რომელთა საფუძველზეც მოპასუხემ სადავო უძრავი ქონების ფაქტობრივად დაუფლება დაადასტურა და მიიღო სამკვიდრო მონაწილეობა. ამის გათვალისწინებით, აპელანტების მტკიცებულების საგანში შემავალ გარემოებას მოპასუხის მიერ ნოტარიუსისათვის წარდგენილი ქვითრების (იხ. ამ განჩინების 7.3.1-7.3.2. ქვეპუნქტები) სიყალბის აღიარება წარმოადგენდა. ამ მიზნით მხარემ ქვითრებზე ტექნიკური და ხელმოწერის ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა, ე.ი. სარჩელში მითითებული გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად ექსპერტიზის დასკვნა განსაზღვრა.

9.2.2. ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ფინანსთა სამინისტროს ქვითარზე გარკვეული ცვლილება, კერძოდ, ამოშლა, შეინიშნება, ხოლო თელასის ქვითარზე არსებული მოპასუხის ხელმოწერა არ არის შესრულებული იმ საწერი საშუალებით, რომლითაც შესრულებულია ამ ქვითარზე არსებული სხვა ჩანაწერი (იხ. ექსპერტიზის დასკვნა).

9.2.3. სსსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, „1. სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. 2. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. 3. მოსაზრებები, რომლებიც საფუძველად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანყვეტილებაში“. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული კვლევის შედეგები არ იძლეოდა იმგვარი დასკვნის საშუალებას, რომ ქვითრები ცალსახად ყალბი იყო, სხვა მტკიცებულებებზე კი აპელანტებს არ მიუთითებიათ. შესაბამისად, არ არსებობდა მათი მოთხოვნის (ქვითრების ყალბად ცნობისა და მისი თანმდევი შედეგის – სამკვიდრო მონაწილეობის გაუქმების) დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

9.3. სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მოთხოვნის ნამდვილი იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილების მართლზომიერებაზეც და სსსკ-ის 180-ე მუხლის თანახმად, „სარჩელი შეიძლება აღიძვრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების

ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს“ განმარტა: აღიარებითი სარჩელის აღძვრის შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული იურიდიული ინტერესი უნდა იყოს ნამდვილი და სწორი, ანუ მიღწევადი. ერთია, მოსარჩელის სურვილი, ხოლო მეორე კი – სარჩელის ნამდვილი იურიდიული ინტერესი. იურიდიული ინტერესის ცნებაში ყოველთვის იგულისხმება ის მატერიალურსამართლებრივი უფლება, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს აღიარებითი სარჩელი. აღიარებითი სარჩელი დაუშვებელია, თუ შესაძლებელია აღიძრას მიკუთვნებითი სარჩელი. ამდენად, მატერიალურსამართლებრივი უფლების დაცვა შესაძლებელია აღიარებითი სარჩელის აღძვრის გზით, მაგრამ ასეთი სარჩელი უნდა უზრუნველყოფდეს სადავოდ ქცეული უფლების დაცვას და უნდა გამორიცხავდეს მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. საქმის მასალებისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა მოსარჩელეთა იურიდიული ინტერესის არარსებობა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული გარემოება სარჩელის უარყოფის საფუძველს წარმოადგენდა.

9.4. სასამართლომ იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ნაწილში სარჩელის გახმობის შესახებ მოსარჩელეთა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის მოსამზადებელ სხდომაზე მიღებული იქნა შესაბამისი განჩინება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული (იხ. ამ განჩინების 7.1 ქვეპუნქტი), ამდენად, სააპელაციო სასამართლო ვედარ იმსჯელებდა იმ მოთხოვნაზე, რომელიც მოსარჩელებმა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას უკან გაიხმეს (სსსკ-ის 83.1 მუხლი) და აპელანტთა მოთხოვნა კიდევ უფრო ბუნდოვანი იყო მათი მოთხოვნის იურიდიულ ინტერესთან დაკავშირებით.

## **10. მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი**

10.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება სარ-

ჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და სააპელაციო პრეტენზიების იდენტურ გარემოებებზე დაყრდნობით (იხ. საკასაციო საჩივარი).

### **11. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი:**

11.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის განჩინებით, საკასაციო განაცხადი დასაშვებადაა ცნობილი არსებითად განხილვის მიზნით სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგი დასაბუთებით:

12. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის პრეტენზიები დაუსაბუთებელია.

13. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

14. საკასაციო საჩივრის ფარგლებში კასატორი ითხოვს, რომ გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და სარჩელი დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

14.1. სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გაიზიარა ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა იმის შესახებ, რომ ორივე ქვითარში აღინიშნება გაყალბების ნიშნები. სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის 105-ე მუხლი, თუმცა, არასწორად განმარტა. მტკიცებულებებს სასამართლო ორი კრიტერიუმით აფასებს – მათი სარწმუნოობისა და საქმისთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული ფაქტის დადასტურების თვალსაზრისით. კასატორთა მტკიცებით, გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რის საფუძველზე არ გაიზიარა ექსპერტიზის დასკვნის შედეგები.

14.2. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 85.3 მუხლით გარანტირებულია სამართალწარმოების განხორციელება მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის საწყისებზე, რაც, ასევე, ასახულია სსსკ-ის მე-4 და მე-5 მუხლებში, ამასთან, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ (სსსკ-ის 105-ე მუხლი).

14.3. მოსარჩელეთა საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

14.3.1. განსახილველ შემთხვევაში, უპირველესად, შესაფასებელია ის გარემოება, თუ რამდენად პერსპექტიულია მატერიალურ-პროცესუალური თვალსაზრისით სასარჩელო მოთხოვნა მაშინ, როდესაც გამოკვეთილი არაა მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, ანუ რა სამართლებრივ შედეგს განაპირობებს სასამართლოს მიერ დოკუმენტების სიყალბის დადგენა. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსსკ-ის მე-2 მუხლზე, რომელიც უზრუნველყოფს პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დასაცავად. სასარჩელო მოთხოვნის წარმატების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს პირის ვალდებულება, რომ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს მოთხოვნა და ის მიზანი, რომლის მიღწევაც სურს

სასამართლო დავით. გარდა ამისა, სარჩელი გამართული უნდა იყოს მატერიალური და სამართლებრივი თვალსაზრისითაც (სსსკ-ის 178-ე მუხლი), რაც იმას გულისხმობს, რომ სამართლებრივი შედეგი და ამ შედეგის ფაქტობრივი წინაპირობები უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან (ნორმის შემადგენლობა). სსსკ-ის 180-ე მუხლით (ნორმის დეფინიცია იხ. ამ განჩინების 9.3 ქვეპუნქტში) განსაზღვრული აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოსარჩელემ სარწმუნოდ უნდა შეძლოს იმის დადასტურება, მისთვის რა იურიდიულ შედეგებს განაპირობებს ასეთი აღიარება. განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოების ეტაპზე, მოსარჩელებმა ნაწილობრივ (2014 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის ნაწილში) გაიხმეს სარჩელი და შესაბამისად, მოთხოვნა ამ ნაწილში განუხილველად დარჩა (იხ. 9.4 ქვეპუნქტი). მათი სასარჩელო მოთხოვნა შემოიფარგლა მტკიცებულებების (ქვითრების) ყალბად ცნობისა და მოპასუხის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმენტის გაუქმების მოთხოვნით.

14.3.2. ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც სსსკ-ის 180-ე მუხლით აღძრული სარჩელების დაკმაყოფილების წინაპირობებს შეეხება, საკასაციო სასამართლომ განმარტა: „მიკუთვნებითი (აღსრულებითი) სარჩელებისაგან განსხვავებით, რომლებიც მიმართულია დარღვეული უფლების დაცვისაკენ, აღიარებითი სარჩელების დროს მოსარჩელის უფლება ჯერ კიდევ არაა დარღვეული, მაგრამ არსებობს მისი მომავალში დარღვევის საშიშროება, რადგან ვიღაც ედავება მას ამ უფლებაში. აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესის არსებობისათვის, რომელიც წარმოადგენს აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის წინაპირობას (სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი) – საჭიროა შემდეგი კრიტერიუმების არსებობა: ა) მოსარჩელეს უნდა ედავებოდნენ უფლებაში; ბ) დავის არსებობა უნდა ქმნიდეს მოსარჩელის უფლების მომავალში დარღვევის რეალურ საშიშროებას; გ) აღიარებითი სარჩელის გადაწყვეტა დავის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება უნდა იყოს, კერძოდ, გადაწყვეტილებით მხარე გარკვეულ იურიდიულ შედეგს უნდა იღებდეს, აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფი-

ლება უნდა ქმნიდეს იმ უფლებისა თუ ურთიერთობის განსაზღვრულობას, რაც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილი დავის გამო ირღვევა“ (იხ. სუსგ №ას-1187-1117-2015, 05.02.2016; შდრ. №ას-914-876-2014, 19.02.2016წ.); იმ იურიდიულ შედეგებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა, გამომდინარეობდეს აღიარებითი სარჩელებიდან, საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „აღიარებითი სარჩელი დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს. მაგალითად, მამად ცნობა, მამობის დადგენა, ქორწინების ბათილად ცნობა, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორად აღიარება და ა.შ. ამ სახის სარჩელების მიზანია არა სუბიექტური უფლების მიკუთვნება, არამედ უფლების სადავოობის აღმოფხვრა. ამ დროს სულაც არ არის აუცილებელი, რომ პირის უფლება დარღვეული იყოს, მაგრამ, ვარაუდი იმისა, რომ მომავალში შეიძლება დაირღვეს, წარმოადგენს პირის იურიდიულ ინტერესს. ამიტომაც, ამ ტიპის სარჩელებს „უფლების დამდგენ“ სარჩელებსაც უწოდებენ. მიკუთვნებითი სარჩელებისგან განსხვავებით, აღიარებითი სარჩელის დავის საგანია თვით მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სუბსიდიური ხასიათის მატარებელია და იურიდიული ინტერესის არსებობა გამოორიცხულია, თუ შესაძლებელია მოპასუხის მიმართ მიკუთვნებითი მოთხოვნის წარდგენა“ (იხ. სუსგ №ას-937-887-2015, 10.11.2015).

14.3.3. საკასაციო სასამართლოს დიდმა პალატამ, სსსკ-ის 180-ე მუხლის განმარტებისას აღნიშნა, რომ „აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებით, მოსარჩელემ უნდა განახორციელოს კონკრეტული უფლება და ამ უფლების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს უშუალოდ აღიარებითი სარჩელით მოთხოვნილი უფლების აღიარებასთან. სხვა საკითხია იურიდიული შედეგის არსებობის ან არარსებობის დადგენის სურვილი. იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის უპირატესად უნდა გაირკვეს, გაუმჯობესდება თუ არა მოსარჩელის სამართლებრივი მდგომარეობა მისი აღიარებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში“ (იხ. სუსგ. №ას-121-117-2016; 17.03.2016წ.).

14.3.4. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელები სამკვიდრო მონუმობის ბათილად ცნობას მოითხოვენ, თუმცა, დაუსაბუთებელია, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას რა სამართლებრივი შედე-

გები მოჰყვება მათთვის და რა არის მათი ნამდვილი იურიდიული ინტერესი ამგვარი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი წარმოადგენენ შედავებითი შინაარსის სარჩელს დოკუმენტების ნამდვილობისა და სამკვიდრო მონუმენტის მართლობიერად გაცემის თაობაზე, მაგრამ არ მიუთითებენ იმ იურიდიულ ინტერესზე, რასაც სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებით ცდილობენ, ე.ი. ისეთ პირობებში, როდესაც მოსარჩელები არ/ვერ აზუსტებენ, რა სამართლებრივ სიკეთეს უზრუნველყოფს მათთვის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება, არ არსებობს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებული დოკუმენტების სიყალბე დადგინდება.

14.3.5. საკასაციო სასამართლო არაერთ განჩინებაში განმარტავს, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც შესაძლებელია მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრა და აღძრულია აღიარებითი სარჩელი, რომელიც მოსარჩელის ინტერესის სამართლებრივი დაკმაყოფილების საშუალებას არ იძლევა, სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტისა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსზეც, რომელთა მიხედვით, აღიარებითი სარჩელის აღძვრისას იურიდიული ინტერესის არარსებობა სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სასამართლო, სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების საფუძველზე [თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები)] უფლებამოსილი იყო, ამ ნაწილში სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგაც განუხილველად დაეტოვებინა მოთხოვნა (იხ. სუსგ: №ას-937-887-2015; შდრ. №ას-914-876-2014).

14.3.6. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელეთა მიერ აღძრული რომც ყოფილიყო მიკუთვნებითი მოთხოვნა – უმკვიდრობის გამო სადავო ქონებაზე მოსარჩელეთა საკუთრების უფლების აღრიცხვა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესა-

ხებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მაინც არ ექნებოდა სარჩელს წარმატების პერსპექტივა, რადგან სადავო ქონებაზე აღრიცხულია მოპასუხის საკუთრების უფლება, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 15 მაისის საოქმო განჩინებით დადგინდა და კანონიერ ძალაშია; საკუთრების უფლებაზე შესაბამისი ჩანაწერი აისახა საჯარო რეესტრშიც. საკასაციო სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეთა მიერ მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრისა და დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი, საჯარო რეესტრში მოპასუხის საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმება მიღწევადი მაინც ვერ იქნება, რადგანაც როგორც სსკ-ის 312.1 მუხლით: „რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა“, ისე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეხუთე მუხლის თანახმად, „საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი“ (იხ. სუსგ-ები №ას-1043-1004-2016, 2016 წლის 12 დეკემბრის განჩინება; №ას-901-867-2016, 2016 წლის 9 დეკემბრის განჩინება; №ას-3-3-2016, 2016 წლის 9 მარტის განჩინება; №ას-1082-1039-2016, 2017 წლის 14 თებერვლის განჩინება; №ას-292-276-2017, 2017 წლის 31 მარტის განჩინება; №ას-358-334-2017, 2017 წლის 13 აპრილის განჩინება).

14.4. „საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე იმ საკითხზე, თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად შესაძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია (Apostol v. Georgia; §37; ასევე იხ. Hornsby v. Greece, §40), ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (IZA Ltd and

Makrakhidze v. Georgia, §42; სხვა პრეცედენტთა შორის იხ. Burdov v. Russia, §34; Hornsby v. Greece, §40).“ – იხ. სუსგ №ას-1187-1117-2015, 05.02.2016წ; №ას-1132-1065-2015, 03.05.206წ; №ას-1224-1149-2015, 20.05.2016.

14.5. ზემოხსენებული სამართლებრივი მოტივაციის გამო არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი, შესაბამისად, გაზიარებულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა და დასკვნები, რომლებიც უცვლელად დარჩა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. გ. დ-ისა და ა. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სა-მოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 27 იანვრის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 7. საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სსდომავზე განსახილველად

### შესაგებლის წარდგენა

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ას-845-789-2017

22 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მემკვიდრედ ცნობა, სამკვიდრო მონაწილის 1/3 ნაწილში ცვლილების შეტანა (ლ. ჭ-ს სარჩელში), უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა (გ. ჭ-ის სარჩელში)

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ხაშურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

1.1. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ჭ-ის (შემდეგში: მოსარჩელე, შშმპ, ძმის მიერ აღძრულ სარჩელში მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) სარჩელი ი. ჭ-ის (შემდეგში: მოპასუხე, მოსარჩელის დედა) წინააღმდეგ მამის დანაშთ უძრავ ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის, სამკვიდრო მონაწილის 1/3 ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ არ დაკმაყოფილდა;

1.2. ამავე გადაწყვეტილებით გ. ჭ-ის (შემდეგში: მოსარჩელე ან 1.1 ქვეპუნქტში დასახელებული მოსარჩელის ძმა) სარჩელი ლ. ჭ-ის წინააღმდეგ დაკმაყოფილდა და ამ უკანასკნელის მფლობელობიდან გამოთხოვილი იქნა მოსარჩელის (გ. ჭ-ის) კუთვნილი უძრავი ქონება /მდებარე ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, დ-ის ქ. №17, ს.კ. 6-/ და შშმპ გამოსახლებული იქნა საცხოვრებელი სახლიდან.

1.3. რაიონულმა სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 312-

ე, 170-ე, 172-ე, 1434-ე, 1446-ე-1447-ე მუხლები.

## **2. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი**

2.1. ამ განჩინების 1.1. ქვეპუნქტში დასახელებულმა მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმება და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით:

2.1.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივად არასაკმარისად არის დასაბუთებული, სასამართლოს არც კი უმსჯელია მოსარჩელის, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის უნარის შესახებ, მას უთხრეს, რომ დედაზე (იხ. ამ განჩინების 1.1. ქვეპუნქტში მითითებული მოპასუხე) უნდა გაეფორმებინა მემკვიდრეობა და ამისათვის უნდა დაენერა თანხმობა, რაც შეასრულა, თუმცა, რომ სცოდნოდა, რომ შემდეგ საცხოვრებელი სახლიდან გამოასახლებდნენ და ქუჩაში გამოაგდებდნენ, ამას არ გააკეთებდა;

2.1.2. მოსარჩელემ დედის წინააღმდეგ აღძრული სარჩელით მოითხოვა სამკვიდრო მონაწილის ბათილად ცნობა 1/3 ნაწილში და მამის დანატოვარი სახლის /სადავო უძრავი ქონების მახასიათებლები იხ. ამ განჩინების 1.2. ქვეპუნქტში/ 1/3 ნაწილზე მოსარჩელის მემკვიდრედ ცნობა. ამის შემდეგ, მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ მისმა დედამ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიღებული სადავო უძრავი ქონება მთლიანად მოსარჩელის ძმაზე (იხ. ამ განჩინების 1.2. ქვეპუნქტში დასახელებული პირი) გადააფორმა ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე. მოსარჩელის ძმამ კი საკუთარი დის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი და მოითხოვა მისი გამოსახლება მამის დანატოვარი სამკვიდრო ქონებიდან, რომელიც დედისაგან ჩუქებით მიიღო;

2.1.3. რაიონულმა სასამართლომ გააერთიანა დედის წინააღმდეგ ლ. ჭ-ის სარჩელისა და დის წინააღმდეგ გ. ჭ-ის სარჩელის საქმისწარმოება და ისე იმსჯელა მოსარჩელის გამოსახლებაზე სადავო უძრავი ქონებიდან, რომ არც კი შეაფასა, რომ შეზღუდულუნარიანი ახალგაზრდა ქალი, რომელიც პირველი ჯგუფის ინვალიდია, სიმსივნითაა დაავადებული და მისთვის დაუშვებელია ნერვიულობა, ფიზიკური დატვირთვა; სასამართლომ არ შეაფასა ვითარება სსკ-ის 1446-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რომლითაც დადგე-

ნილია: თუ მემკვიდრე ქმედუუნაროა, შეზღუდულქმედუუნარიანია ან მხარდაჭერის მიმღებია, სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმა დასაშვებია სასამართლოს ნებართვით.

2.1.4. მამის დანაშთი ქონება მოსარჩელესაც ეკუთვნის, როგორც პირველი რიგის მემკვიდრეს, რომელიც დაუფლებულია სამკვიდროს და კანონიერად ცხოვრობს მასში; ამ მიმართებით მცდარია სასამართლოს დასკვნა სსკ-ის 172-ე მუხლზე დაყრდნობით. მოსარჩელის ძმამ მოტყუებით ჩაიგდო ხელში მთელი დანაშთი ქონება, სასამართლოს არც კი უმსჯელია სსკ-ის 1457-ე მუხლის საფუძველზე, რომ თანამემკვიდრისათვის კომპენსაცია მაინც გადაეხადათ;

2.1.5. სასამართლოს მითითება, რომ მოსარჩელე არ არის უნარშეზღუდული არასწორია და არღვევს მის, როგორც მოსარჩელის, ინტერესს. მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მტკიცებულება მისი მკვეთრი უნარშეზღუდულობის შესახებ. სასამართლომ არ შეაფასა ის გარემოება, რომ მამის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ, მთელი მემკვიდრეობა მოსარჩელის დედამ და ძმამ (იხ. ამ განჩინების 1.2. ქვეპუნქტში დასახელებული მოსარჩელე) ჩაიგდეს ხელში, როდესაც ნოტარიუსს დაუმალეს მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობა;

2.1.6. მოსარჩელის დედამ და ძმამ შესაძლოა ნოტარიუსს არასწორი ინფორმაცია წარუდგინეს მამკვიდრებლის – უ. ჭ-ის გარდაცვალების შესახებ, ვინაიდან ეს უკანასკნელი არ იმყოფებოდა ხაშურის რაიონში, ცხოვრობდა უზბეკეთში, ბუხარაში, მემკვიდრეობის გაფორმების დროს მამკვიდრებელმა თავის დას გამოუგზავნა მისალოცი ბარათი; მამკვიდრებლის საფლავი არ იყო არც სურამში და არც ხაშურში, ამდენად, არ იყო გამოორიცხული, რომ სამკვიდროს მიღების დროს რეალურად მამკვიდრებელი არც კი იყო გარდაცვლილი (იხ. სააპელაციო საჩივარი);

2.1.7. შშმ პირთა შესახებ გაეროს 1975 წლის დეკლარაციისა და 1993 წლის 20 დეკემბრის აქტით „შშმპ-თათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის სტანდარტული ნუსხებით“, საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით აკრძალულია შშმ პირთა დისკრიმინაცია და კანონით ისჯება.

**3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები**

3.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მაისის განჩინებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

3.2. სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინებულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითა:

3.2.1. უ. ჭ-ე (შემდეგში: მამკვიდრებელი), რომელიც ი. ჭ-ის მეუღლე და ლ. და გ. ჭ-ეების მამაა, გარდაიცვალა 1990 წლის 18 ნოემბერს;

3.2.2. სამკვიდროში შევიდა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (იხ. ამ განჩინების 1.2 ქვეპუნქტი)

3.2.3. მამკვიდრებლის მთლიანი ქონება მიიღო მისმა პირველი რიგის მემკვიდრემ – მეუღლემ (იხ. 1.1. ქვეპუნქტში დასახელებული მოპასუხე და 3.2.1 ქვეპუნქტი), რაც დასტურდება 2014 წლის 25 ივნისს გაცემული სამკვიდრო მონაბობით (რეესტრში რეგისტრაციის №140656145). ამავე დოკუმენტით დგინდება, რომ სხვა პირველი რიგის მემკვიდრეებმა (იხ. 3.2.1 ქვეპუნქტი) 2014 წლის 19 ივნისს განცხადებით (სანოტარო მოქმედებათა რეესტრში რეგისტრაციის №140631244) დაადასტურეს სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტი;

3.2.4. დღეის მდგომარეობით სადავო უძრავ ქონების 1/2 ნაწილზე რეგისტრირებულია მოსარჩელის ძმის საკუთრების უფლება, რასაც საფუძვლად დაედო ამ უკანასკნელსა და მოსარჩელის დედას შორის 2016 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება;

3.2.5. სადავო საცხოვრებელ სახლში ცხოვრობენ მოსარჩელე, მისი დედა და ძმა (იხ. 3.2.1 ქვეპუნქტი);

3.3. საქმის მასალებით დადგინილია:

3.3.1. ხაშურის რაიონულ სასამართლოში ამ განჩინების 1.1 ქვეპუნქტში დასახელებულმა მოსარჩელემ 2016 წლის 18 ოქტომბერს სარჩელი აღძრა დედის წინააღმდეგ და მოითხოვა მამის დანაშთ სამკვიდროზე – საცხოვრებელი სახლის 1/3 ნაწილის მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, სამკვიდრო მონაბობის 1/3 ნაწილში ცვლილების შეტანა;

3.3.2. 2016 წლის 28 ოქტომბერს იმავე სასამართლოს სარჩელით მიმართა მოსარჩელის ძმამ დის (იხ. ამ განჩინების 1.1. ქვეპუნქტში

დასახელებული მოსარჩელე) მამის დანაშთი და დედისაგან ჩუქებით მიღებული სადავო საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლების მოთხოვნით;

3.3.3. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის განჩინებით ლ. ჭ-ისა და გ. ჭ-ის სარჩელები გაერთიანდა ერთ წარმოებად (იხ. განჩინება).

3.4. სააპელაციო სასამართლო უთითებს, რომ ლ. ჭ-ეს რაიონულ სასამართლოში წარდგენილი სარჩელით სადავოდ არ გაუხდია დედამისსა (იხ. ამ განჩინების 1.1. ქვეპუნქტში დასახელებული მოპასუხე) და ძმას შორის 2016 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება. უფრო მეტიც, სარჩელში არაფერია ნათქვამი ამ გარიგების შესახებ;

3.4.1. ამ განჩინების 1.1 ქვეპუნქტში დასახელებულ მოპასუხეს საცილოდ არ გაუხდია 2014 წლის 19 ივნისის განცხადებაში გამოვლენილი ნება (იხ. ამ განჩინების 3.2.3 ქვეპუნქტი) მამის დანაშთი სამკვიდრო ქონების მიუღებლობის შესახებ. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განცხადებაში მოსარჩელის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება სსკ-ის 50-ე მუხლით /გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ/ დეფინირებული გარიგებაა. ამ განცხადებაში გამოხატული ნების ნამდვილობაზე არ უთითებს მოსარჩელე, რის გარეშეც სასამართლოს დაუსაბუთებლად მიაჩნია ხელმოწერით დადასტურებული ფაქტის /„სამკვიდროს მიუღებლობა“/ არარსებობაზე საუბარი, მით უმეტეს იმ ვითარებაში, როდესაც მოსარჩელე სადავოდ არ ხდის ამ გარიგებას და არ საუბრობს იძულებით, მუქარით, შეცდომით ან მოტყუებით მის დადებაზე;

3.4.2. ამ კონტექსტში საცილო გარიგებათა სამართლებრივი ბუნების განმარტებისას, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ უფლებამოსილი პირი არ ისარგებლებს კანონმდებლობით განსაზღვრული შეცილების უფლებით, საცილო გარიგება ნამდვილი ხდება და სამართლებრივად სავალდებულო ძალას იძენს. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 19.06.2014წ. განცხადებაში მამის დანაშთი სამკვიდროს მიუღებლობის შესახებ გამოვლენილი ნება, ისევე, როგორც ამ განცხადებაზე მოსარჩელის ხელმოწერის სინამდვილე, ამ უკანასკნელს სადავოდ არ გაუხდია საპ-

როცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. როგორც აღინიშნა, მოსარჩელეს არ მიუთითებია იძულების, მუქარის, შეცდომის, მოტყუების ან/და გარიგების საცილობის სხვა სამართლებრივ წინაპირობებზე.

3.5. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის №71-ე ბრძანებით დამტკიცებულ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 78.4 მუხლზე მიუთითა: „ნოტარიუსი, მიუხედავად სამკვიდროს გახსნის ადგილისა, უფლებამოსილია, კერძო ან საჯარო აქტის ფორმით დაამოწმოს ნებისმიერი პირის განცხადება, რომლითაც პირი ადასტურებს/აცხადებს. რომ სამკვიდროს მისაღებად დადგენილი ვადის განმავლობაში მას არც ერთი ფორმით არ მიუღია სამკვიდრო (არც განცხადების სანოტარო ბიუროში წარდგენით, არც სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით, ან მართვით). განცხადება სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის დადასტურების შესახებ შეიძლება დადგეს ნებისმიერ დროს“ და განმარტა, რომ სწორედ ამ აქტის საფუძველზე დაამოწმა ნოტარიუსმა აპელანტის (მოსარჩელის) მიერ 2014 წლის 19 ივნისის განცხადებაში გამოვლენილი ნება მამის დანაშთი სამკვიდროს მიუღებლობის შესახებ. დადგენილია ის ფაქტიც, რომ აპელანტს არ მიუმართავს ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის ცვლილება/გაუქმების მოთხოვნით. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთ ვითარებაში არ არსებობდა საფუძველი მსჯელობისათვის აპელანტის მიერ მამის დანაშთი სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლების შესახებ.

3.6. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტს არ გააჩნია განსახილველი აღიარებითი სარჩელის მიმართ ნამდვილი იურიდიული ინტერესი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში: სსსკ) 180-ე მუხლის თანახმად, „სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ ასეთი აღიარება სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს“. მოხმობილი ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, აღიარებითი სარჩელის მიღებისა და განხილვის აუცილებელი პირობაა მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არსებობა სარჩელში მითითებული სამართლებრივი ურთიერ-

თობის ან ფაქტის აღიარების მიმართ. აღიარებითი სარჩელის სასამართლოში წარდგენისას, მხარე ვალდებულია მიუთითოს და სარწმუნოდ დაასაბუთოს ის იურიდიული ინტერესი, საიდან გამომდინარეც იგი მოახდენს თავისი დარღვეული თუ სადავოდ გამხდარი უფლების რეალიზებას.

3.6.1. იურიდიული ინტერესი არის ის სამართლებრივი სიკეთე, რომელიც მხარემ შეიძლება მიიღოს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, რაც, ბუნებრივია, არ გულისხმობს მხოლოდ ქონების გადაცემას. იურიდიული ინტერესის ცნებაში ყოველთვის იგულისხმება ის მატერიალურ-სამართლებრივი უფლება, რომლის დაცვასაც უზრუნველყოფს აღიარებითი სარჩელი. ამასთან, კანონმდებელმა იმპერატიულად განსაზღვრა, რომ აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მხარე დაადასტურებს, რომ ეს აღიარება სასამართლო წესით უნდა მოხდეს, უფრო ზუსტად კი, სასამართლო წესით უფლების აღიარების აუცილებლობა უნდა გაირკვეს და ამ აღიარებას უნდა მოჰყვებოდეს სამართლებრივი შედეგი. სარჩელის დასაშვებობის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს არამხოლოდ ის გარემოება, რომ სარჩელის ფორმაში შესაბამისი გრაფა შევსებული იყოს, არამედ – მხარის მიერ მითითებული ინტერესის ნამდვილობაც. იურიდიული ინტერესი ნამდვილია იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობიდან გამომდინარე, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეიძლება დადგეს ის შედეგი, რასაც მხარე ისახავს მიზნად. აღნიშნული პირობა ობიექტური გარემოებაა და არ აქვს მნიშვნელობა, თავად მხარე რა სამართლებრივი შედეგის დადგომას უკავშირებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას.

3.6.2. რაიონულ სასამართლოში წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნით (იხ. ამ განჩინების 3.1.6 ქვეპუნქტი) უდავოა, რომ ამ შემთხვევაში მხარის იურიდიული ინტერესია სადავო სამკვიდრო ქონების 1/3-ზე საკუთრების უფლების მოპოვება, რაც აღნიშნული სარჩელით ვერ მიიღწევა, რადგან ამჟამად სადავო უძრავი ქონების 1/2 ნაწილზე რეგისტრირებულია მოსარჩელის ძმის გ. ჭ-ის საკუთრების უფლება, რაც ეფუძნება ჩუქების ხელშეკრულებას (იხ. 3.2.4 ქვეპუნქტი; ასევე, საჯარო რეესტრის ამონაწერი), რაც მოსარჩელეს – ლ. ჭ-ეს სადავოდ არ გაუხდია.

3.7. მოსარჩელის ძმის მიერ აღძრულ ვინდიკაციურ სარჩელთან

დაკავშირებით (იხ. ამ განჩინების 1.2 ქვეპუნქტი) სააპელაციო სასამართლო მიუთითა სსკ-ის 170-ე „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას“ და 173-ე „1. მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. 2. თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით“ მუხლების მოწესრიგებაზე და მოხმობილი ნორმების საფუძველზე განმარტა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მართლზომიერებისათვის შესამოწმებელ წინაპირობებზე: ა) მოსარჩელე უნდა იყოს ნივთის მესაკუთრე; ბ) მოპასუხე უნდა იყოს ნივთის მფლობელი; გ) მოპასუხეს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

3.7.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო, რომ სადავო უძრავი ნივთის  $\frac{1}{2}$  ნაწილის მესაკუთრეა მოსარჩელე გ. ჭ-ე, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით, რომლის მიმართაც სსკ-ის 312-ე მუხლის თანახმად მოქმედებს სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია, შესაბამისად რეესტრის ჩანაწერების უზუსტობის დამტკიცებამდე, ის სწორად მიიჩნევა, ხოლო სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების საფუძველზე, მოსარჩელე ლ. ჭ-ემ, კუთვნილი მტკიცების ტვირთის რეალიზება ვერ შეძლო და ვერ დაადასტურა, რომ იგი სადავო უძრავი ქონების მართლზომიერი მფლობელია.

3.8. ზემოხსენებული სამართლებრივი მოტივაცია დაედო საფუძველად მოსარჩელის სააპელაციო საჩივრის უარყოფასა და რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებას.

#### **4. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი**

4.1. მოსარჩელემ (აპელანტმა) საკასაციო ნესით გაასაჩივრა სა-

აპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში, სააპელაციო საჩივარში მითითებული არგუმენტების იდენტურ გარემოებებზე დაყრდნობით (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი).

### **5. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი**

5.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო განაცხადი არსებითად განსახილველად იქნა დაშვებული სსსკ-ის 391.5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

6. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნავს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება); სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წამოყენებულ პრეტენზიათა ნაწილი დასაბუთებულია.

7. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სარჩელში მითითებულ ფაქტებზე, კერძოდ: მამის გარდაცვალებით 1990 წლის 18 იანვარს გაიხსნა სამკვიდრო, სადაც დაბადებიდან დღემდე ცხოვრობს მოსარჩელე და მას სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია. სანამ მოსარჩელის დედა მემკვიდრეობის მიღების შესახებ სანო-

ტარო ორგანოს მიმართავდა, მოსარჩელეს ფაქტობრივი ფლობით უკვე მიღებული ჰქონდა მემკვიდრეობა, თუმცა, მიუხედავად ამისა, დედამ სთხოვა ქალიშვილს, რომ მის სასარგებლოდ დაენერა განცხადება და უარი ეთქვა მემკვიდრეობაზე. მოსარჩელეს ყოველთვის ცუდად ექცეოდა დედა, სცემდა, ერთმანეთისაგან არჩევდა შვილებს და ვაჟს კარგად ეპყრობოდა. მოსარჩელემ ჩათვალა, რომ თუკი განცხადებაზე ხელს მოაწერდა, უკეთესად მოექცეოდა დედა, თუმცა, პირიქით მოხდა, მოსარჩელეს განცხადებაზე ხელი მოტყუებით მოაწერინეს, მასზე მთელი ოჯახი ძალადობს, შეურაცხყოფას აყენებენ და სცემენ კიდევ, რის გამოც იძულებული გახდა, პოლიციისათვის მიემართა. ამის გამო, 2016 წლის 4 სექტემბერს ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მოსარჩელის ძმის წინააღმდეგ შემაკავებელი ორდერი გამოიტანა, რაც არ აკავებს მოსარჩელის დედას და ძმას, ისინი კიდევ უფრო უარესად ექცევიან მას (იხ. სარჩელი).

8. სარჩელის პასუხად მოსარჩელის დედამ წარადგინა ფორმალურად შედგენილი შესაგებელი, რომელშიც მხოლოდ ისაა მითითებული, რომ მოპასუხე არ ცნობს სარჩელს, ხოლო მის წინააღმდეგ ფაქტობრივ გარემოებებში მითითებული პრეტენზიები უარყოფილია სიტყვებით: „არ ვეთანხმები“, რაც მარტივ შედავებასაც კი არ წარმოადგენს, რადგან სსსკ-ის 201-ე მუხლი ადგენს „მოპასუხის საპროცესო თავდაცვის ძირითადი ინსტრუმენტის – შესაგებლის ინსტიტუტს და ნორმის მე-4 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრულია, რომ პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები. მოპა-

სუხე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა“ (იხ. სუსგ №ას-1067-1026-2016, 23.06.2017წ.).

9. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საერთო სასამართლოებმა ზედმინვენით უნდა დაიცვან სსსკ-ის 201-ე მუხლის დანაწესი და, ზემოხსენებული შემთხვევის მსგავსად, ფორმალურად წარდგენილი შესაგებელი, შესაძლოა, ამავე მუხლის მე-7 ნაწილით შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარდგენასაც გაუთანაბრდეს, რა შემთხვევაშიც სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ამ კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელე უთანასწორო მდგომარეობაში დგება და მის მიერ საპროცესო კოდექსის შესაბამისად წარდგენილი სარჩელისა და თანდართული მტკიცებულებების პირობებში, კვლავ უნევს მტკიცების ტვირთის დაძლევა ისეთი შესაგებლის წინაშე, რომელიც ფორმალურად, ანუ კანონის მოთხოვნათა დაუცველად არის შეტანილი.

9.1. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნას, რომ განსახილველი დავის მიმართ აპელანტს (მოსარჩელეს) არ გააჩნია ნამდვილი იურიდიული ინტერესი (იხ. 3.9 და 3.9.1 ქვეპუნქტები), რადგან მოსარჩელემ სრულიად გარკვევით და მკაფიოდ ჩამოაყალიბა საკუთარი მოთხოვნა – სამკვიდრო მონუმბის 1/3 ნაწილში ცვლილების შეტანისა და სადავო საცხოვრებელი სახლის 1/3-ის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, რაც მიკუთვნებით და არა აღიარებით მოთხოვნას წარმოადგენს; სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომელიც ამ განჩინების 3.9.2 ქვეპუნქტშია მითითებული, რომ მოსარჩელის ძმის საკუთრებად სადავო სახლის 1/2 ნაწილის აღრიცხვას საფუძვლად უდევს ამ უკანასკნელსა და მოსარჩელის დედას შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება, რაც სადავოდ არ გაუხდია მოსარჩელეს და ამის გამო მისი იურიდიული ინტერესი ვერ მიიღწევა, ასევე მცდარია იმიტომ, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელეს მიკუთვნებითი სარჩელი აქვს აღძრული, რასაც არ სჭირდება ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის (გაუქმების) დამოუკიდებელი მოთხოვნის სახით ჩამოყალიბება, რადგან ამგვარი მოთხოვნით ვერ მიიღწევა მოსარჩელისათვის სასურველი შედეგი სადავო ქონების შესაბამისი წილის საკუთრებად აღრიცხვის სახით,

თუკი მიკუთვნებითი მოთხოვნა არ იქნებოდა აღძრული, რაც ამ შემთხვევაში სახეზეა.

9.2. ჩუქების ხელშეკრულების ფაქტობრივად შედაგებისა და ჩუქების ფაქტის ლ. ჭ-ის მიერ ცოდნის (შეტყობის) კონტექსტში საკასაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია გ. ჭ-ის მიერ აღძრული სარჩელის პასუხად ლ. ჭ-ის შესაგებელს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელმა ძმაზე ადრე შეიტანა სარჩელი ფაქტობრივი ფლობით მიღებული სამკვიდრო ქონების 1/3 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით, მოსარჩელის დედას უკვე ჩაბარებული ჰქონდა ქალიშვილის სარჩელის ასლი და ამის შემდეგ აღძრა ძმამ სარჩელი დის წინააღმდეგ. ლ. ჭ-ის შესაგებელში მითითებულია: „ამ პერიოდში დედაჩემმა იკადრა და სახლი მხოლოდ ჩემს ძმას აჩუქა. მათ დაადასტურეს ყველა ის გარემოება, რაც ჩემს სარჩელში უკვე აღენიშნე, ძალადობა ჩემს მიმართებაში, მოტყუება და ღალატი შვილთან მიმართებით“ [იხ. შესაგებელი]. საკასაციო სასამართლო იმასაც მიაქცევს ყურადღებას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2016 წლის 30 ნოემბერს, რომელზედაც სასამართლომ ლ. ჭ-ის მიერ 2016 წლის 18 ოქტომბერს აღძრული სარჩელი და გ. ჭ-ის მიერ იმავე წლის 28 ოქტომბერს აღძრული სარჩელი გააერთიანა ერთ წარმოებად, ხოლო 2016 წლის 12 დეკემბერს შედგა მთავარი სხდომა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო კი გამოცხადდა იმავე წლის 16 დეკემბერს.

9.2.1. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას 9.1. და 9.2 ქვეპუნტებში განვითარებულ მსჯელობაზე ამახვილებს და მიუთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2016 წლის 12 დეკემბრის მთავარი სხდომის ოქმზე, რომელზედაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე ლ. ჭ-ის წარმომადგენლის შუამდგომლობა გ. ჭ-ის მოპასუხედ ჩართვის თაობაზე მის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის გამო. მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა ეფუძნებოდა იმას, რომ სარჩელის აღძვრის დროს – 2016 წლის 18 ოქტომბერს მხარემ არ იცოდა, რომ მოსარჩელის დედამ მის ვაჟს აჩუქა სადავო უძრავი ქონება. პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობის უარყოფას საფუძვლად დაუდო ის, რომ შუამდგომლობა არ იყო წერილობითი ფორმით წარდგენილი, ამასთან, ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა სასარჩელო მოთხოვნის გაზ-

რდად შეაფასა სასამართლომ, რაც მთავარი სხდომის ეტაპზე პროცესუალურად დაუშვებელი იყო [იხ. 12.12.2016წ. სხდომის ოქმი]. აღნიშნული შეფასება დაუსაბუთებელია წინამდებარე განჩინების 9.1 ქვეპუნქტში ასახული მსჯელობის საფუძველზე.

9.3. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ კანონის წინაშე პირთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით, დამატებით უნდა შეამოწმოს მხარეთა მიერ აღძრულ სარჩელებში (სარჩელის შეტანის თარიღის გათვალისწინებით) მითითებული ფაქტებისა და მათ დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების სარწმუნოობა, ორივე სარჩელის მოპასუხეთა მიერ წარდგენილი შესაგებლების დასაბუთებლობა სსსკ-ის 201-ე მუხლის საფუძველზე და ამის საფუძველზე დამატებით უნდა გამოიკვილოს აპელანტის პრეტენზიები.

9.3.1. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, ერთობლივად უნდა შეაფასოს ის გარემოებები, რომ მოსარჩელის დედამ ქალიშვილისაგან მალულად 2016 წლის 5 სექტემბერს გაასხვისა – აჩუქა ვაჟს უძრავი ქონება, რაც ამ უკანასკნელის საკუთრებად აღირიცხა იმავე წლის 9 სექტემბერს, ხოლო ლ. ჭ-ის სარჩელი აღძრულია 2016 წლის 18 ოქტომბერს.

9.3.2. სსსკ-ის 105-ე მუხლის საფუძველზე სასამართლო მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე აფასებს, ამასთან, საქმის მასალების მიხედვით ცხადია, რომ მოსარჩელის დედის მიერ ვაჟისათვის ქონების ჩუქებას, წინ უსწრებდა ძმის ძალადობრივი მოქმედება დის მიმართ, რაც უტყუარად დასტურდება საქმეში მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებით – ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რომლითაც შემაკავებელი ორდერი დამტკიცდა მოსარჩელის (მსხვერპლის) სასარგებლოდ მოძალადე ძმის მიმართ.

9.3.3. ჩუქების ფაქტობრივი წინაპირობების შესაფასებლად საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიუთითებს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაზე, სადაც განიმარტა: „ნებისმიერ შემთხვევაში, ჩუქების მოტივი ყოველთვის გამომდინარეობს გამჩუქებლის მხრიდან დასაჩუქრებულის მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულებიდან. ამგვარი ურთიერთობები კი,

როგორც წესი, გარკვეული დროის განმავლობაში ყალიბდება და საფუძვლად უდევს მხარეთა შორის არსებული მადლიერება, კეთილგანწყობა, ან დამკვიდრებული ჩვეულებებით დადგენილი ერთგვარი მორალური ვალდებულება. ამდენად, კეთილგანწყობილი ურთიერთობა ან მჭიდრო ნათესაური თუ სხვაგვარი დამოკიდებულება, გარკვეულ მორალურ ვალდებულებებს წარმოშობს, წარმოადგენს ჩუქების ხელშეკრულების მნიშვნელოვან მოტივს. წარმოდგენილი ანალიზი ცხადყოფს, რომ ანალოგიურ ვითარებაში მყოფი გონიერი ადამიანი ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისას ხელმძღვანელობს სწორედ აღნიშნული მოტივებით. ხოლო როდესაც მხარეთა შორის არ არსებობს არანაირი მორალური მოტივები და მათი ურთიერთობა მხოლოდ ყოფით საწყისებზეა აგებული, გონივრულობის სტანდარტის გათვალისწინებით, ამგვარი ვითარება ვერ გახდება ჩუქების ხელშეკრულების წინაპირობა, შესაბამისად, ალბათობის მაღალი ხარისხით არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებისას გამჩუქებელი არ ხელმძღვანელობდა ამ ტიპის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი მოტივებით (სუსგ №ას-750-718-2014, 22.04.2015წ.).

9.3.4. ზემოხსენებული ფაქტობრივი წინაპირობების დამადასტურებელი მტკიცებულებებისა და მოპასუხის (მოსარჩელის დედის) მიერ სსსკ-ის 201-ე მუხლის უგულებელყოფით წარდგენილი შესაგებელი ერთობლივად უნდა შეაფასოს სააპელაციო სასამართლომ, თუმცა, გადაწყვეტილების მისაღებად, ცხადია, აღნიშნული პროცესუალური ხასიათის წინაპირობების გამოკვლევა და შემოწმება არ იქნება საკმარისი საქმის ხელახლა დაბრუნების ეტაპზე, რადგან მოცემული დავა სამკვიდრო ქონების განკარგვას უკავშირდება;

9.4. საქმის ხელახლა განხილვის ეტაპზე, სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა იმსჯელოს მოსარჩელის მიერ მემკვიდრეობაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლებზე. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ეყრდნობა საქართველოს იუსტიციის მინისტრის №71-ე ბრძანებით დამტკიცებულ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 78.4 მუხლს და განმარტავს, რომ სწორედ ამ აქტის საფუძველზე დაამონმა ნოტარიუსმა აპელანტის (მოსარჩელის) მიერ 2014 წლის 19 ივნისის განცხადებაში გამოვლენილი ნება მამის დანაშთი

სამკვიდროს მიუღებლობის შესახებ.

9.4.1. საკასაციო სასამართლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონს (შემდეგში: სპეციალური კანონი) მოიხმობს, რომელიც განსაზღვრავს ნორმატიული აქტების სახეს, მათ იერარქიას, ნორმატიულ აქტთა ურთიერთმიმართებას და ა.შ. ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, როგორც საქართველოს კანონი, ნორმატიულ აქტთა იერარქიაში საკანონმდებლო აქტის ადგილს იკავებს, ხოლო დასახელებული სპეციალური კანონის მე-13 მუხლი განსაზღვრავს, რომ საქართველოს მინისტრის ნორმატიული აქტი – საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

9.4.2. იუსტიციის მინისტრის 71-ე ბრძანება გამოცემულია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა [სანოტარო მოქმედების შესრულების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარდგინებით ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით] და 38<sup>1</sup>-ე მუხლის მე-3 პუნქტის [სანოტარო მედიაციის განხორციელების წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით] საფუძველზე. სპეციალური კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით „საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ“.

9.5. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომელიც ამ განჩინების 3.8 ქვეპუნქტშია ასახული, დაუსაბუთებელია ჯერ ერთი იმიტომ, რომ სასამართლოს არ დაუდგენია რომელი კოდექსის (26.12.1964წ. თუ 26.06.1997წ.) მოქმედების პერიოდში გაიხსნა სამკვიდრო, შესაბამისად, არ დაუდგენია ამ დროისათვის მამკვიდრებლის პირველის რიგის მემკვიდრეთაგან ფაქტობრივად ვინ დაეფულა სადავო ქონებას, მეორე მხრივ, სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველ-

ზე, რომელიც საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული მიზნები-სათვის არის გამოცემული მინისტრის ბრძანების სახით, რამდენად გამოირიცხებოდა მამის დანაშთი სამკვიდრო ქონების მოსარჩელის მიერ ფაქტობრივად დაუფლება, რადგან გასაჩივრებული განჩინება ემყარება იმ გარემოებებს, რომ სამკვიდროს გახსნიდან 24 წლის შემდეგ, მოსარჩელის დედამ 2014 წლის 25 ივნისს სამკვიდრო მონაწილეობა აიღო და მოსარჩელე ლ. ჭემ რამდენიმე დღით ადრე – 2014 წლის 19 ივნისს ნოტარიუსთან განცხადება დაწერა სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტის შესახებ, რაც, თავის მხრივ, ეწინააღმდეგება სსკ-ის 1434-ე მუხლს „მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მან შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი მონვევის შესახებ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის არსებობისას ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა. უარის თქმა სამკვიდროს მიღებაზე უნდა გაფორმდეს სა-ნოტარო ორგანოში“, ასევე, სამკვიდროს გახსნის დროისათვის მოქმედი კოდექსის 560-ე მუხლის დეფინიციას (იხ. ქვემოთ 9.5.2 ქვეპუნქტში). სააპელაციო სასამართლოს არც ის ფაქტობრივი მოცემულობა შეუფასებია, რაც უძლოდა ე.წ. სამკვიდროს მიუღებლობის ფაქტზე განცხადების დაწერას და რაც სარჩელშია მითითებული, რომ მოსარჩელეს უკეთესად მოექცეოდა ოჯახი და ა.შ., ამასთან, შეუდავებელია მოპასუხის შესაგებლით.

9.5.1. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ სადავო სახლში ცხოვრობენ მოსარჩელე, მისი დედა და ძმა (იხ. სააპელაციო სასამართლოს განჩინება), სააპელაციო სასამართლომ დამატებით უნდა გამოიკვლიოს მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების [რომ მამის გარდაცვალებით 1990 წლიდან გაიხსნა სამკვიდრო, ხოლო ის დაბადებიდან დღემდე ცხოვრობს სადავო საცხოვრებელ სახლში და სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია], გასაბათილებლად რამდენად ვარგისი და დასაბუთებული შედავება წარადგინა მოპასუხემ (მოსარჩელის დედამ). აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დამატებით შემონმება მნიშვნელოვანია საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად, რადგან იმის გათვალისწინებით, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრეობა სამკვიდრო მონაწილეობის საფუძველზე 25.06.2014წ. მიიღო მოპასუხე ი.

ჭ-ემ, უნდა დადგინდეს, მოსარჩელე, რომელიც შშმპ-ია ფაქტობრივად იყო თუ არა დაუფლებული მამის დანაშთ სამკვიდროს, სადაც დღემდე ცხოვრობს.

9.5.2. მამკვიდრებლის გარდაცვალებით სამკვიდრო 1990 წელს გაიხსნა, ანუ სამოქალაქო კოდექსის მოქმედი რედაქციის ამოქმედებამდე, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (მიღებულია 26.12.1964 წელს, ხოლო ამოქმედდა 01.07.1965 წლიდან; 1986 წლის 1 იანვრამდე შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების რედაქციით) 539-ე-541-ე მუხლების მოწესრიგებაზე, რომლებიც მოქმედი კოდექსის 1306-ე, 1319-ე-1320-ე, 1324-ე მუხლების მსგავს მოწესრიგებას ადგენს. მოსარჩელემ (აპელანტმა) საკუთარი მოთხოვნა მოქმედი სსკ-ის 1336-ე, 1421-ე, 1457-ე მუხლებს დააფუძნა, რადგან სამკვიდრო მონაწილეობა მოპასუხის (მოსარჩელის დედის) მიერ აღებულია სამკვიდროს გახსნიდან 1990 წლიდან 24 წლის გასვლის შემდეგ – 2014 წელს. სამოქალაქო სამართლის კოდექსის ძველი რედაქციის 540-ე მუხლის მიხედვით, მამკვიდრებლის გარდაცვალების დღეს გაიხსნა სამკვიდრო, ხოლო მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეები არიან: მოსარჩელე, მისი დედა და ძმა. იმავე კოდექსის 556-ე მუხლის მეორე აბზაცით: „სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტიურად შეუდგა სამკვიდრო ქონების ფლობას და მართვას, აგრეთვე შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ. ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული მოქმედებები შესრულებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან“. იმავე კოდექსის 560-ე მუხლი კი ადგენს მემკვიდრეობაზე უარის თქმის წინაპირობებს, კერძოდ: „კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეს შეუძლია ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან უარი თქვას მემკვიდრეობაზე, ამასთან, მას შეუძლია განაცხადოს, რომ უარს ამბობს მემკვიდრეობაზე სხვა პირების სასარგებლოდ კანონისმიერ მემკვიდრეთა (ამ კოდექსის 544-ე მუხლი) ან ანდერძისმიერ მემკვიდრეთა (ამ კოდექსის 645-ე მუხლი) წრიდან...). სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს სამკვიდროს გახსნიდან 1990 წლის 18 ნოემბრიდან (იხ. მამკვიდრებლის გარდაცვალების მონაწილეობა) ექვსი თვის განმავლობაში განაცხადა თუ არა უარი მოსარჩელემ მა-

მის დანაშთი ქონებიდან კუთვნილი სამკვიდრო წილის მიღებაზე.

9.6. სსსკ-ის 394-ე მუხლი ადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, რომელთაგან მოცემულ შემთხვევაში გამოვლენილია „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა: „გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული“, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება. ზემოხსენებული მოტივაციითა და სავალდებულო სამართლებრივი შეფასების ფარგლებში, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება იმავე სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 10 მაისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 8. საქმის წარმოების განახლება

### განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) გათილად ცნობის შესახებ

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ა-525-ბ-3-2016

30 აგვისტო, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),  
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავ-  
ლის დაბრუნება

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-  
ლეგიის 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ს-ის“  
(შემდეგში: გამყიდველი, მოსარჩელე ან კასატორი) სარჩელი შპს  
„დ-ას“ (შემდეგში: მყიდველი, მოპასუხე ან მოწინააღმდეგე მხარე)  
წინააღმდეგ, უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის  
დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე (საქართველოს  
სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ, 385-ე, 976.1 „ა“, 879-ე, 991-  
ე, 408-ე, 427-ე მუხლები) დაკმაყოფილდა.

2. გამყიდველის სასარგებლოდ მყიდველს დაეკისრა 200 000 ლა-  
რი, ასევე, 160 000 ლარის წლიური 48%-ის გადახდა, 2013 წლის 24  
ივნისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე; ასევე, მოსარჩელის  
მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5 000 ლარის, იურიდიული  
მომსახურებისათვის გაწეული 1 000 ლარისა და სასამართლოსგა-  
რეშე ხარჯის – 468 ლარის ანაზღაურება.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-  
რა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-  
უქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყო-  
ფა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით მყიდველის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გამყიდველის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

5. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინებით გამყიდველის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ, 391-ე, 401-ე მუხლები).

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, 2016 წლის 10 თებერვალს განცხადებით მომართა მოსარჩელემ, მოითხოვა ამავე სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

8. განცხადება მოტივირებულია იმით, რომ საქმის მომხსენებელ მოსამართლეს, ნ. ბ-ს (თავმჯდომარე, მომხსენებელი) არ უნდა მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში, იქედან გამომდინარე, რომ ნ. ბ-ი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არჩევამდე, სამართლებრივ მომსახურებას უწევდა, მათ შორის, საბანკო სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, სს „სს“ (შემდეგში – ბანკი). განსახილველ დავაში მონინალმდევე მხარე არის ბანკის შვილობილი კომპანია. საქმის მომხსენებელი მოსამართლე კი იყო იურიდიული კომპანიის „ნ-ი“ (შემდეგში – იურიდიული კომპანია) პარტნიორი. იურიდიული კომპანია სამართლებრივ მომსახურებას უწევს და უწევდა როგორც ბანკს, ასევე, მის შვილობილ კომპანიას. კასატორის განმარტებით, ზემოთ დასახელებული მიზეზის გამო, მოსამართლე ვერ იქნება ობიექტური და მიუკერძოებელი განსახილველ დავაში, რაც სსსკ-ის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით მოსამართლის აცილების საფუძველია. განმცხადებლის მითითებით, მოსამართლეს მყიდველთან (მოპასუხესთან) ვალდებულებები აკავშირებდა, სწორედ ამიტომ ის დაინტერესებული იყო საქმის შედეგით.

ყველა შემთხვევაში ის ფაქტობრივი გარემოება, რომ საქმის მომხსენებელი მოსამართლე წარმოადგენდა იმ იურიდიული კომპანიის პარტნიორს, რომელიც სამართლებრივ მომსახურებასა და კონსულტაციას უწევდა საქმეში მონაწილე ერთ-ერთ მხარეს, ექვს ინვესტორს მოსამართლის მიუკერძოებლობაში. განმცხადებელი უთითებს, რომ საქმის მომხსენებელი მოსამართლის დასახელებულ იურიდიულ კომპანიაში პარტნიორობისა და ბანკისათვის სამართლებრივი მომსახურების განწვევის შესახებ, მისთვის ცნობილი გახდა გაზეთის „ქ.“-ის რეპორტაჟის მომზადებისას, რომელიც მეორე დღეს – 19 იანვარს გამოიცა საგაზეთო სახით, ამდენად, მხარეს დაცული აქვს სსსკ-ით დადგენილი ერთთვიანი ვადა განცხადების წარმოდგენის დროს (იხ. განცხადება; სსსკ-ის 426.1 მუხლი).

9. განმცხადებელმა დამატებითი წერილობითი არგუმენტები წარმოადგინა 2016 წლის 11 ივლისს, სადაც აღნიშნა, რომ მე-7 პუნქტში შეტანილ განცხადებაზე, მომხსენებელმა მოსამართლემ თვითაც იტყობინა განაცხადა, ხოლო საქმის სხვა მოსამართლისათვის – ბ. ა-ისათვის გადაცემის შემდეგ, ამ უკანასკნელმაც აიცხადა საქმის განხილვა (იხ. ქვემოთ 16-19, 21-22 პუნქტები). საქმის განხილვაზე მეორე მოსამართლის მიერ გაცხადებული თვითაც იტყობინების მოტივმა, კიდევ უფრო დაარწმუნა განმცხადებელი საკასაციო სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინების უკანონობაში. განმცხადებელმა ისიც აღნიშნა, რომ საქმის მომხსენებელმა მოსამართლემ, ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მხარედ მონაწილეობდა ამ განჩინების მე-8 პუნქტში დასახელებული ბანკი, თვითაც იტყობინა განაცხადა და არ განიხილა საქმე. ამ საქმის შესახებ განმცხადებლისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე, უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა მასში დაფიქსირებული პერსონალური მონაცემების საფუძვლით. მოსარჩელის მოსაზრებით, ორივე მოსამართლეს – ნ. ბ-სა და ბ. ა-ეს თავიდანვე უნდა განეცხადებინათ თვითაც იტყობინება კონკრეტული საკასაციო საჩივრის განხილვაზე. განმცხადებელი იმ საფრთხეზეც უთითებს, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ კანონიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია, რისკის ქვეშ დადგეს ის 20-მდე საქმე, სადაც კონკრეტული ბანკია მხარე და ამ მომხსენებელ მოსამართლეს აქვს მონაწილეობა მიღებული. განმცხადებელი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლიანი სასამართლოს უფლების (მე-6 მუხლი) წე-

სის დარღვევის გამო, ითხოვს განცხადების განხილვას და უზენაესი სასამართლოს 28.09.2015წ. განჩინების ბათილად ცნობას.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 მარტის განჩინებით გამყიდველის განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად, ხოლო იმავე წლის 28 ივლისს დანიშნული განხილვა გადაიდო 30 აგვისტოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კასატორის მიერ წარმოდგენილი განცხადების შესწავლის, საქმის მასალების შემოწმებისა და გაანალიზების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსსკ-ის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (სსსკ-ის 422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ (სსსკ-ის 423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

12. განსახილველ შემთხვევაში, განმცხადებლის პრეტენზია, საქმის მომხსენებელი მოსამართლის მიკერძოებულობისა და განსახილველი საქმის შედეგისადმი დაინტერესების შესახებ, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, რადგან წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტში მითითებული მოტივაცია მარტოოდენ მხარის სუბიექტურ შეფასებასა და აღქმას ეფუძნება და არ არის გამყარებული ისეთი ფაქტების მითითებით, რომელიც სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში“ – განსაზღვრულ კლასიკურ შემთხვევას წარმოადგენს. მიუხედავად აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ამ განჩინების მიღების სამართლებრივი მოტივაციის მითითებამდე, იმ ფაქტობრივ წინაპირობებზე იმსჯელებს, რომლებიც სამართლებრივად მნიშვნელოვანია განცხადების განხილვისას და რომელთა ერთობლიო-

ბამაც განაპირობა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

13. განმცხადებელი, რომლის ინიციატივითაც დაწყებული სასამართლო დავა წარმატებული აღმოჩნდა პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, სააპელაციო სასამართლოში აპელანტის (მოპასუხის) პროცესუალურ მონინააღმდეგეს წარმოადგენდა და ამ ეტაპზე დავა აპელანტის სასარგებლოდ გადაწყდა (იხ. ამ განჩინების 1-4 პუნქტები).

14. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა განმცხადებელმა (მოსარჩელემ) და საქმე საკასაციო სასამართლოში დარეგისტრირდა 2014 წლის 10 სექტემბერს. საკასაციო სასამართლოს იმავე წლის 16 სექტემბრის განჩინებით, მოსამართლე თ. თ-ამ წარმოებაში მიიღო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, მისი დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად. მოსამართლის რეფერენტმა 2014 წლის 16 სექტემბერს 15:35 საათზე სატელეფონო შეტყობინებით აცნობა კასატორს სასამართლოს მიერ იმავე დღეს მიღებული განჩინება (საფუძვლები და სარეზოლუციო ნაწილი), ხოლო მონინააღმდეგეს გაუგზავნა სასამართლოს განჩინებისა და საკასაციო საჩივრის ასლები.

15. საქმის მასალებში განთავსებული 10.03.2015წ. ცნობის მიხედვით, აღნიშნულ საქმეზე მომხსენებელ მოსამართლეს (თ. თ-ას), 2015 წლის 25 თებერვალს, ამოეწურა სამოსამართლო უფლებამოსილების ათწლიანი ვადა, რის გამოც საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ნ. ბ-ს.

16. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, 2015 წლის 28 სექტემბერს, შემდეგი შემადგენლობით: ნ. ბ-ი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ზ. ძ-ი, ბ. ა-ე მიიღო განჩინება, რომლითაც დაუშვებლად იქნა ცნობილი მოსარჩელის საკასაციო საჩივარი (იხ. განჩინება), ხოლო განჩინების საფუძვლები და სარეზოლუციო ნაწილი იმავე წლის 9 ოქტომბერს ეცნობა კასატორს (იხ. შესაბამისი აქტი).

17. აღნიშნული განჩინების შინაარსის მხარისათვის შეტყობინების შემდეგ, კასატორმა 2016 წლის 10 თებერვალს მომართა საკასაციო სასამართლოს (იხ. 7-8 პუნქტები).

18. განცხადება, დადგენილი წესით, გადაეცა მომხსენებელ მო-

სამართლეს, რომელმაც 2016 წლის 18 თებერვალს წერილობით მიმართა სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარეს, სადაც მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინების ბათილად ცნობას, განმცხადებელი ითხოვდა იმ საფუძვლით, რომ მომხსენებელ მოსამართლეს არ უნდა მიეღო მონაწილეობა საქმის განხილვაში, რაც განცხადების წარმოებაში მიღებისა და დასაშვებად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს უნდა შეეფასებინა. ამ მოტივით მოსამართლემ მოითხოვა საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა (იხ. მომხსენებელი მოსამართლის განცხადება).

19. სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 მარტის განჩინებით, მოსამართლე ბ. ა-ემ, განცხადება დასაშვებად მიიჩნია (იხ. განჩინება). აღნიშნული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი იმავე დღეს ეცნობა განმცხადებელს, ხოლო მონინალმდევს გაეგზავნა განჩინებისა და განცხადების (თანდართული მასალებით) ასლები.

20. განმცხადებლის პროცესუალურმა მონინალმდევემ (მოპასუხემ) 2016 წლის 11 მარტს წერილობითი პასუხი წარმოადგინა მოსარჩელის განცხადებაზე და განმარტა, რომ არ ეთანხმებოდა ოპონენტის მიერ მითითებულ გარემოებებს, რადგან დაუსაბუთებელი იყო არგუმენტები 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინების მიმღები სასამართლო შემადგენლობიდან მომხსენებელი მოსამართლის აცილების შესახებ (იხ. მოპასუხის პოზიცია).

21. სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ ბ. ა-ემ, პალატის თავმჯდომარეს, 2016 წლის 3 მაისს წერილობით მიმართა და განმარტა, რომ მისთვის ცნობილი გახდა, რომ განმცხადებელი საწარმოს პარტნიორსა და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან – მ. კ-ესთან აკავშირებს არაერთი საერთო ნაცნობი. შესაბამისად, მოსამართლემ ამ გარემოების შეტყობიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ არსებობდა მისი აცილების სსსკ-ის 31.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა („არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მოსამართლის მიუკერძოებლობაში“) და მოითხოვა აღნიშნული საკითხის განხილვა.

22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 3 მაისის განჩინებით საკასაციო სასამართლომ განიხილა მოსამართლე ბ. ა-

ის განცხადება და ააცილა იგი საქმის განხილვას.

23. საკასაციო სასამართლომ 14-22 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი წინაპირობების დეტალური გაანალიზების შედეგად, იმსჯელა რამდენიმე საკითხზე, რომელიც ფუნდამენტურია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მოსამართლის მიუკერძოებლობის კონტექსტში. „მართლმსაჯულება არა მარტო უნდა განხორციელდეს, არამედ ასევე უნდა ჩანდეს, რომ ის ხორციელდება“ (იხ. *De Cubber v. Belgium*, 26.10, 1984, par. 26, seria A no. 86). სასამართლო დამოუკიდებლობისა და მოსამართლის მიუკერძოებლობის ცნებები ურთიერთდაკავშირებულია, ამასთან, ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სამართალწარმოების მონაწილე მხარეთა უფლება, იცოდნენ, როგორც საქმის მომხსენებელი მოსამართლის ვინაობა, ისე განმხილველი კოლეგიური შემადგენლობა, რათა მიეცეთ შესაძლებლობა, მოიძიონ საჭირო ინფორმაცია, რათა თავად დარწმუნდნენ, არსებობს თუ არა კონკრეტული მოსამართლის აცილებისათვის, კანონით გათვალისწინებული ისეთი საფუძველი, რომლის დასაბუთებაც ობიექტური და არა სუბიექტური კრიტერიუმებით ხელეწიფება მხარეს.

24. საკასაციო სასამართლო, კვლავაც უთითებს ამ განჩინების მე-12 პუნქტზე და აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ერთი მოსამართლისაგან მეორისათვის საქმის გადაცემის დროს (იხ. 14-16 პუნქტები), არ მომხდარა მხარეთა ინფორმირება საქმის მომხსენებელი მოსამართლის შეცვლის შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემდა თითოეულ მათგანს, სცოდნოდა მოსამართლის ვინაობა და კანონით გათვალისწინებული აცილების უფლება გამოეყენებინა, თუმცა, მარტოდენ ეს გარემოება არ არის სამართლებრივად მნიშვნელოვანი. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს განმცხადებლის მტკიცებას, რომ 2015 წლის 28 სექტემბრის სადავო განჩინების მიმღები სასამართლო შემადგენლობიდან მომხსენებელი მოსამართლის მიკერძოებულობასა და საქმის შედეგით დაინტერესებას ადასტურებს ის, რომ იგი კონკრეტული იურიდიული ფირმის პარტნიორი იყო და მოწინააღმდეგეს სამართლებრივ მომსახურებას უწევდა, რაც მხარისათვის ცნობილი გახდა საგაზეთო რეპორტაჟის მომზადებისას.

25. საკასაციო სასამართლოს მოსამართლეთა ბიოგრაფიული და პროფესიული მონაცემები საჯარო და ხელმისაწვდომია უზენაესი

სასამართლოს ვებ-გვერდზე ([www.supremcourt.ge](http://www.supremcourt.ge)), ამასთან, საგაზეთო პუბლიკაციებსა თუ მედიის სხვა საშუალებებში გავრცელებული ინფორმაცია, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სარწმუნო და უტყუარ მტკიცებულებად, რომელიც მოსამართლის აცილების საკითხს უპირობოდ განსაზღვრავს. წარსულში კონკრეტულ იურიდიულ კომპანიაში პარტნიორის თუ სხვა პოზიციაზე მუშაობა და ზოგადად კონკრეტული პირებისათვის სამართლებრივი რჩევის, კონსულტაციის გაწევა არ ადასტურებს, რომ სწორედ სასამართლოს მიერ განსახილველი დავითა და მისი შედეგით არის დაინტერესებული მოსამართლე. სასამართლო საკასაციო სამართალწარმოების თავისებურებაზეც უთითებს, კერძოდ, საკასაციო განაცხადის საპროცესო კანონით გათვალისწინებული დასაშვებობის წინაპირობების შემონმებისას, სასამართლო კოლეგიურად ღებულობს გადაწყვეტილებას (სსსკ-ის მე-400 მუხლის მე-3 ნაწილი), რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი არ არსებობს მოსამართლის განსხვავებული მოსაზრება, კოლეგებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება. ამასთან, თითოეული მოსამართლე დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღებისას და ეყრდნობა საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლის ნორმებს, რომლებიც განსახილველი ურთიერთობის მომწესრიგებელ იურიდიულ შედეგს განაპირობებენ. თუმცა, აღნიშნული მსჯელობის საჭიროება მხოლოდ საქმის კოლეგიური განხილვისა და გადაწყვეტის სპეციფიკურობაზე ხაზგასასმელად არის მნიშვნელოვანი, რადგან განმცხადებლის არცერთი არგუმენტი საქმის მომხსენებელი მოსამართლის მიკერძოებასა და კონკრეტული საქმის შედეგისადმი დაინტერესებაზე არ არის დასაბუთებული. ასევე, უსაფუძვლოა განმცხადებლის მითითება იმ ფაქტზე, რომ კონკრეტულ საქმეზე, სადაც ბანკი იყო ჩართული, მოსამართლემ თვითააცილება განაცხადა. განსახილველი საქმის თითოეული კომპონენტი თანაბრად მნიშვნელოვანია მოსამართლის მიერ კანონით დადგენილი წესით თვითაცილების საკითხის დასაყენებლად, რასაც პალატის კოლეგიური შემადგენლობის სხვა ორი წევრი იხილავს და, ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ღებულობს გადაწყვეტილებას მოსამართლის საქმის განხილვისაგან აცილების თაობაზე.

26. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის პრეამბუ-

ლა განამტკიცებს იმ ღირებულებებს, რომლითაც თოთოეული მოსამართლე აცნობიერებს, რომ საზოგადოებრივი რწმენა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების უმთავრეს ღირებულებას; მოსამართლის ქცევა, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისე სხვა საქმიანობის განხორციელების დროს წარმოადგენს საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს. აღნიშნული ვალდებულებების, როგორც ეთიკის წესების, მიზანია მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის განმტკიცება, სასამართლო ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობისა და რწმენის ამაღლება, მოსამართლის თანამდებობის პრესტიჟისა და ავტორიტეტის დაცვა.

27. სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციით გარანტირებული პრინციპი, უთუოდ გულისხმობს სასამართლოს, როგორც ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, ისე თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. დამოუკიდებლობის კონტექსტში მნიშვნელოვანია, როგორც ხელისუფლების ორი დანარჩენი შტოსაგან, ისე, სამართალწარმოების მხარეებისაგან დამოუკიდებლობა.

28. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობაზე მსჯელობისას, სამართლებრივი სახელმწიფოსა და დემოკრატიის არსებობის აუცილებელ პირობაზე უთითებს (იხ. *Miroshnik v Ukraine*, 27.11.2008წ., განაცხადი 75804/01, პუნქტი 61). მიუკერძოებლობის კრიტერიუმის შეფასებისას კი ორგვარი კრიტერიუმით ხელმძღვანელობს ევროპული სასამართლო, ესენია „სუბიექტური“ და „ობიექტური“ მიუკერძოებლობა. საქმეზე *Kipranou v. CYO* (15.12.2005წ. გადაწყვეტილება, განაცხადი №73797/01, პუნქტი 121), სასამართლომ „სუბიექტური“ მიკერძოებულობა უარყო იმგვარ ვითარებაში, როდესაც სასამართლოს ერთ-ერთი მსაჯული იყო ბრალდების მოწმის ფირმის თანამშრომელი. იმავე სასამართლომ, სწორედ „სუბიექტური“ მიკერძოებულობის საფუძვლით, დარღვევად მიიჩნია, როდესაც მოსამართლე ერთ-ერთი მხარისადმი მტრულად იყო განწყობილი ან პერსონალური მოტივებით ცდი-

ლობდა, რომ საქმე მას გადასცემოდა განსახილველად (იხ. Kipranou v. CYO, 15.12.2005წ. გადაწყვეტილება, განაცხადი №73797/01, პუნქტი 119, NJW 59 (2006) 2901). „ობიექტური“ მიკერძოებულობის კვლევისას, ევროპული სასამართლო შეისწავლის და აფასებს იმგვარ გარემოებებს, რომლებითაც დასტურდება საქმის შედეგით მოსამართლის დაინტერესებულობა (მაგ. Haan v. NDL, 26.08.1997წ., განაცხადი № 22839/93, 51-55 პუნქტები).

29. განმცხადებლის მტკიცების საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, იმ გარემოებაზე რომ ბათილად ცნობის მოთხოვნით წარმოდგენილი განცხადების სხვა მოსამართლის მიერ განხილვა თავად მომხსენებელმა მოსამართლემ მოითხოვა (იხ. ამ განჩინების მე-18 პუნქტი), იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა სსსკ-ის 428-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები განცხადების განხილვისაგან ამ მოსამართლის ჩამოსაცილებლად. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზოგადად არ არის ადვილი მოსამართლის მიკერძოებულობის დამტკიცება, თუმცა, აღნიშნავს, რომ მინიმალური სტანდარტით დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაშიც კი, სასამართლო იმსჯელებდა მხარის თითოეულ არგუმენტზე.

30. საკასაციო სასამართლომ წინამდებარე განჩინების მიღებისას, იხელმძღვანელა მაღალი სტანდარტით, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რადგან კანონის უზენაესობის ფუნდამენტური ასპექტია უდავო სამართლებრივი რწმენა... და, შესაბამისად, სასამართლო საქმიანობა არ უნდა იქნეს დაყენებული კითხვის ნიშნის ქვეშ (Driza v. Albania, 13.11.2007). დემოკრატიულ საზოგადოებაში ფუნდამენტური მნიშვნელობის არის სასამართლოების მხრიდან საზოგადოებისთვის, მათ შორის, სამართალწარმოების მხარეთათვის ნდობის შთაგონება (იხ. DN v. Switzerland, 29.03.2001, No. 27154/95, 46-ე პარაგრაფი) და ამ განჩინების 21-22, 24-ე პუნქტებში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც საკასაციო სასამართლოს 28.09.2015წ. განჩინების, რომლის ბათილად ცნობასაც განმცხადებელი მოითხოვს, შემადგენლობიდან ერთი მოსამართლის (საქმის განმხილველის) მიმართ მხარეს წამოყენებული აქვს პრეტენზია, ხოლო იმავე

შემადგენლობის მეორე მოსამართლემ თვითაცილება განაცხადა, მხარეთა თანასწორობის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის პრეტენზიების მინიმალური სტანდარტით დასაბუთების არარსებობის პირობებშიც კი, სწორედ სასამართლო არის ვალდებული, უზრუნველყოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სანდოობის, დამაჯერებლობისა და მაღალი ლეგიტიმაციისადმი ნებისმიერი ეჭვისა და ვარაუდის გაქარწყლება, რის გამოც წინამდებარე განჩინების 14-22, 24-ე პუნქტებში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობის გაანალიზებით მიიღო გადაწყვეტილება.

31. განსახილველ კონკრეტულ საქმეზე, სსსკ-ის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ფართო განმარტებით, სამოსამართლო ქცევის ბანგალორის საერთაშორისო პრინციპების, მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის საფუძველზე, საქართველოს სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლში ასახული ღირებულებების, როგორც სავალდებულო ქცევის წესის: „მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი“ გათვალისწინებით, ვინაიდან არსებობს გარემოებათა არაორდინალური ერთობლიობა: საქმის მომხსენებელი მოსამართლის ვინაობის არცოდნა, მისი აცილების შესახებ, სათანადო დასაბუთებით, მხარის მიერ შუამდგომლობის დასაყენებლად, მომხსენებელი მოსამართლისადმი თუნდაც მხარის დაუსაბუთებელი პრეტენზია და მეორე მოსამართლის თვითაცილება, სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს განმცხადებლის მოთხოვნა და ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-871-833-2014წ. – მხარეები შპს „ს-ი“ – საკასაციო საჩივრის ავტორი (მოსარჩელე) და შპს „დ-ა“ – მოწინააღმდეგე მხარე (მოპასუხე).

32. მართლმსაჯულებისადმი სანდოობის ტესტი ვერ შეასრულებს საკუთარ ფუნქციას საზოგადოებაში, თუკი, არსებობს მინიმალური ეჭვიც კი გადაწყვეტილების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით. ამგვარი ეჭვის არიდება სწორედ სასამართლოს დანიშნულებაა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ზედმიწევნით, ინდივიდუალურად უნდა იქნეს გამოკვლეული და შეფასებული.

კონკრეტულ ფაქტობრივ წინამძღვართა ერთობლიობამ განაპირობა წარმოდგენილი განცხადების დაკმაყოფილება, მიუხედავად იმისა, რომ თავად განმცხადებლის არგუმენტები დაუსაბუთებელია. სასამართლო კონტროლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულება მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმაცია და მართლმსაჯულებისადმი სანდოობაში გამოიხატება, რაც წინამდებარე განჩინების მიღების საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე, 422-ე, 430-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. შპს „ს-ის“ განცხადება, საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინება და განახლდეს საქმის წარმოება შპს „ს-ის“ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე;

3. სამოქალაქო საქმეთა პალატის კოლეგიური შემადგენლობა (მოსამართლეები: მ. თოდუა, ე. გასიტაშვილი, პ. ქათამაძე) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე;

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.